USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | GEORGIA

Governing for Growth in Georgia

RONDELI FOUNDATION | GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

საქართველო და ევროკავშირი

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე

* ძირითადი ასპექტები *

პროექტი **“ჟურნალისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის - ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) თაობაზე”** დაფინანსებულია USAID / „მმართველობა განვითარებისთვის“(G4G) საქართველოში მიერ და ხორციელდება საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის მიერ.

წინამდებარე ნაშრომი გამოიცა ამერიკელი ხალხის დახმარებით, რომელიც გაწეული იყო ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის მიერ. ნაშრომში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ გამოხატავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო სააგენტოს და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება დაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექნიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2017

2017

შინაარსი

ევროპული ინტეგრაციის მოდელები - *კახა გოგოლაშვილი*.....3

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ზოგადი მიმოხილვა - *კახა გოგოლაშვილი* 11

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე: ზოგადი მიმოხილვა - *კახა გოგოლაშვილი*.....18

ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში - *კახა გოგოლაშვილი* 23

სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები - *თამარ ლაბარტყავა* 31

მომსახურებით ვაჭრობა - *კახა გოგოლაშვილი*.....38

ბიზნესის დაფუძნება - *კახა გოგოლაშვილი* 44

ელექტრონული კომერცია - *ციური ნოზაძე*.....51

სატრანსპორტო მომსახურება - *ეკატერინე ლალიაშვილი*.....59

ინტელექტუალური საკუთრების უფლებები - *სოფიო ფანჯიკიძე*.....67

ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში - *მურმან მარგველაშვილი* 74

ვაჭრობა და მდგრადი განვითარება - *მანანა ქოჩლაძე*.....80

საჯარო შესყიდვები - *გიორგი ლომთაძე*.....86

კონკურენცია - *ნათია კუტივაძე* 93

კახა გოგოლაშვილი

ევროპული ინტეგრაცია

ევროპულ ინტეგრაციას ვიწრო და ფართო გაგება აქვს. ამ ტერმინის ვიწრო გაგება გულისხმობს ევროკავშირის ფარგლებში მიმდინარე პროცესებს - საკანონმდებლო ჰარმონიზაციას, ერთობლივი პოლიტიკების გაღრმავებას, ერთიანი ბაზრის ფარგლებში ურთიერთობებს, ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირს. ევროკავშირის ფარგლებში მიმდინარე ინტეგრაციის პროცესს რამდენიმე ძირითადი შეთანხმება მართავს, კერძოდ:

- ევროკავშირის შესახებ (EU)
- ევროპის ეკონომიკური სივრცის შესახებ (EEA)
- საბაჟო კავშირის შესახებ (Customs Union)
- შენგენის შეთანხმება (Schengen)
- სავალუტო კავშირის შესახებ (EMU)

ევროკავშირის შესახებ შეთანხმება (TEU) ადგენს ქვეყნების მიერ დელეგირებული იმ საერთო პოლიტიკების ნუსხას, რომლებიც ევროკავშირის, როგორც ორგანიზაციის, ან სრულ, ან ნაწილობრივ, ან ე.წ. დამხმარე კომპეტენციებს წარმოადგენენ. ევროკავშირის 21 სააგენტოში წევრობა, ისეთებში, როგორიცაა სტანდარტიზაციის ორგანიზაცია, ევროკავშირის შიდა ინტეგრაცია ჯერ შორსაა დასრულებისგან, რადგან მრავალი პოლიტიკის სფეროში კომპეტენციებს წევრი ქვეყნები დამოუკიდებლად ახორციელებენ. ფართო ევროპულ ინტეგრაციას კი მრავალი ფორმა და სახე აქვს, მაგალითად: ყველასთვის ცნობილი ევროპის საბჭო, რომელიც ევროპის კონტინენტის მასშტაბით თითქმის ყველა სახელმწიფოს აერთიანებს და რომელიც ადამიანის უფლებებსა და კანონის უზენაესობას ამკვიდრებს ფართო რეგიონში; ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), რომელსაც ასევე ევროატლანტიკური ინტეგრაციის სტრუქტურადაც მოიხსენიებენ; ფუნქციური ინტეგრაცია EFTA-ის ქვეყნებთან (EEA-ის ფარგლებში) და შვეიცარიასთან, რომლებიც პრაქტიკულად ევროკავშირის ერთიანი ბაზრის სრულფასოვანი მონაწილენი არიან; ევროპის საპატენტო კავშირი, ევროპის მაუწყებელთა კავშირი და მრავალი სხვა ასევე ევროპული ინტეგრაციის ამ ფართო ფორმის გამოვლინებაა. გარდა ამისა, ევროპული ინტეგრაციის ფართო გაგება ასევე მოიცავს მჭიდრო თანამშრომლობის მრავალ შედარებით მცირე ფორმატს, როგორიცაა ვიშეგრადის ჯგუფი (V4), ნორდიკული საბჭო (Nordic Council), ბალტიის ასამბლეა (Baltic Assembly), ბენელუქსი (Benelux), გუამი (GUAM), ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (CEFTA) და მრავალი სხვა, რომლებიც ევროკავშირის წევრი და არაწევრი ქვეყნების მცირე ჯგუფებს შორის თანამშრომლობის განსაკუთრებულ ფორმებს ქმნიან.

ევროპული ინტეგრაციის ფორმები მრავალფეროვანია და საქმიანობის სხვადასხვა სფეროს მოიცავს. თავად ევროკავშირის შიდა ინტეგრაციის ნათელი დემონსტრირებაა მასტრიხტის შეთანხმებით (1992) შემოღებული სამი სვეტი.

ქვევით მოცემულ ცხრილში გაშლილია ევროპული ინტეგრაციის ძირითადი ფორმები:

ცხრილი 1. ევროპული ინტეგრაციის ძირითადი ფორმები

ეკონომიკური ინტეგრაცია	თავისუფალი ვაჭრობა
	საბაჟო კავშირი
	ერთიანი ბაზარი
	სავალუტო და ეკონომიკური კავშირი
პოლიტიკური კავშირი	უსაფრთხოება
	საერთაშორისო პოლიტიკა
	თავდაცვა
მართლმსაჯულება და შინაგანი საქმეები	უკანონო მიგრაციის აღკვეთა
	იარაღითა და ფსიქოტროპული საშუალებებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა
	ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა
	კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

აქვე აღსანიშნავია, რომ მოცემული ცხრილი ამომწურავად არ ასახავს ინტეგრაციის პროცესის ყველა მიმართულებას, რომლებიც ისეთ სფეროებსაც ეხება, როგორიცაა ჯანდაცვა და ენერგეტიკა, ტრანსპორტი, გარემოს დაცვა, მეცნიერება, განათლება, სპორტი და სხვა.

შემდგომ თავებში ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ეკონომიკური ინტეგრაციის თემაზე.

ვაჭრობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სისტემით: ლიბერალიზაციის გლობალური მოდელი

ეკონომიკური ინტეგრაციის პპროცესების გაგება, რომლებიც უმთავრესად ვაჭრობის ლიბერალიზაციას გულისხმობს, შეუძლებელია *მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის* (მსო) შესახებ მინიმალური ინფორმაციის ფლობის გარეშე. მსო 1995 წელს *მარაკეშის შეთანხმების* შედეგად შეიქმნა. დღეს მასში 152 ქვეყანაა გაწევრიანებული. მას საფუძვლად დაედო 1947 წელს (ჰავანაში) ინიცირებული *გენერალური შეთანხმება ვაჭრობასა და ტარიფებზე* (GATT), რომელიც მიზნად ისახავდა საქონლით საერთაშორისო ვაჭრობაში წესების უნივერსალიზაციას, დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და სამართლიანი კონკურენციის საყოველთაოდ

დამკვიდრებას. გარდა ამ შეთანხმებისა, მსო-ის ფარგლებში კიდევ რამდენიმე საერთაშორისო შეთანხმება დაიდო, რომლებიც ვაჭრობის ლიბერალიზაციას ხელს უწყობენ ისეთ სფეროებში წესების დაახლოებით, როგორცაა შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობაზე (GATS), სანიტარია/ფიტოსანიტარია (SPS), ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები (TBT), სახელმწიფო შესყიდვები (Government Procurement), ინტელექტუალური საკუთრების დაცვა (TRIPS) და სხვა.

ზემოაღნიშნულ შეთანხმებებზე დამატებით ამ სისტემას შემდეგი ძირითადი ელემენტები ახასიათებს:

ცხრილში 2. მსო-ის ძირითადი ელემენტები

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN-Most Favored Nation)	მსო-ის შეთანხმებების შესაბამისად, ქვეყნებს, როგორც წესი, არ აქვთ უფლება განასხვაონ ერთმანეთისგან სავაჭრო პარტნიორები, მიანიჭონ რომელიმე მათგანს განსაკუთრებული უპირატესობები საბაჟო ტარიფების განაკვეთთან ან ნებისმიერ სხვა სავაჭრო ბარიერთან დაკავშირებით.
საქონლის თავისუფალი ტრანზიტი	წევრ ქვეყნებს არ აქვთ უფლება თავის ტერიტორიაზე არ გაატარონ სხვა ქვეყნის ლეგალური ტვირთები, რომლებიც მესამე ქვეყანაში მიემართება.
რაოდენობრივი შეზღუდვები	ე.წ. კვოტები - საკუთარი წარმოების დაცვის/ხელშეწყობის მიზნით ქვეყნის მთავრობის მიერ საქონლის ან მომსახურების იმპორტზე წლიური ზღვრული რაოდენობის დაწესება.
ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ზომები	საიმპორტო პროდუქციაზე ფასების ხელოვნური დაწევის შედეგად ზიანის თავიდან აცილების ან ზიანის შემთხვევაში საკომპენსაციო ზომების მიღებისთვის სამართლიანი, უნიფიცირებული წესების დაცვა.
პრეფერენციების გენერალიზებული სისტემა (GSP)	MFN-ის დებულებაზე დათქმა, რომელიც უფლებას ანიჭებს განვითარებულ ქვეყნებს დაუწესონ ცალმხრივი საბაჟო-სატარიფო შეღავათები ნაკლებგანვითარებულ სახელმწიფოებს.

აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ 1994 წელს ევროკავშირის ძალისხმევით შეიქმნა ევროპის ენერგეტიკული ქარტია - მსო-ის პრინციპებზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელიც ევროპა-აზიის დერეფნის გასწვრივ მდებარე ქვეყნებს შორის ნახშირწყალბადებითა და ენერგოპროდუქტით ვაჭრობის საკითხებს არეგულირებს.

აგრეთვე აღსანიშნავია GATT-ის შეთანხმების XXIV მუხლი, რომელიც MFN-დან გამონაკლისს უშვებს ქვეყნებისათვის, რომლებიც ერთმანეთთან თავისუფალი ვაჭრობის სივრცეს ქმნიან.

ეკონომიკური ინტეგრაცია

როგორც პირველი თავიდან შევიტყვეთ, ევროპულ სივრცეში მიმდინარე ეკონომიკური ინტეგრაცია ოთხი ძირითადი ფორმით გამოიხატება. მომდევნო ქვეთავებში მოცემულია მათი დახასიათება.

თავისუფალი ვაჭრობა

თავისუფალი სავაჭრო სივრცე (FTA), რომელიც ეკონომიკური ინტეგრაციის საწყის დონედ განიხილება, გულისხმობს ხელშეკრულების ხელმომწერ ქვეყნებს შორის საბაჟო ტარიფების სრულ გაუქმებას საქონლის მნიშვნელოვან ნაწილზე, კერძოდ, სამრეწველო საქონელზე, როგორც აღწერს მსო-ის შეთანხმების XXIV მუხლი. თუმცა ახლა უკვე მრავალი ისეთი თავისუფალი სავაჭრო სივრცეა შექმნილი, სადაც ქვეყნები სრულად ათავისუფლებენ ერთმანეთის პროდუქტს, მომსახურებისა და სოფლის მეურნეობის ჩათვლით, საბაჟო გადასახადებისგან. ინტეგრაციის ასეთ ფორმას ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეს უწოდებენ. ასეთი სივრცის შექმნა ორივე სახელმწიფოს აძლევს პარტნიორი ქვეყნის ბაზარზე შეღწევისთვის მნიშვნელოვან თავისუფლებას, თანაბარ პირობებში აყენებს ადგილობრივ და სივრცის მონაწილე სხვა ქვეყნის პროდუქტს ბაზარზე განთავსებისას, იძლევა ფარდობითი უპირატესობის გამოყენების საშუალებას, ხელს უწყობს ქვეყანაში დარგების სპეციალიზაციას და მასშტაბის ეკონომიურობის ხარჯზე ბიზნესისთვის მეტ მოგებას. ევროპული ინტეგრაციაც, რომის 1957 წლის ხელშეკრულებით, პირველ რიგში მონაწილე ქვეყნებს შორის თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნას ისახავდა მიზნად. ახლა ევროკავშირი, რომელიც თავად ეკონომიკური ინტეგრაციის ყველა ფორმას სრულფასოვნად ახორციელებს, ასევე ცდილობს დაამყაროს თავისუფალი ვაჭრობა რეგიონისა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან. მათ შორის აღსანიშნავია მრავალმხრივი სავაჭრო თანამშრომლობა სამხრეთ და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან, რომელსაც დასაბამი მისცა 1995 წელს დაარსებულმა ე.წ. „ბარსელონის პროცესმა“. მათ უმეტესობასთან დღეს სრულფასოვნად მუშაობს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი. მაგრამ ევროკავშირი მიისწრაფის ე.წ. თავისუფალი ვაჭრობის ღრმა რეჟიმი დაამყაროს ახალ პარტნიორებთან. ტერმინი „ღრმა“ საბაჟო ბარიერების გაუქმების გარდა ასევე გულისხმობს არასატარიფო ბარიერების გაუქმებასაც.

შეთანხმება ევროკავშირსა და ჩილეს შორის, რომელიც 2002 წელს გაფორმდა, ითვალისწინებს საბაჟო ტარიფებისა და არასატარიფო ბარიერების გაუქმებას როგორც სამრეწველო, ისე სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე და მომსახურებაზე, ამიტომ ამ შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის სახელი აქვს - DCFTA. ჩილესთან დადებული შეთანხმება მოიცავს საქონლის შესაბამისობის შეფასების ურთიერთაღიარებას, ინვესტიციების დაცვას, კონკურენციის, სახელმწიფო შესყიდვების, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, კონკურენციის, საბაჟო პროცედურების და სანიტარიისა და ფიტოსანიტარიის სფეროში წესების

ურთიერთაღიარებას, რაც საგრძნობლად ამცირებს განსხვავებული ტექნიკური რეგულაციებისა და სტანდარტების გამო არსებულ ტექნიკურ ბარიერებს.

საბაჟო კავშირი

ეკონომიკური ინტეგრაციის შედარებით მაღალი ფორმაა საბაჟო კავშირი, რომელიც გულისხმობს არა მარტო იმპორტირებულ საქონელზე საბაჟო ტარიფების გაუქმებას (FTA), არამედ ასევე საბაჟო პოლიტიკის სრულ ჰარმონიზაციას, საიმპორტო ტარიფებზე განაკვეთების, ასევე საბაჟო წმენდის მოსაკრებლებისა და წესების გათანაბრებით.

საერთო-საბაჟო სივრცე აერთიანებს რა ორი ქვეყნის ბაზარს, ზრდის მათი საქონლის კონკურენტუნარიანობას მესამე ქვეყნების მიერ იმპორტირებულ საქონელთან მიმართებით. საბაჟო კავშირი ასევე ზრდის მასში გაწევრიანებული ქვეყნების მიმზიდველობას ინვესტორებისა და საერთაშორისო სავაჭრო პარტნიორებისთვის.

ევროკავშირი თავადვე არის საბაჟო კავშირიც. ამავე დროს ის ქმნის ერთიან საბაჟო სივრცეს (საბაჟო კავშირს) თურქეთთან (1996 წელი) და ისეთ ჯუჯა სახელმწიფოებთან, როგორიცაა ანდორა და სან-მარინო. თურქეთთან საბაჟო კავშირი მხოლოდ სამრეწველო საქონელს ეხება, ხოლო დანარჩენ ორ სახელმწიფოსთან ყოვლისმომცველი საბაჟო კავშირებია შექმნილი. თურქეთთან 1995 წელს დადებულ შეთანხმებაში საბაჟო კავშირის შექმნის შესახებ ასევე აქცენტია ვაჭრობასთან დაკავშირებული წესების ჰარმონიზაციაზე კონკურენციის კანონმდებლობის, სახელმწიფო შესყიდვების, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის სფეროებში.

ერთიანი ბაზარი

ის, რასაც დღეს ერთიანი ბაზარი (Single Market) ჰქვია, შეიქმნა 1957 წლის რომის ხელშეკრულების (EEC Treaty - შეთანხმება ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შესახებ) საფუძველზე. შეთანხმების მეორე და მესამე მუხლებში ნათქვამია, რომ გაერთიანების მიზანი საერთო ბაზრის (Common Market) შექმნაა და წევრი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის თანდათანობითი დაახლოება. ეს მოიცავს საბაჟო ტარიფებისა და რაოდენობრივი შეზღუდვების აღმოფხვრას (თავისუფალი ვაჭრობა) საქონლის იმპორტსა და ექსპორტზე წევრ ქვეყნებს შორის, მესამე ქვეყნებთან მიმართებაში ერთიანი საბაჟო ტარიფისა და ერთიანი სავაჭრო პოლიტიკის გატარებას, წევრ ქვეყნებს შორის მოქალაქეთა, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალ მიმოქცევა/მიმოსვლას. ამრიგად, საერთო ბაზარი - ეს არის თავისუფალი სავაჭრო ზონა და საბაჟო კავშირი, რომელშიც დამატებით მიმდინარეობს საქონლისა და მომსახურების ბაზარზე დაშვების წესების ინტენსიური დაახლოება, კანონმდებლობის

ჰარმონიზაცია ყველა იმ სფეროში, რომლებიც გავლენას ახდენენ თავისუფალ კონკურენციაზე ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის პირობებში, ისეთების ჩათვლით, როგორიცაა სურსათის უვნებლობა, ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, კონკურენცია, ინტელექტუალური საკუთრება, შრომის კანონმდებლობა, სახელმწიფო შესყიდვები, ჯანდაცვა, გარემოს დაცვა და ა.შ.

კანონმდებლობის დაახლოების მიმართულებით განხორციელებული პროგრესის შედეგად შეიქმნა acquis communautaire - გაერთიანების კანონმდებლობა, რომელიც დღეს 35 თავისგან შედგება და წარმოადგენს ევროკავშირის დირექტივებისა და რეგულაციების კრებულს, რომლებიც შესაბამის სფეროებს მართავენ ყველა წევრ ქვეყანაში. კავშირის კანონმდებლობისა და, შესაბამისად, მაშინდელი ევროგაერთიანების კანონმდებლობის სრულ ჰარმონიზაციას და საერთო ბაზრის საბოლოოდ ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო 1987 წელს დადებულმა *ერთიანი ევროპის აქტის* ხელმოწერამ. ტერმინი „ერთიანი ბაზარი“ უფრო ამბიციურია და წევრი ქვეყნების სრული ეკონომიკური ინტეგრირების იდეას ატარებს. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ინსტიტუტებში ახლა სწორედ ეს ტერმინი გამოიყენება, სრული ინტეგრირება ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. რაც შეეხება ქვეყნებს შორის ფაქტორების შეუფერხებლად გადაადგილებას - მაგალითად, დარჩენილია განსხვავებები საქონლის მარკირების, შეფუთვის წესებში. ასევე, განსხვავებულია მშრომელთა სოციალური დაცვის წესებიც, რომლებიც მუშახელის სრულ თავისუფალ გადაადგილებას ნაწილობრივ ზღუდავს.

EEA - ევროპის ეკონომიკური სივრცე

1992 წელს ევროკავშირსა და EFTA-ს შორის დადებული შეთანხმების შედეგად შეიქმნა *ევროპის ეკონომიკური სივრცე.* ინტეგრაციის ეს ფორმა გულისხმობს ღრმა თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნას (საბაჟო კავშირის გარეშე), რომელიც მიზნად ისახავს ვაჭრობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის სრულ ჰარმონიზაციას მონაწილე ქვეყნებს შორის. ფაქტორების (მუშა ხელის, საქონლის მომსახურების, კაპიტალების, ბიზნესსაქმიანობის) სრული თავისუფლების უზრუნველყოფით EFTA-ის წევრ ქვეყნებს, ისლანდიას, ლიხტენშტაინსა და ნორვეგიას, მიეცათ საშუალება პრაქტიკულად სრულად, ფუნქციურად ინტეგრირებისა ევროკავშირის ერთიან ბაზარში. მიუხედავად ამისა, მათ არ აქვთ ხმის უფლება ევროკავშირის ინსტიტუტებში და ისინი, როგორც წესი, ნერგავენ საკუთარ კანონმდებლობაში ევროკავშირში მიღებულ დირექტივებსა და რეგულაციებს. შვეიცარიის კონფედერაცია, რომელიც ასევეა EFTA-ის წევრი, არ შეუერთდა აღნიშნულ შეთანხმებას, მაგრამ მრავალი ორმხრივი შეთანხმების გაფორმების გზით, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტნიორებს შორის საქონლისა და მომსახურების ხარისხის ინფრასტრუქტურის წესების ცნობას, თავისუფალ ვაჭრობას, საავიაციო და სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურების თავისუფლებას, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების აღმოფხვრას,

სახელმწიფო შესყიდვებზე წვდომას და ა.შ. ქვეყანა ფუნქციურად ინტეგრირებულია ევროკავშირთან და სრულფასოვნადაა დაშვებული მის ერთიან ბაზარზე.

ეკონომიკური და მონეტარული კავშირი

ეკონომიკური და მონეტარული კავშირი (EMU) ქვეყნების ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ინტეგრირების გზით მყარდება. ერთიანი მონეტარული სივრცე, ერთიანი ფულადი ერთეულით, მნიშვნელოვნად ამარტივებს ტრანსსასაზღვრო ბიზნესისა და სავაჭრო ოპერაციების წამოებას, ამცირებს გაცვლითი კურსების მერყეობით გამოწვეულ რისკებს და სავალუტო გაცვლებიდან გამომდინარე ხარჯებს.

შემდეგი ცხრილი ნათლად გვიჩვენებს ეკონომიკური და მონეტარული კავშირის ძირითად მახასიათებლებს ცალ-ცალკე.

ცხრილი 3. ეკონომიკური და მონეტარული კავშირი

ეკონომიკური კავშირი	მონეტარული კავშირი
ერთიანი ბაზარი, რომლის ფარგლებშიც ადამიანები, საქონელი, კაპიტალი და მომსახურება თავისუფლად გადაადგილდება	ვალუტების ტოტალური და შეუქცევადი კონვერტაბელურობა
კონკურენციის პოლიტიკა და ბაზრის გამაძლიერებელი სხვა მექანიზმები	კაპიტალური ტრანზაქციების სრული ლიბერალიზაცია და საბანკო და სხვა საფინანსო ბაზრების სრული ინტეგრაცია
სტრუქტურული ცვლილებებისა და რეგიონული განვითარების ერთიანი პოლიტიკა	გაცვლითი კურსების ფლუქტუაციის ზღვრების გაუქმება და გაცვლითი კურსების პარიტეტის უცვლელად დაფიქსირება
მაკროეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია, საბიუჯეტო პოლიტიკის სავალდებულო წესების ჩათვლით	ერთიანი ფულადი ერთეულის შემოღება

მე-20 საუკუნეში ევროპის ქვეყნები ინტენსიურად მიმართავდნენ მონეტარული პოლიტიკის კოორდინაციას, მაგრამ მძლავრი და სტაბილური მონეტარული კავშირის შექმნა მხოლოდ ევროკავშირის ფარგლებში მოხერხდა. ამოცანიდან გამომდინარე, ჯერ

კიდევ 1970-იან წლებში მონეტარული სისტემის მთავარ ინსტრუმენტს *გაცვლითი კურსის მექანიზმი* (ERM) წარმოადგენდა, მის ძირითად ელემენტს კი - ორმხრივი გაცვლითი კურსების ე.წ. *პარიტეტების ბადე.* ბადეში შემავალი ყველა ვალუტა მოქნილად ებმებოდა ერთმანეთს ± 2.25%-ის ფარგლებში ფლუქტუაციის დაშვებით. 1992 წელს დადებული მასტრიხტის შეთანხმებით, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა EMU-ის შექმნა დაიწყეს. დამტკიცდა ე.წ. *მასტრიხტის (კონვერგენციის) კრიტერიუმები*, რომელთა შესრულებაც განიხილებოდა და ახლაც განიხილება, როგორც აუცილებელი პირობა ეკონომიკური და მონეტარული კავშირის წევრობის აუცილებელ პირობად. ეს კრიტერიუმები ეხება ქვეყანაში ინფლაციის დონეს, საბიუჯეტო დეფიციტს, საგარეო ვალს, გაცვლითი კურსის სტაბილურობასა და საბანკო პროცენტს.

ევროს, როგორც ერთიანი ვალუტის, შემოღება ანგარიშებზე 1999 წლიდან მოხდა. 2002 წლიდან კი ფიზიკური ფულის ერთეულიც გავიდა მიმოქცევაში. 2002 წელს ევრო ევროკავშირის 11-მა ქვეყანამ შემოიღო. დიდმა ბრიტანეთმა და დანიამ უარი განაცხადეს მიერთებაზე. დღეისთვის ევროზონაში ევროკავშირის 20 წევრი სახელმწიფოა გაერთიანებული. დანარჩენები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებენ მასტრიხტის კრიტერიუმებს. ყველა, 28-ვე ქვეყანა მონაწილეობს ეკონომიკურ კავშირში, თუმცა ამ მიმართულებით ინტეგრაცია ჯერ კიდევ გასაღრმავებელია.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ზოგადი მიმოხილვა

კახა გოგოლაშვილი

ძირითადი ასპექტები

ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ფართო ინსტიტუციურ ჩარჩოს წარმოადგენს. ის არ შექმნილა ცარიელ ადგილას. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ინსტიტუციური თანამშრომლობის ჩარჩოს შექმნა დაიწყო *პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ* შეთანხმებით (ხელი მოეწერა 1996 წელს) და ამჟამად ვითარდება აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში. შეთანხმების შესავალ ნაწილში საქართველო მოხსენიებულია, როგორც **აღმოსავლეთევროპული სახელმწიფო,** აღიარებულია მისი **ევროპული მისწრაფებები** და **არჩევანი**, წევრ სახელმწიფოებთან მისი **ისტორიული კავშირები** და **საერთო ღირებულებები**, რაც პრაქტიკულად ადასტურებს მის ევროკავშირში გაწევრიანების უფლებას ევროგაერთიანების შესახებ რომის ხელშეკრულების 49-ე მუხლის შესაბამისად.

ასოცირების შეთანხმებით მხარეები ესწრაფვიან გააძლიერონ თანამშრომლობა დემოკრატიული ფასეულობების დასაცავად, საქართველოში სახელმწიფო მშენებლობისა და რეფორმების წინსვლისთვის, რაც დაეხმარება ევროკავშირის სხვადასხვა **პოლიტიკაში, პროგრამებსა და სააგენტოებში ქვეყნის მონაწილეობას.**

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, კარგი მმართველობა, მათ შორის საგადასახადო სფეროში, სავაჭრო ინტეგრაცია და გაღრმავებული ეკონომიკური თანამშრომლობა, ინსტიტუციური განვითარება, საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის რეფორმა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, სიღარიბის შემცირება და თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში თანამშრომლობა განიხილება წინამდებარე შეთანხმების ქვაკუთხედად. ევროკავშირმა გამოხატა მზადყოფნა, ხელი შეუწყოს საქართველოში რეფორმების განხორციელებას. საერთაშორისოდ ნაკისრი ვალდებულებების დაცვა დემოკრატიის და მშვიდობის სფეროში უნდა მოხდეს ხელმოწერილი ევროპული კონვენციების, გაეროსა და ეუთოს ფუძემდებლური დოკუმენტების პატივისცემის საფუძველზე.

შეთანხმებაში მხარეები გამოხატავენ სრულ პატივისცემას დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისო დონეზე აღიარებული საზღვრების ურღვევობის პრინციპების მიმართ. ხაზგასმულია საქართველოში კონფლიქტის მშვიდობიანი და საბოლოო მოგვარების აუცილებლობა და ამ მიმართებაში ევროკავშირის ვალდებულება მხარი დაუჭიროს ამ პროცესს. ასოცირების შეთანხმება ავალდებულებს მხარეებს ებრძოლონ ორგანიზებულ დანაშაულს, ტერორიზმის ჩათვლით. გააღრმაონ თანამშრომლობა მოქალაქეთა მობილურობის გაზრდის, მომავალში უვიზო მიმოსვლის დამკვიდრების (კარი III) მიმართულებით.

ეკონომიკური ინტეგრაცია, პირველ რიგში DCFTA-ის განხორციელება, აღიარებულია შეთანხმების მიზნად და მხარეთა ვალდებულებად. შეთანხმება გამიზნულია შექმნას ვაჭრობისა და ინვესტიციების განვითარებისათვის ახალი გარემო. ამავე დროს მხარეებმა უნდა დაიცვან გარემო მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით. ვალდებულებას იღებენ რა გააძლიერონ ენერგორესურსების მიწოდების უსაფრთხოება, მათ შორის „სამხრეთის დერეფნის" განვითარების მეშვეობით, მათ შორის, საქართველოში შესაბამისი პროექტების განვითარების წახალისების გზით, რაც ხელს შეუწყობს სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარებას საქართველოს გავლით ტრანზიტისთვის, ბაზრის ინტეგრაციის ზრდასა და ევროკავშირის კანონმდებლობის (*EU acquis*) ძირითად ელემენტებთან ეტაპობრივ დაახლოებას; აგრეთვე, ხელი შეუწყონ ენერგოეფექტურობის ზრდასა და განახლებადი ენერგორესურსების გამოყენებას; ხაზგასმულია ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობა (ენერგოქარტიის ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულების ჩათვლით), ასევე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უსაფრთხოების დონის ამაღლების, ხალხთაშორის კონტაქტების განვითარების, სამეცნიერო და ტექნოლოგიური, ბიზნესის, ახალგაზრდობის, განათლებისა და კულტურის სფეროებში თანამშრომლობა. შეთანხმების განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს ორივე მხარის საზღვრისპირა და რეგიონთაშორის თანამშრომლობას. ყველა ამ ვალდებულების შესასრულებლად საქართველომ სათანადოდ უნდა განავითაროს თავისი ადმინისტრაციული და ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა. ევროკავშირი გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ტექნიკური, ფინანსური და ეკონომიკური მექანიზმს, რათა ხელი შეუწყოს საქართველოში მიმდინარე რეფორმებს.

საქართველოსთვის შეთავაზებული პოლიტიკური ასოცირების მოდელი (პოლიტიკური დიალოგი, კარი II) მხარეებს შორის თანამშრომლობის ორ, ფორმალური თვალსაზრისით განსხვავებულ, მიმართულებას მოიცავს, კერძოდ, დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების გამყარების პროცესს და საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროებში თანამშრომლობას. რეალურად, ევროკავშირს მკაფიოდ არასდროს გაუმიჯნავს ერთმანეთისგან, ერთი მხრივ, დემოკრატიული განვითარების მხარდაჭერა (ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე) და, მეორე მხრივ, სტაბილურობა და უსაფრთხოება. ნებისმიერი ჩარჩოხელშეკრულება, რომელიც ევროკავშირს მესამე ქვეყნებთან გაუფორმებია, ამ მიდგომას ასახავს, რაც არის არა შემთხვევითობა, არამედ ევროკავშირის ფუნდამენტური მისიის გამოხატულება. „შეთანხმება ევროპის კავშირის შესახებ“ (TEU) ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას იმ სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით განსაზღვრავს, „რომლებმაც სტიმული მისცეს თავად მის შექმნას, განვითარებას და გაფართოებას და რომელთა გავრცელებასაც ის მთელ მსოფლიოში ცდილობს: დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების საყოველთაობა და განუყოფლობა, ადამიანის ღირსების, თანასწორობისა და სოლიდარობის პრინციპების პატივისცემა და გაერთიანებული ერების ქარტიის და საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვა“. თუ შევისწავლით ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას (რომელიც უკრაინასა და მოლდოვასთან ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებების ანალოგიურია), დავინახავთ სერიოზულ მცდელობას, რომ ევროკავშირ-საქართველოს პოლიტიკური თანამშრომლობა განვითარდეს რაც შეიძლება მაღალ დონეზე, როგორც თანამშრომლობის სიღრმის, ისე მოქმედების სფეროთა დაფარვის თვალსაზრისით. შეთანხმება მიზნად ისახავს, რომ პოლიტიკური დიალოგი „გაზრდის პოლიტიკური თანამშრომლობის ეფექტიანობას და ხელს შეუწყობს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში დაახლოებას, ურთიერთობების გამყარებას ამბიციური და ინოვაციური გზით“. პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავება დანახულია პოლიტიკური და უსაფრთხოების პოლიტიკის მზარდი დაახლოების პრიზმაში.

პოლიტიკური თანამშრომლობის ნაწილში ასოცირების შეთანხმება ისეთ საკითხებს ეხება, როგორებიცაა: საერთაშორისო სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა მრავალმხრივი თანამშრომლობის ეფექტიანად განხორციელების

საფუძველზე; მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა; საერთაშორისო უსაფრთხოება და კრიზისის მართვა; გლობალურ და რეგიონულ გამოწვევებსა და მთავარ საფრთხეებზე რეაგირება; ტერიტორიული მთლიანობის, საერთაშორისო დონეზე აღიარებული საზღვრების ურღვევობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პრინციპების ხელშეწყობა; ევროპის კონტინენტზე მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხელშეწყობა; უსაფრთხოების და თავდაცვის სფერო და რეგიონული თანამშრომლობა. პოლიტიკური თანამშრომლობის საგანია ასევე საქართველოში კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება.

შეთანხმებაში აღიარებულია 12 აგვისტოს 2008 წლის 6-პუნქტიანი შეთანხმების შესრულების, მის საფუძველზე შექმნილი საერთაშორისო მექანიზმების მხარდაჭერის და იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების აუცილებლობა. შეთანხმების პირობები გავრცელდება საქართველოს ყველა მოქალაქეზე, კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებული საზოგადოების ჩათვლით.

არც ერთი სხვა შეთანხმება, რომელიც ევროკავშირს მესამე ქვეყნებთან (ნატოს წევრი ქვეყნების გამოკლებით) გაუფორმებია, არ არის ასე დეტალურად გაწერილი და ამბიციური პოლიტიკური თანამშრომლობის და უსაფრთხოების სფეროში ვალდებულებების თვალსაზრისით. აშკარაა, რომ სტაბილიზებისა და ასოცირების შეთანხმებაშიც (დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებთან) კი ევროკავშირს ასეთი დეტალები არ დაუკონკრეტებია და საკმაო სივრცე დაუტოვა პოლიტიკურ ფორმატს - განსაზღვროს პარტნიორებს შორის ინტერაქციის არეალი.

ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები

შეთანხმების IV კარი შეეხება მხარეებს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნას. ეს ასოცირების შეთანხმების ყველაზე დიდი და რთული ნაწილია. თავისუფალი სავაჭრო სივრცე ევროკავშირის მიერ დადებული ყველა ასოცირების შესახებ შეთანხმების ქვაკუთხედს წარმოადგენს, მაგრამ საქართველოსთან გაფორმებული შეთანხმების განსაკუთრებული მნიშვნელობა ისაა, რომ მხარეები ერთმანეთს საბაჟო გადასახადებისგან ათავისუფლებენ.

დარგობრივი თანამშრომლობა

შეთანხმების V,VI და VII კარში წარმოდგენილია მხარეებს შორის 22 სფეროში თანამშრომლობის დებულებები. ეს მოიცავს ეკონომიკურ თანამშრომლობას, ფარავს ისეთ თემებს, როგორიცაა ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ფინანსები და ბიზნესი, გარემოს დაცვა, ჯანმრთელობის დაცვა, კულტურა და სხვა. ამ თანამშრომლობის მთავარი მიზანია საქართველოში პოლიტიკის მართვის შესაძლებლობების განვითარება და ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოვება. სექტორული თანამშრომლობის საერთო მიდგომის უკეთ გასაგებად შეიძლება მაგალითად მოვიყვანოთ ერთ ცალკეულ სექტორში - სოფლის მეურნეობაში - შეთანხმებული დებულებები, რომლებიც ითვალისწინებენ მუდმივ დიალოგს და ხელშეწყობას შემდეგ საკითხებში:

- სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკა, კარგი მმართველობისა და პრაქტიკის ჩათვლით;
- ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება;
- სფეროში წარმოების მოდერნიზაცია და მდგრადი განვითარება;
- ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება სოფლის თემებში ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით;
- კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- პოლიტიკის კონტროლის მექანიზმების ხელშეწყობა;
- ღვინის წარმოება და აგროტურიზმი;
- ფერმერთა მომსახურების ცენტრების განვითარების ხელშეწყობა;
- საკითხების ჰარმონიზაციისაკენ სწრაფვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში.

ევროკავშირი ასევე დახმარებას გაუწევს საქართველოს მთავრობას აღნიშნულ სფეროში კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან და რეგულაციებთან დაახლოებაში.

თანამშრომლობის ინსტიტუტები და სამოქალაქო საზოგადოება

შეთანხმების VIII კარში მოცემულია დასკვნითი და ინსტიტუციური

დებულებები. შეთანხმება ადგენს მხარეებს შორის პოლიტიკური დიალოგის შესაძლებლობას ყველა დონეზე. მაღალ დონეზე პოლიტიკური დიალოგის წარმოებისთვის იქმნება ასოცირების საბჭო, წარმოდგენილი მინისტრების დონეზე, სხვა შესაბამისი ინსტიტუტები ძირითადად ასოცირების საბჭოს მუშაობას უჭერენ მხარს.

ამ კარის შესაბამისად იქმნება შემდეგი ასოცირების ინსტიტუტები:

პოლიტიკური დიალოგის ორგანო	ფუნქციები	სიხშირე
ასოცირების საბჭო	მინისტრები, ევროკომისია. შეთანხმების ზედამხედველობა და მონიტორინგი. იღებს გადაწყვეტილებებს, რომელთა აღსრულებაც სავალდებულოა მხარეთათვის. შეუძლია ჩაასწოროს IV კართან დაკავშირებული დანართები.	მინიმუმ ერთხელ წელიწადში
ასოცირების კომიტეტი	მაღალი თანამდებობის საჯარო მოხელეები. ასოცირების საბჭოს დაეხმარება მოვალეობებისა და ფუნქციების შესრულებაში. საბჭოსგან დელეგირებული აქვს მოვალეობები.	მინიმუმ ერთხელ წელიწადში
საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი	ევროპარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის წევრები. შეთანხმების განხორციელების მონიტორინგი.	წელიწადში ერთხელ
ქვეკომიტეტები	საშუალო დონის სახელმწიფო მოხელეები. იქმნება სხვადასხვა სფეროში, მხარეებს შორის შეთანხმებით: ვაჭრობა, ადამიანის უფლებები, JLS და სხვა.	

მხარეები ასევე ხელს შეუწყობენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების რეგულარულ შეხვედრებს მათი ინფორმირებულობის და შეთანხმების განხორციელებაში მათი მონაწილეობის გაზრდის მიზნით.

ამ მიმართულებით შეთანხმება ითვალისწინებს შემდეგი ფორმატების დაფუძნებას:

ინსტიტუტი	ფუნქციები/თემები	სიხშირე
სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა	ევროკავშირის და საქართველოს 9+9 არასამთავრობო ორგანიზაცია. რეკომენდაციების შემუშავება და წარდგენა ასოცირების ინსტიტუტებში.	მინიმუმ ერთხელ წელიწადში
ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების შრომითი ან გარემოსდაცვითი საკითხების საერთაშორისო ფორუმები	მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) და მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებები (MEAs)	არ არის განსაზღვრული
ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფი	ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მხარეების დაბალანსებული მონაწილეობა, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნესჯგუფები, სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩათვლით.	შეთანხმებით

ტერიტორიული გამოყენება

შეთანხმების ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები (IV კარი) გავრცელდება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობა აღადგენს სრულ კონტროლს მათზე.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე: ზოგადი მიმოხილვა

კახა გოგოლაშვილი

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების პროცესის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნაა. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე პარტნიორებს სთავაზობს საკმაოდ ფართო ლიბერალიზაციას საქონელსა და მომსახურებაზე, სატარიფო ბარიერების, ანუ საბაჟო გადასახადების თითქმის სრული გაუქმებით. ასევე შესაძლო ხდება არასატარიფო ბარიერების მინიმალიზაცია კვოტების და ლიცენზიების გაუქმებით, ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ზომების მინიმალიზაციით, საბაჟო წმენდის პროცედურების გამარტივებით და ა.შ. თუმცა სრული და ნამდვილი სავაჭრო ლიბერალიზაციის მთავარი ფაქტორი, განსაკუთრებით ევროკავშირის ერთიანი ბაზრის პირობებში, არის სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებთან და ტექნიკურ ბარიერებთან გამკლავება. ნეოლიბერალურმა მიდგომამ, რომელიც წლების განმავლობაში გამოიყენებოდა ჩვენს ქვეყანაში, მომხმარებელი და გარემო პრაქტიკულად დაუცველი დატოვა ბაზარზე განთავსებული ადგილობრივი და იმპორტირებული საქონლის ნეგატიური ეფექტებისაგან. ყველა სახის ტექნიკური რეგულაციები, სანიტარიული შემოწმებები, ბაზრის ზედამხედველობა, ჩვენს ქვეყანაში პრაქტიკულად გაუქმდა სურსათის უვნებლობის დარგში რეგულაციები და მათი გამტარებელი ინსტიტუტები; არ არსებობდა ხარისხის ინფრასტრუქტურა. ასეთმა მიდგომამ მთლიანად გამორიცხა რაიმე გრძელვადიანი შეთანხმება ევროკავშირთან, რაც გაგვიმარტივებდა ჩვენი პროდუქტის შეტანას მათ ბაზარზე. შესაბამისად, 2009 წლიდან საქართველოს ხელისუფლებამ ინტენსიურად დაიწყო ხარისხის, ინფრასტრუქტურისა და პროდუქტის უვნებლობის მართვის სისტემის ხელახალი შექმნა, რაც ევროკავშირს დაწესებული ჰქონდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყების წინაპირობად.

ასოცირების შესახებ შეთანხმება და, განსაკუთრებით, მისი IV კარი შეიცავს შესაბამის ჩანაწერებს, რომლებიც პარტნიორი ქვეყნისაგან მოითხოვენ შექმნას საკანონმდებლო გარემო, რომელიც ევროკავშირის შიდა ბაზრის შესაბამისი იქნება ისეთ საკითხებში, როგორიცაა სამართლიანი კონკურენციის სტანდარტები, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, გარემო და შრომითი უფლებები და ა.შ.

ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის დამყარებას აქვს როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური განზომილებები. ეს ნათლად გამოიხატება იმ მწვავე დისკუსიებში, რომლებსაც რეგიონული ინტეგრაციის ალტერნატიული პროექტის მხარდამჭერები მართავენ - იგულისხმება პროექტი ევრაზიის ეკონომიკური კავშირი, რომელიც რუსეთის მფარველობით ჩამოყალიბდა.

ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის, რომელიც ძალაში 2014 წლის 1 სექტემბრიდან შევიდა, ბევრ უპირატესობას შეიცავს. ის პარტნიორებს თითქმის სრულად ათავისუფლებს საბაჟო გადასახადებისაგან, მცირე გამონაკლისების გარდა. შეთანხმება ასევე იძლევა მნიშვნელოვან უპირატესობას ტექნიკური ბარიერების გადალახვის საკითხშიც. მეორე მხრივ, მისი რეალური და ეფექტიანი გამოყენება მოითხოვს სწრაფ და ეფექტურ ჰარმონიზაციას საკანონმდებლო და რეგულაციური სისტემების კუთხით, ორმხრივ აღიარებას და წარმოშობის დიაგონალური კუმულაციის წესების შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას. დიაგონალური კუმულაცია მომავალში, სავარაუდოდ, გავრცელდება ნორვეგიასა და შვეიცარიაზეც (რაც, შეთანხმების მიხედვით, ასევე უნდა მოხდეს თურქეთის შემთხვევაშიც).

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია არაფერს ამბობს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეზე - ის მხოლოდ მარტივ, თავისუფალ ვაჭრობას უშვებს, როგორც გამონაკლისს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმისაგან (MFN). მიუხედავად ამისა, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნა სრულად შეესაბამება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ გაფორმებული სხვა შეთანხმებების სულისკვეთებას, როგორებიცაა, მაგალითად, შეთანხმებები ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების შესახებ, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სტანდარტების შესახებ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ და სხვა. ამასთან, მაშინ, როცა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმებები რეკომენდაციის ხასიათს ატარებს და ხაზს უსვამს ძირითად გეზს, საითკენაც ქვეყნებმა თავიანთი ძალისხმევა უნდა მიმართონ, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება აწესებს ორმხრივად სავალდებულო პირობებს, რაც ამ მოთხოვნების შესრულების სრულ გარანტიას იძლევა. შეთანხმების IV კარის 26-ე მუხლის მიხედვით, „ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან მხარეებმა უნდა გააუქმონ ყველა საბაჟო გადასახადი მეორე მხარეში წარმოშობილ საქონელზე, გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა და ამ მუხლის მე-4 პუნქტისათვის ზიანის მიყენების გარეშე“. ეს გამონაკლისები მოიცავს 277 დასახელების პროდუქციის სიას (ძირითადად ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისას), რომლებიც ექვემდებარება გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს და რომელთა იმპორტირებაც ევროკავშირში მოხდება საბაჟო გადასახადის გარეშე მითითებული სატარიფო კვოტის ფარგლებში. ეს

არის დინამიკური ტიპის კვოტა, რომელიც ერგება საქართველოს მიერ აღნიშნული პროდუქტების ექსპორტის რეალურ შესაძლებლობებს. ფიქსირებული სატარიფო კვოტა, 220 ტონის ოდენობით, რეალურად მხოლოდ ერთ პროდუქტს - ნიორს ეხება. 28 სხვა პროდუქტი ექვემდებარება სპეციალურ გადასახადებს შესვლის მინიმალური გადასახადის სისტემის მიხედვით. ზემოხსენებული ყველა ნაწილობრივი შეზღუდვა საქართველოს საექსპორტო პოზიციების მხოლოდ 3 პროცენტს ფარავს და გავლენას არ ახდენს ვაჭრობის რეალურ მონაცემებზე.

ჩანართი 1: ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების მიხედვით იმპორტზე საბაჟო გადასახადების გაუქმება

1.	ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან მხარეებმა უნდა გააუქმონ ყველა საბაჟო გადასახადი მეორე მხარეში წარმოშობილ პროდუქციაზე, გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა და ამ მუხლის მე-4 პუნქტისათვის ზიანის მიყენების გარეშე.
2.	ამ შეთანხმების II–A დანართში ჩამოთვლილი პროდუქტები საბაჟო გადასახადის გარეშე უნდა იქნეს იმპორტირებული ევროკავშირში, ამ დანართში მითითებული სატარიფო კვოტის ფარგლებში. სატარიფო კვოტაზე გადაჭარბებით იმპორტისას გამოყენებული უნდა იყოს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესაბამისი საბაჟო გადასახადის განაკვეთი.
3.	ამ შეთანხმების II-B დანართში ჩამოთვლილი პროდუქტები ევროკავშირში იმპორტისას უნდა დაექვემდებაროს საბაჟო გადასახადის გადახდას, ამ გადასახადის ადვალორული კომპონენტის გარეშე.
4.	საქართველოში წარმოშობილი პროდუქტის იმპორტი, რომელიც ჩამოთვლილია ამ შეთანხმების II-C დანართში, დაექვემდებარება გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს წინამდებარე შეთანხმების 27-ე მუხლის შესაბამისად.
5.	ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან 5 წლის შემდეგ, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, მხარეებმა უნდა გამართონ კონსულტაციები მხარეებს შორის ვაჭრობაში საბაჟო ტარიფების ლიბერალიზაციის მასშტაბის გაფართოებასთან დაკავშირებით. ამ პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას იღებს ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტი, რომელიც განსაზღვრულია ამ შეთანხმების 408-ე მუხლის მე-4 პუნქტით.

შეთანხმება ასევე განსაზღვრავს წარმოშობის შესახებ წესებს, რომელიც საშუალებას აძლევს პროდუქტს შევიდეს ბაზარზე ეროვნული რეჟიმით. ერთი მხრივ, ეს ნიშნავს მეტ შესაძლებლობას ადგილობრივი წარმოებისათვის, რომ დაამზადოს სრულად გადამუშავებული პროდუქტი უცხოეთში დამზადებული ინგრედიენტებით ან კომპონენტებით, რაც სტიმულს მისცემს უცხოურ ბიზნესს მოიძიონ პარტნიორები საქართველოში თანამშრომლობისათვის, რათა ერთობლივი პროდუქტი ევროკავშირის ბაზარზე გაიტანონ. პროდუქტის წარმოშობის წესების კუმულაციის ეფექტი ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანია ვაჭრობის ხელშეწყობისათვის, გამომდინარე იქიდან, რაც აღნიშნულია ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებაში: „პროდუქტები ჩაითვლება საექსპორტო მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილად, თუ ისინი დამზადებულია იქ, ისეთი მასალების შემცველობით, რომლებიც წარმოშობილია მეორე მხარის ტერიტორიაზე ან თურქეთში... ასეთი მასალებისთვის საჭირო არ იქნება

გავლილი ჰქონდეთ მნიშვნელოვანი დამუშავება ან გადამუშავება...“ ამავე დროს შეთანხმება არ მოიცავს რეგიონული თუ გაფართოებული დიაგონალური კუმულაციის შესაძლებლობებს ევროკავშირის სხვა პარტნიორ თუ ასოცირებულ ქვეყნებთან. სამომავლოდ ევროკავშირი, სავარაუდოდ, აღიარებს კუმულაციას ქართულ, მოლდოვურ და უკრაინულ პროდუქტებს შორის ისევე, როგორც ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრებთან და შვეიცარიასთან. უკვე დაგეგმილია, რომ დასახელებული ქვეყნები შეუერთდნენ წარმოშობის კუმულაციის პანევროპა-ხმელთაშუაზღვის სისტემას. წარმოშობის კუმულაციის პანევროპა-ხმელთაშუაზღვის სისტემა მოიცავს ევროკავშირს, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას, თურქეთს, „ბარსელონის დეკლარაციის“ ხელმომწერ ქვეყნებს, დასავლეთ ბალკანეთსა და ფარერის კუნძულებს. როცა საქართველო, მოლდოვა და უკრაინა შეუერთდებიან თავიანთ ევროხმელთაშუაზღვის კონვენციას, ისინი ერთმანეთსა და ევროკავშირს შორის დაამყარებენ წარმოშობის წესების დიაგონალურ კუმულაციას. ეს დაფუძნებულია იმაზე, რომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებს იდენტური წარმოშობის პროტოკოლები აქვთ. ეს საკითხი ახლა მოლაპარაკებების ფაზაშია და დასრულების შემდეგ ქვეყნებს შეეძლებათ ივაჭრონ მათსავე ქვეყანაში წარმოებული ინდუსტრიული პროდუქტებით, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე „საკმარისი დამუშავების ან გადამუშავების შესახებ“.

ჩანართი 2: წარმოშობის კუმულაცია

კუმულაცია არის ტერმინი, რომელიც აღწერს ისეთ სისტემას, რომელიც საშუალებას იძლევა A ქვეყანაში წარმოებული პროდუქტი დამატებით გადამუშავდეს ან დაემატოს B ქვეყანაში წარმოებულ პროდუქტს ისე, თითქოს ის წარმოშობილი იყოს B ქვეყანაში. საბოლოო პროდუქტის წარმოშობა მიეკუთვნება B ქვეყანას. ამ სისტემის გამოყენება შეიძლება მხოლოდ ისეთ ქვეყნებს შორის, რომლებსაც იდენტური წარმოშობის წესები აქვთ. მნიშვნელოვანი და ყურადსაღები საკითხია ის, რომ კუმულაციის შემთხვევაში დამუშავება ან გადამუშავება ნებისმიერ პარტნიორ ქვეყანაში წარმოშობილ პროდუქტზე არ არის საჭირო იყოს მნიშვნელოვანი დამუშავება ან გადამუშავება, როგორც წესების ჩამონათვალშია მითითებული. არსებობს ოთხი ტიპის კუმულაცია: ორმხრივი, დიაგონალური, რეგიონული და სრული. დიაგონალური კუმულაცია მუშაობს ორზე მეტ ქვეყანას შორის, თუკი მათ გაფორმებული აქვთ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები წარმოშობის იდენტური წესებით და ჩანაწერებით ერთმანეთს შორის კუმულაციის შესახებ.

სამრეწველო პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე შესვლა ძალიან რთული პროცესია მთელი რიგი დირექტივებისა და რეგულაციების გამო, რომლებიც აწესებენ ტექნიკურ ბარიერებს - სტანდარტებს და შესაბამისობის შეფასების პროცედურებს. იმისათვის, რომ გადაილახოს ეს ტექნიკური ბარიერები და საქართველოში წარმოებული პროდუქტები ევროკავშირის ბაზარზე ყოველგვარი დამატებითი შემოწმებისა და პროცედურების გარეშე მოხვდეს, შეთანხმება მოითხოვს საქართველოში ევროკავშირის საერთო ტექნიკური რეგლამენტების შემოღებას (ტექნიკური რეგლამენტები წარმოადგენს გლობალური და ახალი მიდგომის დირექტივებს და სტანდარტებს), ასევე შესაბამისი ინსტიტუციური გარემოს შექმნას (სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება), მათ შორის ბაზრის

ზედამხედველობის ინსტიტუტების შექმნას და განვითარებას, რაც უზრუნველყოფს ამ დირექტივების სრულად განხორციელებას.

ევროკავშირის მიერ ეროვნული სააკრედიტაციო სტრუქტურების გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატების აღიარება ორი გზით მოხდება - ქართული ხარისხის ინფრასტრუქტურის მომწოდებელი ინსტიტუციები გაერთიანდებიან შესაბამის ევროპულ ორგანიზაციებში და სამრეწველო პროდუქტების შესაბამისობის შეფასებისა და აღიარების შეთანხმება გაფორმდება საქართველოსა და ევროკავშირს შორის. ეს შეთანხმება შეიძლება მოქმედებდეს სექტორულად, იმისდა მიხედვით, თუ რომელ სექტორში შეინიშნება რეალური პროგრესი საკანონმდებლო დაახლოების კუთხით.

შეთანხმება ასევე მიზნად ისახავს დაუახლოვოს საქართველოს მარეგულირებელი სისტემა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სფეროებში ევროკავშირის ანალოგიურ სისტემას და ამ ბაზაზე შექმნას მექანიზმი მხარეთა მიერ გატარებული ზომების ეკვივალენტურობის აღიარებისათვის. საქართველოს დასჭირდება კიდევ უფრო გააუმჯობესოს თავისი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზა, რათა მიაღწიოს სრულ ლიბერალიზაციას ევროკავშირის ბაზარზე სასურსათო ნაწარმის ექსპორტის მხრივ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ცხოველური წარმოშობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების აღიარება, რომლებიც საექსპორტო მხარის (საქართველოს) ტერიტორიაზე ყოველგვარი წინასწარი ინდივიდუალური შემოწმების გარეშე არსებობენ. სწორედ ამიტომ ქართულ სტრუქტურებს, რომლებმაც უნდა ჩაატარონ შემოწმება და ინსპექტირება, სჭირდებათ შესაბამისი ლაბორატორიები, პერსონალი და გამოცდილება. მათი ქმედებები უნდა იყოს გამჭვირვალე და ა.შ. სხვა შემთხვევაში ამ პრივილეგიის გამოყენება ვერ მოხერხდება.

ადვილად შესამჩნევია, რომ საქართველოს ინსტიტუციებს არ აქვთ შესაბამისი ფინანსური და ადამიანური რესურსები, რომ პოპულარიზაცია გაუწიონ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ ინფორმაციას და გადასცენ ფართო ბიზნესსაზოგადოებას, ბიზნესსექტორს კი აკლია იდეები და მოტივაცია, რათა თავად გაერკვეს ამ შეთანხმების დებულებებში და მისგან სარგებელი მიიღოს. სხვა პრობლემები შეინიშნება ქვეყანაში ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ, რომელიც საშუალებას მისცემდა ბიზნესებს შეესრულებინათ საქართველოს ტერიტორიაზე პროდუქტის სერტიფიცირებისა და კომპანიის რეგისტრაციისათვის ყველა საჭირო პროცედურა. არსებობს საჭიროება, რომ შემუშავდეს სტრატეგიული ხედვა მსგავსი მხარდაჭერისათვის და დაიწყოს ლაბორატორიების აშენება და პერსონალის გადამზადება იმ მიმართულებებით, საითაც საქართველოს დიდი საექსპორტო პოტენციალი აქვს. ასევე მნიშვნელოვანია მსგავს სფეროებში სახელმწიფოსა და კერძო სექტორის აქტიური თანამშრომლობის დამკვიდრება. საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების შესაძლო სარგებლის შესწავლისა და პოპულარიზაციის საზოგადოებრივი მხარდაჭერა არანაკლებ მნიშვნელოვანია როგორც უცხოური კომპანიებისთვის, ისე ინვესტორებისა და ბიზნესისათვის.

ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში

კახა გოგოლაშვილი

რა არის ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში?

სავაჭრო ლიბერალიზაცია საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ერთ-ერთი წამყვანი ტენდენცია გახდა. გამოყოფენ სატარიფო და არასატარიფო ბარიერებს. სატარიფო ბარიერები (ძირითად იმპორტის გადასახადის სახით) მსოფლიო მასშტაბით მუდმივად მცირდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად, თუმცა ე.წ. სავაჭრო ბარიერები კვლავაც შეიძლება ჩაითვალოს ვაჭრობის მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორებად.

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მიერ შექმნილმა პროექტმა MUST-მა შეადგინა არასატარიფო ბარიერების დეტალური სია. ის მოიცავს სხვადასხვა ზომების ერთობლიობას, როგორებიცაა სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები, ტრანსპორტირების წინა შემოწმებები, დისტრიბუციის შეზღუდვები, საფოსტო გაყიდვებზე შეზღუდვები, შეზღუდვები სახელმწიფო შესყიდვებზე, ლიცენზიები, კვოტები და სხვა. ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში წარმოადგენენ ყველაზე კომპლექსურ და გავრცელებულ არასატარიფო ბარიერებს. ზოგადად, ისინი მოიცავს ტექნიკურ რეგულაციებს და სტანდარტებს, ისევე როგორც შესაბამისობის შეფასების წესებს, მათ შორის ინსპექტირებას, დამოწმებას და სერტიფიცირებას, რაც ზღუდავს მეორე მხარის ბაზარზე საქონლისა და მომსახურების შეღწევას. ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში მიზნად ისახავენ დაიცვან მომხმარებლები და გარემო არაუსაფრთხო პროდუქტის საშიში და დამაზიანებელი ეფექტისაგან, თუმცა უფრო და უფრო ხშირად გამოიყენებიან მთავრობების მიერ იმპორტირებული საქონლის კონკურენტუნარიანობის შესამცირებლად ბაზარზე, რითაც ხდება მათი დისკრიმინაცია ადგილობრივად წარმობული მსგავსი პროდუქტთან მიმართებაში. შეზღუდვა ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების მოტივით შეიძლება წარმოიშვას მრავალი სხვადასხვა სახით, როგორიცაა ავტორიზაციის ან რეგისტრაციის მოთხოვნები, შეზღუდვები გარკვეული საქონლის იმპორტზე, ტოლერანტობის ლიმიტი ცალკეულ ნივთიერებებზე, ეტიკეტირებისა და მონიშვნის მოთხოვნები, შეფუთვა, შესრულება და სხვა.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების შესახებ შეთანხმება. იმისთვის, რომ შეემცირებინათ ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების ნეგატიური ეფექტი, 1970-იან წლებში სახელმწიფოებმა, რომლებიც ვაჭრობასა და ტარიფებზე გენერალური შეთანხმების (1947) ხელმომწერები იყვნენ დაიწყეს მოლაპარაკება შეთანხმებაზე, რომელიც დაადგენდა საერთაშორისო წესებს ამ სფეროში. შეთანხმებას მიაღწიეს 1993 წელს და 1994 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დაარსების შემდეგ მას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების შესახებ შეთანხმება ეწოდა. შეთანხმება აღიარებს სახელმწიფოების უფლებას ჰქონდეთ განსხვავებული რეგულაციები ბაზარზე შესვლასთან დაკავშირებით, თუმცა ასევე აწესებს, როგორც ცენტრალურ პრინციპს, ვალდებულებას, რომ ეს უფლება არ იყოს გამოყენებული არასაჭირო და გაუმართლებელი ბარიერების შესაქმნელად ვაჭრობაში.

მისი ლოგიკა დაფუძნებულია ოთხ ძირითად პრინციპზე:

დისკრიმინაციის არარსებობის პრინციპი - ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში ქმნის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმისა და ეროვნული ხელშეწყობის რეჟიმის ცნებებს იმპორტირებული საქონლისა და მომსახურების მიმართებისათვის ტექნიკური რეგულაციებისა და შესაბამისობის შეფასების პრაქტიკებისადმი, რამაც უნდა გამორიცხოს იმპორტირებული პროდუქტების დისკრიმინაცია ადგილობრივისაგან.

ჰარმონიზაციის პრინციპი. შეთანხმება ასევე იძლევა რეკომენდაციას გამოყენებული იყოს სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შექმნილი საერთაშორისო სტანდარტები, იმისათვის, რომ დაწესდეს ახალი ან მოდიფიცირდეს არსებული ტექნიკური რეგულაციები და შესაბამისობის შეფასების წესები.

ეკვივანტურობის პრინციპი. იგი მოუწოდებს სახელმწიფოებს ორმხრივად აღიარონ ტექნიკური რეგულაციები და შესაბამისობის შეფასების წესები როგორც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტები ვაჭრობის რელევანტური ბარიერების შესამცირებლად. ამ პრინციპის შესრულება გათვალისწინებულია ორმხრივი აღიარების შეთანხმების დადებით ან შესაბამისობის შეფასებისა და ინდუსტრიული საქონლის მიღების შესახებ შეთანხმებით.

გამჭვირვალობის პრინციპი. დამატებით, ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში აწესებს ვალდებულებას წინასწარი გაფრთხილების (60 დღემდე) შესახებ, შეთანხმების

ხელმომწერი ნებისმიერი მხარის მიერ ახალი ტექნიკური რეგულაციის ან შესაბამისობის შეფასების წესის შემოღების შესახებ. ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ შეთანხმება ასევე ხელს უწყობდა ეროვნული შესწავლის მექანიზმების შექმნას რათა უზრუნველეყო მოცემულ სივრცეში არსებული სახელმიწფო რეგულაციების გამჭვირვალობა.

ორმხრივი შეთანხმებები

იმისათვის, რომ შეამცირონ ტექნიკური ბარიერები სახელმწიფოები იყენებენ ორ მთავარ სტრატეგიას: ა) ჰარმონიზებული ტექნიკური რეგულაციები და ნორმები; ბ) შესაბამისობის პრაქტიკების ეკვივალენტურობის ორმხრივი აღიარება, რათა გარანტირებული იყოს ადვილი წვდომა სხვა ქვეყანაში სერტიფიცირებული საქონლისა და მომსახურების ბაზარზე. ყველაზე მნიშვნელოვანი პროგრესი ორივე მიმართულებით მიღწეული იყო ევროკავშირის შიგნით, სადაც ტექნიკური რეგულაციებისა და სტანდარტების ჰარმონიზაციამ ძალიან მაღალ დონეს მიაღწია. დამატებით, ევროკავშირმა წარმოადგინა ტექნიკური რეგულაციების მიღების სუპრანაციონალური სისტემა (ახალი მიდგომის დირექტივებით და რეგულაციებით) რაც მოიცავს სრულ ევროპულ ეკონომიკურ სივრცეს და საფუძველს უქმნის ტექნიკური ბარიერების გაუქმებას ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრებს შორის. ევროკავშირი, როგორც ერთიანი სავაჭრო აქტორი მოლაპარაკებებს აწარმოებს სხვა ქვეყნებთან და ხელს აწერს ორმხრივი აღიარების ან სამრეწველო პროდუქციის შესაბამისობის შეფასებასა და აღიარებაზე შეთანხმებებს მას ორმხრივი აღიარების შეთანხმებები აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, კანადასთან, ახალ ზელანდიასთან, ავტსტრალიასთან, ისრეალთან, იაპონიასა და შვეიცარიასთან. მხარეები შეთანხმებაში ჩაწერილ სფეროებში ორმხირვდ აღიარებენ შესაბამისობის შეფასების წესებს. თუ ორმხრივი აღიარების შეთანხმებებს ხელს აწერენ ორმხრივი ინტერესისა და ერთმანეთის წესების აღიარების საფუძველზე, სამრეწველო პროდუქციის შესაბამისობის შეფასებასა და აღიარებაზე შეთანხმებები საჭიროებენ ხელმომწერი ქვეყნისაგან, რომ შეუთავსოს მისი შესაბამისი ტექნიკური რეგულაციები ევროკავშირის მსგავს რეგულაციებს. ამ შეთანხმებებს ასევე ხელს აწერენ სექტორულ დონეზე, ეყრდნობიან რა შესაბამის სფეროში დაახლოების პროგრესს. ეს ახალი ტიპის შეთანხმება ევროკავშირმა ცოტა ხნის წინ დადო (2013 წლის იანვარში) ისრაელთან ფარმაცევტულ სექტორში. მსგავს შეთანხმებაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს რამოდენიმე ხმელთაშუაზღვიურ სახელმწიფოსთან და უკრაინასთან. საქართველო-ევროკავშირისა და მოლდოვა-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები ითვალისწინებენ ასეთივე შეთანხმებების ხელმოწერას, როცა შესაბამის პირობები შესრულდება.

ევროკავშირის სარეგულაციო სისტემა

ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებები ევროკავშირის დონეზე ტექნიკური ბარიერების აღმოფხვრის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. განსაკუთრებით ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 34-36 მუხლები აცხადებენ, რომ „რაოდენობრივი შეზღუდვები იმპორტზე და ნებისმიერი სხვა, იმავე ეფექტის მქონე ზომები აკრძალული იქნება წევრ ქვეყნებს შორის“. ეს ყველაფერი არ მოუწოდებს ტექნიკური ბარიერებისა და შეფასების წესების აღმოფხვრისაკენ, არამედ მოუწოდებს ვაჭრობაზე მათი ნეგატიური შედეგების აღმოფხვრისაკენ. იმავე ხელშეკრულების 36-ე მუხლი უშვებს ტექნიკურ შეზღუდვებს იმპორტზე და ექსპორტზე საზოგადოებრივი უსაფრთხოების და სხვა მნიშვნელოვანი ინტერესების დაცვის მიზნით. თუმცა მსგავსი ზომები ვერ იქნება დისკრიმინაციული ან თვითნებური სხვა წევრი ქვეყნების საქონლისა და სერვისებისადმი. ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების ნეგატიური ეფექტების ეფექტური აღმოფხვრა ევროკავშირში მიიღწევა 1) რეგულაციების, სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების ჰარმონიზაციით (ტექნიკური რეგულაციების და სტანდარტების დაახლოებით 75% ევროკავშირში ჰარმონიზებულია ძველი და ახალი მიდგომის დირექტივებით) და 2) ორმხრივი აღიარების პრინციპის გამოყენებით, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ წესები და ზომები, რომლებიც გამოიყენება ერთ წევრ ქვეყანაში ჩაითვალოს ექვივალენტურად და მისაღებად მეორეშიც.

რას შეეხება კანონების ჰარმონიზაციას, მაშინ როცა ძველი მიდგომის დირექტივები პროდუქტების დეტალურ სპეციფიკაციებს მოიცავდნენ, რაც განპირობებული იყო დროში გაწელილი და რთული მოლაპარაკებებით წევრ ქვეყნებს შორის, ახალი მიდგომის დირექტივები, რომლებიც 1985 წელს გამოჩნდა, ამცირებდა გრძელი და დეტალური დებატების საჭიროებას და აახლოებდა ძალიან სპეციფიურ ტექნიკური რეგულაციებს, მიღებულ სხვადასხვა ქვეყნების მიერ. უფრო მეტიც, ახალი მიდგომის დირექტივებმა დააწესეს უფრო ეფექტური გზა პროდუქტების ჯგუფის ძირითად ფუნქციურ ნიშან-თვისებებზე შესათანხმებლად. ევროპული სტანდარტიზაციის სტრუქტურები როგორებიცაა CEN, CENELEC და ETSI მუშაობენ ჰარმონიზებული სტანდარტების განვრცობაზე, რათა ხელი შეუწყონ ბიზნესებისმიერ ახლად შემუშავებული პროდუქტების შესაბამისობას ევროდირექტივებისადმი. ევროკავშირის ყველა პროდუქტი ექვემდებარება შესაბამისობის შეფასების პროცედურებს, რომლებიც

ადექვატურია იმ რისკებისამდი, რომლებიც მათ შეიძლება შეუქმნან მოხმარებლებს ან გარემოს. დაბალი რისკის მქონე პროდუქტები შეიძლება ექვემდებარებოდნენ თვით-განცხადებას მწარმოებლის ან დისტრიბუტორის მიერ, თუმცა სხვებს სჭირდებათ მესამე მხარეების ჩარევაც. ყველაზე მაღალი რისკის მქონე პროდუქტები გაივლიან ინსპექტირებას, შემოწმებას და სერტიფიცირებას შესაბამისი სტრუქტურის მიერ. ყველა პროდუქტი ევროკავშირში დ განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც არ არიან რომელინე დირექტივის ან რეგულაციის პირდაპირი კონტროლის ქვეშ ექვემდებარებიან პროდუქტთა საერთო უვნებლობის დირეექტივაში (2001/95/EC) გაწერილ მოთხოვნებს. წევრი ქვეყნები აღიარებენ და იღებენ შესაბამისობის სერტიფიკატებს, რომლებიც გაცემულია ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნების კომპეტენტური ორგანოების მიერ. ევროკავშირი ხელს უწყობს სააკრედიტაციო სტრუქტურებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობას.

ბაზრის მონიტორინგი ევროკავშირში დარეგულირებულია ევროკავშირის რეგულაცია 765/2008/EC-ის პრინციპების გათვალისწინებით, რომლებიც მკვეთრ გამიჯვნას ახდენს მწარმოებლის, იმპორტიორის და დისტრიბუტორის პასუხისმგებლობებს შორის. აქტივობები ხორციელდება სპეციალური სადამკვირვებლო სამსახურების მიერ წევრ ქვეყნებში, რომლებიც გადასცემენ თავიანთ აღმოჩენებს და გადაწყვეტილებებს შესაძლო რისკის მატარებელი პროდუქტების შესახებ სხვა ქვეყნებს, ევროკომისიის მიერ ადმინისტირებული სწრაფი გაფრთხილების სისტემა RAPEX-ის საშუალებით.

ეროვნული სარეგულაციო სისტემა საქართველოში

ქართული კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ტექნიკურ ბარიერებს ვაჭრობაში ექვემდებარება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის პრინციპებს. ის მოიცავს ჩანაწერებს ევროკომისიის დირექტივებიდან პროდუქტის საერთო უვნებლობაზე და უვარგის პროდუქციაზე პასუხისმგებლობის შესახებ, აღიარებს მოხალისეობრივი სტანდარტიზაციის პრინციპებს და იმეორებს ევროპულ ინსტიტუციურ არქიტექტურას შესაბამისობის შეფასებაში. და მართლაც საქართველოს საკანონმდებლო სისტემა კვლავაც რეფორმების პროცესშია და ეს პროცესი ამავე მიზნით მიღებული სტრატეგიებისა და პროგრამული დოკუმენტების მიერაა მართული.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და საქონლის თავისუფალი მოძრაობის კოდექსი (2012 წლის 8 მაისი) წარმოადგენს მთავარ საკანონმდებლო წყაროს, რომელიც არეგულირებს ტექნიკურ ბარიერებს ვაჭრობაში. კოდექსი აწესებს ყველა შესაბამის პროცედურას ამ სფეროში და ასევე გამოყოფს ძირითად ინსტიტუტებსა და მათ ფუნქციებს. ტექნიკური

რეგულაციების მიღება ცენტრალიზებულია საპრეზიდენტო ან სამთავრობო ბრძანებულების ხელში. ტექნიკური რეგულაციების რეგისტრაცია ხორციელდება იუსტიციის სამინისტროს მიერ. ეროვნული ტექნიკური რეგულაციები მიიღება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში. კოდექსი აღიარებს ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ტექნიკური რეგულაციების თანაბრობას. დამატებით, მთავრობას უფლება აქვს ასევე აღიაროს ნებისმიერი მესამე ქვეყნის ტექნიკური რეგულაციების ეკვივალეტურობაც. ამ ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქტები ხვდება ქართულ ბაზარზე ყოველგვარი დამატებითი შემოწმების ან /და სერტიფიკაციის გარეშე. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, პროდუქტები სხვა ქვეყნებიდან ექვემდებარებიან შესაბამისობის შეფასებას. გარდა სტრუქტურებისა, რომლებიც აკრედიტებულნი არიან საქართველოს ეროვნული აკრედიტაციის სამსახურის მიერ, საქართველო ასევე აღიარებს შესაბამისობის შეფასებებს იმ ორგანიზაციებისა, რომლებიც აკრედიტებულნი არიან ILAC-ს, IAF-ის, EA MRA-ს ან MLA-ს ხელმომწერი მხარეების მიერ. საქონელი რომელსაც აქვს CE მარკა ასევე მიიღება ბაზარზე ყოველგვარი დამატებითი შესაბამისობის შეფასების გარეშე.

ტექნიკური რეგულაციები

საქართველომ ნელ-ნელა დაიწყო ევროკავშირის ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების გადმოტანა თავის ეროვნული ტექნიკური რეგულაციების სისტემაში 2011 წლიდან და დღემდე ევროკავშირიდან ექვსი ახალი მიდგომის დირექტივა აქვს გადმოტანილი. ესენია დირექტივები, რომლებიც არეგულირებენ ტექნიკურ მოთხოვნებს ლიფტებზე, საბაგიროებზე, მაღალი წნევის ჭურჭელზე, მაღალი წნევის მოწყობილობებზე, წყლის გამაცხელებელ სისტემებზე, რეკრეაციულ ნაკეთობებზე. ეს პროცესი კვლავაც გაგრძელდება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების დანერგვის ჩარჩოს ფარგლებში.

სტანდარტები

GEOSTM პასუხისმგებელია სტანდარტების რეგისტრაციაზე. საქართველო აღიარებს საერთაშორისო სტანდარტებს, ხოლო თუ შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები არ არსებობს, მაშინ იქმნება ახლები. სტანდარტების დასამოწმებლად და მისაღება იქმნება შესაბამისი ტექნიკური კომიტეტები. ნებისმიერ ჯგუფს ან პიროვნებას შეუძლია შექმნას სტანდარტი და დაარეგისტრიროს ის ტექნიკური კომიტეტის დასტურის შემდეგ. ISO, IEC, CEN, CENELEC სტანდარტები შეიძლება გამოყენებული იყოს მას შემდეგ, რაც GEOSTM დაარეგისტრირებს მათ როგორც ქართულ სტანდარტებს. GOST-ის სტანდარტები ასევე მიმოქცევაშია 1998 წლის დსთ-ს შესაბამისი შეთანხმების

შედეგად. მწარმოებელს შეუძლია შექმნას და გამოიყენოს თავისი საკუთარი სტანდარტი დარეგისტრირების გარეშე, თუმცა მას პასუხისმგებლობა ეკისრება, რომ ეს სტანდარტი სრულ თანხვედრაში იყოს შესაბამის ტექნიკურ რეგულაციასთან.

ეროვნული ინსტიტუციები

ხარისხის ინფრასტრუქტურის მთავარი წარმომადგენელი ინსტიტუციები არიან: საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM), რომელიც პასუხისმგებელია ეროვნული სტანდარტების შექმანასა და რეგისტრაციაზე, ასევე მეტროლოგიის განვითარებასა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების საინფორმაციო პუნქტის მუშაობაზე; ქართული აკრედიტაციის ცენტრი (GAC), რომელიც აკრედიტაციას უწევს შესაბამისობის შემფასებელ სტრუქტურებს, როგორებიცაა ტესტირებისა და კალიბრაციის ლაბორატორიები, სამედიცინო ლაბორატორიები, პროდუქტების სასერტიფიკაციო სტრუქტურები, საინსპექციო სტრუქტურები და ა.შ. 2011 წლის შემდეგ GAC ის ევროპული აკრედიტაციის ასოცირებული წევრია. ტექნიკური და მშენებლობების ზედამხედველობის სააგენტო (TCSA) ატარებს საბაზრო ზედამხედველობას არა მხოლო მშენებლობის სფეროში, არამედ, 2012 წლის შემდეგ, ინდუსტრიულ სექტორშიც. ზედამხედველობას ექვემდებარებიან მაღალი რისკის მატარებელი სექტორები (მათ შორის რადიაციასთან და ბირთვულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სექტორები), ისევე როგორც ახალი მიდგომის დირექტივების დაფარვის ქვეშ მოქცეული სფეროები. საბაზრო ზედამხედველობის ეტაპობრივი გაფართოება ასევე დაგეგმილია საქართველოს მთავრობის ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების სტრატეგიაშიც. გარდა ზემოთაღნიშნული ინსტიტუციებისა, რომლებიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ექვემდებარებიან, საბაჟო ადმინისტრაცია ასევე ჩართულია იმპორტირებული საქონლის შესაბამისობის შეფასების პროცესის ზედამხედველობაში.

ეროვნული სისტემის ევროპეიზაცია

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, რომელიც წარმოადგენს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების მხოლოდ ნაწილს (მეოთხე კარი, ვაჭრობა და ვაჭრობასთან

დაკავშირებული საკითხები), ძალაში შევიდა 2014 წლის სექტემბრიდან. შეთანხმების მესამე თავის ეხება ტექნიკურ ბარიერებს ვაჭრობაში, რომლითაც საქართველო იღებს ვალდებულებას დაუახლოვოს სტანდარტები, ტექნიკური რეგულაციები, მეტროლოგია, ბაზრის ზედამხედველობა, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება ევროკავშირის შესაბამისი სისტემების ანალოგიურ პროცედურებს, რაც შედგება საკანონმდებლო და ინსტიტუციური ქმედებებისაგან. დამატებით, GEOSTM უნდა გახდეს შესაბამისი ევროპული და საერთაშორისო სტრუქტურების მონაწილე. ბაზრის ზედამხედველობა უნდა გახდეს სრულად ფუნქციონირებადი და ეფექტური. მას შემდეგ, რაც ეს ზომები ძალაში შევა, შესაძლებელი გახდება ACAA შეთანხმების ხელმოწერა, რომელიც უფრო განვითარებულ სექტორებს მოიცავს.

შეთანხმება აწესებს გრაფიკს, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის დირექტივების (ტექნიკური რეგულაციების) შერჩეული პაკეტი (რომელიც წარმოდგენილია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების III-A დანართში) უნდა გადავიდეს საქართველოს კანონმდებლობაში 8 წლამდე ვადაში. ამჟამად, ეს მოიცავს ევროკავშირის 21 ახალი მიდგომის (სექტორულ) დირექტივას. ე.წ. ჰორიზონტალური დირექტივები, რომლებიც არეგულირებენ უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებას ყველა სექტორში ასევე მიღებული იქნება შეთანხმების III-B დანართის მიხედვით. ევროკავშირი და საქართველო შეთანხმდნენ, რომ საქართველო მიიღებს ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მომხმარებლის დაცვას არა-რეგულირებულ სექტორებში. ამ მიზნით, საჭირო იქნება დაფუძნდეს და პოპულარიზაცია გაეწიოს სპეციალიზებულ სტრუქტურებს (მათ შორის მომხმარებელთა დაცვის კავშირებს), რომლებიც შეძლებენ კონტროლის ადექვატური დონის შენარჩუნებას დაურეგულირებელ სფეროებში (როგორებიცაა ქსოვილები, ავეჯი და ა.შ).

სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები

თამარ ლაბარტყავა

DCFTA-ის „სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების“ ნაწილის ძირითადი მიზნებია:

- სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ზომებს დაქვემდებარებული პროდუქციით ვაჭრობის ხელშეწყობა მხარეებს შორის;
- ადამიანების, ცხოველთა და მცენარეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა;
- ცხოველთა კეთილდღეობის სტანდარტებთან მიახლოება.

1990-იან წლებში ევროპაში დაფიქსირებულმა სასურსათო კრიზისმა, რომელიც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ღრუბლისებრ ენცეფალოპათიას უკავშირდებოდა, გამოავლინა სურსათისა და ცხოველის საკვების უვნებლობის უზრუნველსაყოფად ერთიანი ეფექტური საკონტროლო მექანიზმების დაწესების აუცილებლობა. შემუშავდა რისკების მართვაზე დაფუძნებული სურსათის უვნებლობის მართვის ახალი კონცეფცია - ევროკავშირის ქვეყნებში დაწესდა ერთიანი ჰარმონიზებული მოთხოვნები სურსათის უვნებლობის კუთხით, რომელთა შესრულება სავალდებულო გახდა როგორც ევროკავშირის ქვეყნების მეწარმეებისთვის, ისე იმპორტიორი მხარეებისთვის. ამ მოთხოვნების შესრულების მიზანი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა და მომხმარებლების ინტერესების დაცვაა.

DCFTA-ის ხელმოწერით, საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება 2027 წლამდე საქართველოს საკანონმდებლო აქტები ეტაპობრივად დაუახლოვოს ევროკავშირის 272 რეგულაციასა და დირექტივაში გაწერილ მოთხოვნებს, რომლებიც ეხება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობას, ვეტერინარიასა და მცენარეთა დაცვას.

DCFTA-ის მეშვეობით ქართულ აგროსასურათო კომპანიებს შესაძლებლობა ეძლევათ ისარგებლონ ხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმით და მოახდინონ საკუთარი პროდუქტის რეალიზაცია ევროპულ ბაზარზე იმ შემთხვევაში, თუ მათი საექსპორტო პროდუქტი ევროკავშირის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. თუმცა, პირველ რიგში, DCFTA განხილული უნდა იყოს, როგორც ადგილობრივ ბაზარზე მიმოქცევაში არსებული სასურსათო პროდუქტების უვნებლობის დონის ამაღლების მექანიზმი, რაც, უპირველეს ყოვლისა, ქართველი მომხმარებლების ჯანმრთელობის დაცვაზეა მიმართული.

სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების თვალსაზრისით საქართველოს ძირითადი კანონია „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“. კანონის ძირითადი მიზნებია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მომხმარებელთა ინტერესების, ცხოველთა ჯანმრთელობის და კეთილდღეობის, მცენარეთა სიჯანსაღის დაცვა, ერთიანი სახელმწიფო კონტროლის სისტემის განხორციელება და სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. კანონით განსაზღვრულია ამ სფეროსთან დაკავშირებული სხვადასხვა ტერმინები, მათ შორის:

- **ბიზნესოპერატორი** - პირი, რომლის საქმიანობა უკავშირდება სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარიული პრეპარატის, პესტიციდის, აგროქიმიკატის წარმოებას, პირველად წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას, აგრეთვე ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მომსახურებას.
  ბიზნესოპერატორი პასუხისმგებელია ყოველწლიურად გაიაროს რეგისტრაცია ეკონომიკური საქმიანობის რეესტრში. გარდა ამისა, ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებით ან/და გადამუშავებით დაკავებული ბიზნესოპერატორი ვალდებულია მოიპოვოს აღიარება სურსათის ეროვნული სააგენტოდან (კონკრეტული გამონაკლისების გათვალისწინებით).
- **მცირე ბიზნესი** - იმ ბიზნესოპერატორის საქმიანობა, რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 200,000 ლარს;
- **ოჯახური წარმოების სუბიექტი** - სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება ან/და პირველადი წარმოება არაორგანიზებულად ან/და პირადი მოხმარების მიზნით.
    - ხშირ შემთხვევაში პირები, რომლებიც სახლის პირობებში ოჯახის წევრების მონაწილეობით რეგულარულად აწარმოებენ და სავაჭრო ქსელს აწვდიან სასურსათო პროდუქტებს, მცდარად თვლიან თავს ოჯახური წარმოების სუბიექტად და ბიზნესოპერატორად არ რეგისტრირდებიან. ეს სიტუაცია კი ჯანსაღი კონკურენციის სერიოზული ხელშემშლელი ფაქტორია.

აღნიშნული კანონი ასევე უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების გადანაწილებას კერძო სექტორსა და სახელმწიფო უწყებებს შორის:

- სურსათის მწარმოებელი/გადამამუშავებელი/დისტრიბუტორი/რეალიზატორი ბიზნესოპერატორი - საბოლოო პროდუქტის უვნებლობის უზრუნველსაყოფად შიდა ოპერაციებისა და საკონტროლო ზომების ეფექტური წარმართვა, რაც ასევე მოიცავს მიკვლევადობის სისტემის დანერგვასა და ეტიკეტირების სათანადო წესების შესრულებას.
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო - სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა, სამართლებრივი აქტების შემუშავებაში მონაწილეობა, კრიზისული მდგომარეობის მართვაში მონაწილეობა, რისკის ანალიზის ორგანიზება;

- სურსათის ეროვნული სააგენტო - სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, რისკის მართვისა და კომუნიკაციის განხორციელება, სერტიფიკატების, ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემა;
- სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი - რისკის შეფასება, ახალი ჯიშების გამოცდა-შეფასება, სათესლე და სარგავი მასალის წარმოება-სტანდარტიზაცია-სერტიფიციება და ა.შ.;

- შემოსავლების სამსახური - სურსათის უვნებლობის კონტროლი საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას;
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - სურსათის უვნებლობის ნორმებისა და პარამეტრების, აგრეთვე მომხმარებელთა სპეციალური ჯგუფებისთვის მოთხოვნების განსაზღვრა, სურსათით გამოწვეული დაავადებების მონიტორინგი, კვლევა და კონტროლი, კრიზისული მდგომარეობის მართვაში მონაწილეობა.

სურსათის უვნებლობის მართვის კონცეფცია

უვნებელი სურსათი არის ისეთი სურსათი, რომელიც მისი მიზნობრივად მოხმარების შემთხვევაში ზიანს არ მიაყენებს ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის მიზნებია: 1) თავიდან აიცილოს, აღმოფხვრას ან მინიმუმამდე შეამციროს სასურსათო პროდუქტებთან დაკავშირებული რისკი, 2) უზრუნველყოს უვნებელი სურსათის წარმოება და 3) დაადასტუროს, რომ წარმოებული სურსათი უვნებელია.

სურსათის უვნებლობის თანამედროვე კონცეფციით სასურსათო ჯაჭვში ჩართული თითოეული მეწარმე (მწარმოებელი, გადამამუშავებელი, დისტრიბუტორი, სავაჭრო ქსელი და ა.შ.) პასუხისმგებელია უზრუნველყოს სურსათის უვნებლობა მისი საქმიანობის ფარგლებში. ეს მნიშვნელოვანი საკითხია იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი საფრთხე შეიძლება წარმოიშვას სასურსათო ჯაჭვის გარკვეულ ეტაპზე (მაგ., პესტიციდების ან ვეტ. პრეპარატების ნარჩენი, თუ ის მაქსიმალურად დასაშვებ ზღვარს აღემატება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტში) და მათი მართვა შეუძლებელი გახდეს სასურსათო ჯაჭვის შემდეგ ეტაპებზე (მაგ., გადამუშავებისას). შესაბამისად, აუცილებელია სურსათის უვნებლობის საფრთხეების ეფექტური კონტროლი კონკრეტული ბიზნესოპერატორის მიერ მისი საქმიანობის პროცესში, დაწყებული ნედლეულის/პროდუქტის მიღებით და დასრულებული მომხმარებლისთვის პროდუქტის მიწოდებით.

სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის დანერგვა კერძო სექტორში მოიცავს თანმიმდევრულად შესასრულებელ შემდეგ ეტაპებს:

- **ჰიგიენის ზოგადი წესები/ჰიგიენის გამარტივებული წესები**
  - პირველადი წარმოების სანიმუშო პრაქტიკა - მოთხოვნები ფერმერული მეურნეობის დონეზე;

- წარმოების სანიმუშო პრაქტიკა - გადამამუშავებელი საწარმოს/საცალო ობიექტის და ა.შ. ინფრასტრუქტურის მოწყობასთან, საწარმოო პროცესების ნაკადურობასთან დაკავშირებული მოთხოვნები;
- წინასწარი აუცილებელი პროგრამები - უვნებელი სურსათის წარმოებისთვის აუცილებელი ჰიგიენური პირობების შენარჩუნების მოთხოვნები, რაც ეხება პერსონალის პირად ჰიგიენას, მომწოდებლების კონტროლს, დასაწყობებას, რეცხვა-დეზინფექციას, ნარჩენების მართვას, წყლის კონტროლს, ალერგენების მართვას, ა.შ.;

- **საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) გეგმა/სისტემა**
  - მიმართულია სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული იმ ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური საფრთხეების კონტროლზე, რომლებიც ჰიგიენის ზოგადი წესებით/ჰიგიენის გამარტივებული წესებით ვერ იმართება.

    HACCP-ის მიდგომა 7 პრინციპს ეფუძნება: (1) საფრთხის ანალიზის განხორციელება; (2) კრიტიკული საკონტროლო წერტილების დაწესება; (3) კრიტიკული ზღვრების განსაზღვრა; (4) მონიტორინგის პროცედურების დაწესება; (5) მაკორექტირებელი ქმედებების დაწესება; (6) გადამოწმების პროცედურების დაწესება; (7) ჩანაწერების წარმოება.

სურსათის უვნებლობის ერთ-ერთი საბაზისო მოთხოვნა მიკვლევადობის არსებობაა. **მიკვლევადობა** - ეს არის სურსათის/ცხოველის საკვების, მასში გამოსაყენებლად განკუთვნილი ნებისმიერი ნივთიერების, ცხოველისა და მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტის, ვეტერინარიული პრეპარატის, პესტიციდის და აგროქიმიკატის შესახებ მონაცემებისა და ინფორმაციის დადგენის შესაძლებლობა მათი წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე. კონკრეტული ბიზნესოპერატორი ვალდებულია ფლობდეს ინფორმაციას ჩანაწერების საფუძველზე იმის შესახებ, თუ რომელი სახეობის, რომელი პარტიის, რა რაოდენობის ნედლეულის მიღება მოხდა კონკრეტულ დღეს კონკრეტული მომწოდებლისგან და რომელი პარტიის, რა რაოდენობის მზა პროდუქტის მიწოდება მოხდა კონკრეტული მომხმარებლისთვის კონკრეტულ დღეს. გარდა ამისა, მეწარმემ ჩანაწერების საფუძველზე უნდა იცოდეს, თუ რა პირობებში მოხდა კონკრეტული პარტიის მზა პროდუქციის წარმოება და მის დასამზადებლად რა ნედლეული გამოიყენა. კონკრეტული ბიზნესოპერატორის მიკვლევადობის სისტემა ვრცელდება უშუალო მომწოდებლამდე და უშუალო მომხმარებლამდე.

ამჟამად საქართველოს კანონმდებლობით HACCP-ის დანერგვა სავალდებულოა სასაკლაოებისთვის და იმ ბიზნესოპერატორებისთვის, რომლებიც ნედლი რძის თერმულ დამუშავებას ახორციელებენ. 2018 წლის 1 იანვრიდან HACCP-ის სისტემის დანერგვა მოეთხოვებათ გადამუშავებული თხილის გულის ექსპორტიორებს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ქართული თაფლის ან თევზის ექსპორტის შემთხვევაში გასაცემი ვეტერინარიული სერტიფიკატი ითვალისწინებს HACCP-ის პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის არსებობას ექსპორტიორ საწარმოში.

ევროკავშირის მსგავსად, HACCP-ის სისტემის დანერგვა ეტაპობრივად სავალდებულო გახდება ყველა სხვა სექტორის ბიზნესოპერატორებისთვის, გარდა პირველადი წარმოებისა.

ეკვივალენტობა

ერთი მხრივ, ევროკავშირს დაწესებული აქვს შიდა საკანონმდებლო მოთხოვნები, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის მიერ და ამავდროულად ექსპორტიორი მესამე ქვეყნებისთვის განსაზღვრული აქვს შესაბამისი ეკვივალენტური ზომები. ეკვივალენტობა არის მდგომარეობა, როდესაც ექსპორტიორ ქვეყანაში (საქართველოში) დანერგილი ღონისძიებები, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავდება იმპორტიორი მხარის ღონისძიებებისგან, რეალურად აღწევს იმპორტიორი მხარის მიერ დაწესებული რისკის მისაღებ დონეს.

ამ მიზნით, იმპორტიორ მხარეს მოთხოვნის საფუძველზე უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა განახორციელოს ინსპექტირება, ტესტირება, დამოწმება და სხვა შესაბამისი ქმედებები. მხარეებმა უნდა გამართონ კონსულტაციები ორ- და მრავალმხრივი შეთანხმებების მისაღწევად კონკრეტული სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ღონისძიებების ეკვივალენტობის აღიარების მიზნით. იმპორტიორი მხარის მიერ დამოწმების ქმედებები შეიძლება მოიცავდეს:

- ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს ინსპექტირების და სერტიფიცირების სისტემის მთლიან ან ნაწილობრივი დამოწმებას;
- გარკვეული რაოდენობის საწარმოების ინსპექტირებას ადგილზე.

დამოწმება შესაძლებელია იყოს საწარმოთა პირობითი აღიარების პროცედურის ნაწილი.

ცხოველური წარმოშობის სურსათის დაშვება ევროკავშირის ქვეყნებში

მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირში ცხოველური წარმოშობის სურსათის ექსპორტის მოთხოვნები ამ პროდუქტების მაღალი რისკიდან გამომდინარე, ძალიან განსხვავდება მცენარეული პროდუქტების ექსპორტის წესებისგან. ცხოველური წარმოშობის სურსათის ექსპორტის უფლების მოსაპოვებლად აუცილებელია შემდეგი პროცედურების გავლა:

- სახელმწიფოს დონეზე - ქვეყნის მიერ ავტორიზაციის მოპოვება, რისთვისაც აუცილებელია:
  - ნარჩენების (ვეტერინარიული პრეპარატების, პესტიციდების, გარემოდან სხვა დამაბინძურებლების) მონიტორინგის პროგრამის შემუშავება;
  - კომპეტენტური ორგანოს სტრუქტურის, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების, ნარჩენების ტესტირებისთვის შერჩეული ლაბორატორიების ნუსხის და მათი

აკრედიტაციის სტატუსის, ნიმუშების აღების ოფიციალური წესების განსაზღვრა.

- ბიზნესოპერატორის დონეზე:
  - ბიზნესოპერატორად რეგისტრაცია და აღიარება;
  - კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილება;
  - კონკრეტული ბიზნესოპერატორის ჩართვა მესამე ქვეყნებიდან ცხოველური წარმოშობის სურსათის ექსპორტისთვის ნებადართული საწარმოების სიაში;
  - პროდუქტის ყოველი პარტიისთვის ვეტერინარიული სერტიფიკატის აღება.

დღეისათვის საქართველოდან ევროკავშირში ნებადართულია მატყლის, თაფლის და ზღვის თევზის ექსპორტი.

RASFF

პარტნიორ ქვეყნებს შორის საფრთხის შემცველი სურსათის/ცხოველის საკვების შესახებ ინფორმაციის ეფექტური გაცვლის მიზნით ევროკავშირში მოქმედებს სურსათის/ცხოველის საკვების სწრაფი განგაშის სისტემა (RASFF). მასში ჩართული არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნების, ევროკომისიის, ევროპის სურსათის უვნებლობის სააგენტოს (EFSA), ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციისა (EFTA) და მესამე ქვეყნების მიერ დასახელებული საკონტაქტო პირები (საქართველოს მხრიდან სურსათის ეროვნული სააგენტო და შემოსავლების სამსახური). ამ სისტემით გავრცელებული ინფორმაცია, კონკრეტული კომპანიის დასახელების გარეშე, ხელმისაწვდომია RASFF-ის პორტალზე.

DCFTA-ს დადებითი შედეგები და გამოწვევები

DCFTA-ის შედეგად სანიტარიული და ფიტოსანიტარიული თვალსაზრისით საქართველოსთვის მოსალოდნელია შემდეგი სარგებელის მიღება:

- სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სტანდარტების გაუმჯობესება როგორც ადგილობრივი, აგრეთვე საექსპორტო და იმპორტირებული პროდუქტისთვის;
- საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა;
- ქართული კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლება საერთაშორისო ბაზარზე და შედეგად ქართველი მწარმოებლების მიერ სარეალიზაციო ბაზრის დივერსიფიკაცია სტაბილური, ღია, გამჭვირვალე თამაშის წესებისა და მზარდი მოთხოვნის მქონე ქვეყნებში.
- დადებით მხარეებთან ერთად აგრეთვე გასათვალისწინებელია გარკვეული გამოწვევები:
- სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილება;

- ევროკავშირის მომხმარებლების (საცალო ქსელის ობიექტები, სავაჭრო კომპანიები, გადამამუშავებელი კომპანიები) მხრიდან დაწესებული მოთხოვნები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, უფრო მკაცრია, ვიდრე ევროკავშირის სურსათის უვნებლობის საკანონმდებლო მოთხოვნები და აგრეთვე ეხება პროდუქტის ხარისხობრივ პარამეტრებსა, კონკრეტული სტანდარტების დაკმაყოფილების მოთხოვნას (მაგ., GLOBALGAP, ISO 22000, FSSC 22000, IFS, BRC, ა.შ.);
- საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ხშირი ცვლილებები;
- საკანონმდებლო აქტების სრულყოფილი ამოქმედება;
- სასურსათო სექტორთან დაკავშირებული ორგანიზაციების (ლაბორატორიების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, კვლევითი ინსტიტუტების, ა.შ.) განვითარების არასათანადო დონე;
- პროფესიული ცოდნისა და ინფორმაციის ნაკლებობა;
- სათანადო კადრების ნაკლებობა;
- ხშირ შემთხვევაში დამკვიდრებული მიდგომა კერძო სექტორის წარმომადგენლებსა და მომხმარებლებს შორის, რომ „ყველაფერი სახელმწიფომ უნდა გააკეთოს“.
- პირველადი წარმოების განვითარების დაბალი დონე და მცირე ზომის ფერმერული მეურნეობები, რაც საკმარისი რაოდენობის პროდუქტისა და სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფას უქმნის პრობლემას;
- მოკლე- და საშუალოვადიან პერსპექტივაში გაზრდილი ხარჯები საკანონმდებლო მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, რაც განპირობებულია შემდეგი საჭიროებებით: სახელმწიფო კონტროლის სისტემის დახვეწა, საკანონმდებლო აქტების შემუშავება-ამოქმედება, სასურსათო საწარმოებისა და აგრეთვე სექტორთან დაკავშირებული ორგანიზაციების ცნობიერებისა და პროფესიონალური დონის ამაღლება, ინვესტიციები როგორც ქვეყნის, ასევე ცალკეული კომპანიების ინფრასტრუქტურის მოწყობა-გაუმჯობესებისათვის.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევის გადალახვა სახელმწიფოს, კერძო სექტორისა და მომხმარებლების მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად უნდა განხორციელდეს.

მომსახურებით ვაჭრობა

კახა გოგოლაშვილი

საქონელი და მომსახურება - ორივე სავაჭრო პროდუქტია, მაგრამ მათ შორის ძალიან დიდი განსხვავებაა: საქონელი ფიზიკური საგანია, მომსახურება კი უფრო პროცესი ან ქმედებაა, მაგალითად, როგორიცაა ვინმესთვის თმის დავარცხნა ან საბუღალტრო ბალანსის შედგენა, მგზავრების ტრანსპორტით გადაყვანა, მაგალითად, თვითმფრინავით (ავიამომსახურება), ან მატარებლით ტვირთის გადაზიდვა. მომსახურების კლასიფიკაციისას გამოყოფენ „მატერიალურ“ და „არამატერიალურ“ ზემოქმედებას.



საერთაშორისო ჩარჩო

მომსახურებით ვაჭრობა მთელ მსოფლიოში საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ძალზე სწრაფად მზარდ და დინამიკურ ფორმას წარმოადგენს. საერთაშორისო დონეზე, მსო-ის ფარგლებში, ამ დარგში ვაჭრობის წესებს არეგულირებს გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ (GATS). მომსახურებით ვაჭრობის სფერო ზოგადად ნაკლებად ლიბერალიზებულია და საერთაშორისო დონეზე მიღებული

წესები ქვეყნებს მეტ თავისუფლებას ანიჭებს, რათა თავად გადაწყვიტონ რა დოზით დაუშვან საკუთარ ბაზარზე უცხო ქვეყნის პროდუქტი.

GATS-ის მთავარი პრინციპი გამოხატულია ე.წ. ბაზარზე დაშვების დებულებაში, რომელიც ადგენს, რომ მესამე ქვეყნების მომსახურების მიმწოდებლებსა და ინვესტორებს ქვეყნები მომსახურების ბაზარზე იმაზე არანაკლები ხელშემწყობი პირობებით დაუშვებენ, ვიდრე ამას მომსახურების საკუთარ მიმწოდებლებს ან ინვესტორებს ანიჭებენ.

GATS-ი და, შესაბამისად, AA/DCFTA გამოყოფს მომსახურების მიწოდების 4 მოდელს:

- *ტრანსსასაზღვრო ვაჭრობა (მომსახურების საზღვრებს მიღმა მიწოდება)* - მომსახურების მიწოდება ერთი ქვეყნის ტერიტორიიდან მეორე ქვეყანაში ფოსტით, ელექტრონული ფოსტით, ტელეფონით, ინფორმაციის გადაცემის სხვა საშუალებებით.

მომსახურების სფეროები GATS-ის მიხედვით

ბიზნესი და პროფესიული მომსახურება

კომუნიკაცია

სამშენებლო მომსახურება

ფინანსური მომსახურება

სადისტრიბუციო მომსახურება

სწავლება და განათლება

ენერგეტიკული მომსახურება

გარემოსდაცვითი მომსახურება

ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება

ტურიზმი

სატრანსპორტო მომსახურება

- *უცხოეთში მოხმარება* - როდესაც ერთი ქვეყნის მოქალაქე მეორე ქვეყანაში ჩადის მომსახურების მისაღებად (ტურიზმი, ჯანდაცვა).
- *კომერციული წარმომადგენლობა* - ერთი ქვეყნის მომსახურების მომწოდებელი ფუძნდება მეორე ქვეყანაში, ოფისის ან შენობის დაქირავების ან საკუთრებაში აღების გზით.
- *ფიზიკური პირების წარმომადგენლობა* - ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში მომსახურების გასაწევად ჩასული/დაფუძნებული ფიზიკური პირები (მასწავლებლები ექიმები, კონსულტანტები).

GATS-ის ხელმომწერი ქვეყნები მომსახურებით ვაჭრობის სრული ლიბერალიზაციის გარანტიას მხოლოდ მათ მიერვე დადგენილ სფეროებში იძლევიან. ეს სფეროები დაფიქსირებულია ე.წ. „ვალდებულებების სიაში“, რომელიც ხელშემკვრელია და სავალდებულო მას შემდეგ, რაც რეგისტრირდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. ამასთან, ქვეყნებს აქვთ სრული უფლება დატოვონ შეზღუდვები (არ გაავრცელონ ეროვნული რეჟიმი მესამე ქვეყნებზე) იმ სფეროებში, რომლებშიც საჭიროდ მიიჩნევენ. თუმცა ვალდებულება, ყველა ქვეყანას მოეპყრონ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით (ანუ ერთნაირად), ვრცელდება მომსახურების ყველა სექტორზე. ამ შეთანხმების პირობები არ ვრცელდება

სამთავრობო სექტორსა და დიდწილად საავიაციო ტრანსპორტის მომსახურების სფეროზე.

DCFTA-ით განსაზღვრული უპირატესობები

ევროკავშირსა და საქართველოს შორის მომსახურებით ვაჭრობის სფეროს არეგულირებს ასოცირების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება. განსხვავებით სასაქონლო ვაჭრობისგან, მომსახურებით ვაჭრობის დებულებები არ უზრუნველყოფენ ერთმანეთის ბაზარზე პარტნიორი ქვეყნის პროდუქტის სრულ დაშვებას. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მთლიანობაში ერთმანეთის მომსახურებას საკუთარ ბაზარზე მოქმედების ეროვნულ რეჟიმს უწესებენ, მნიშვნელოვანი დათქმები და გამონაკლისები საგრძნობლად ამცირებენ იმ საქმიანობის ნუსხას, რომელიც შეუფერხებლად და დისკრიმინაციის გარეშე ხორციელდება პარტნიორის ტერიტორიაზე.

შეთანხმების მიზანი ამ ნაწილში არის „ნაცვალგების პრინციპით დაფუძნების და მომსახურებით ვაჭრობის თანმიმდევრული ლიბერალიზაცია და თანამშრომლობა ელექტრონული კომერციის სფეროში“. ამავე დროს, მისი დებულებების თანახმად, თითოეული მხარე იტოვებს უფლებას არეგულიროს და შემოიღოს ახალი რეგულაციები „პოლიტიკის ლეგიტიმური მიზნების მიღწევისათვის“. მიუხედავად იმისა, რომ მომსახურებით ვაჭრობა ხშირ შემთხვევაში მოქალაქეების გადაადგილებას მოითხოვს და მისი ლიბერალიზაცია მჭიდროდ უკავშირდება ადამიანების თავისუფალ მიმოსვლასა და დასაქმებას, ეს შეთანხმება არ გამოიყენება მონაწილე მხარის დასაქმების ბაზარზე დაშვების მაძიებელ ფიზიკურ პირებზე, არ ეხება მოქალაქეობასთან, მუდმივ რეზიდენტობასა და დასაქმებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. ის ასევე არ ზღუდავს მხარეს გამოიყენოს ის ღონისძიებები, რომლებიც არეგულირებს მის ტერიტორიაზე ფიზიკური პირების შესვლას ან მათ დროებით ყოფნას.

DCFTA-ში **მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდება** აერთიანებს მომსახურების მიწოდების GATS-ის კლასიფიკაციით განსაზღვრულ ორ ფორმას:

- ერთი მხარის ტერიტორიიდან მეორე მხარის ტერიტორიაზე (რეჟიმი I);
- ერთი მხარის ტერიტორიაზე მეორე მხარის მომხმარებლისათვის რეჟიმი II);

შეთანხმების დებულებები მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდებაზე ვრცელდება ყველა სექტორში, გამონაკლისია:

- აუდიოვიზუალური მომსახურება;
- ეროვნული საზღვაო კაბოტაჟი;
- ადგილობრივი და საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მოძრაობის უფლებების განხორციელებას.

ამასთან, შეთანხმება მოიცავს საჰაერო ტრანსპორტის მომსახურების ისეთ სახეობებს, როგორიცაა:

- თვითმფრინავის მოვლის და შეკეთების მომსახურება, რომლის დროსაც თვითმფრინავი ამოღებულია ექსპლუატაციიდან;
- საჰაერო-სატრანსპორტო მომსახურების გაყიდვა და მარკეტინგი;
- კომპიუტერული დაჯავშნის სისტემის (CRS) მომსახურება;
- სახმელეთო მომსახურება;
- აეროპორტის საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება.

შეთანხმების XIV-B და XIV-F დანართებში ჩამოთვლილია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ კლასიფიცირებული საერთაშორისო მომსახურების ყველა სექტორი. იმავე დანართებში გაწერილია დათქმები, რომლითაც ევროკავშირი და საქართველო საერთო მინიჭებული რეჟიმიდან კონკრეტული საქმიანობების ამოღებას აფიქსირებენ. ასეთი დათქმები ძალზე ბევრია, განსაკუთრებით - ევროკავშირის ნაწილში, რაც ლოგიკურია, რადგანაც ევროკავშირი 28 დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენს, რომლებსაც, ბუნებრივია, ამ სფეროში განსხვავებული ეროვნული ინტერესი აქვთ. ამიტომ დანართებში ხშირად შეხვდებით ჩანაწერს, რომ ესა თუ ის ქვეყანა არ იღებს ბაზარზე პარტნიორი ქვეყნის მომსახურების დაშვების ვალდებულებას კონკრეტულ სექტორსა თუ ქვესექტორში.

მაგრამ იქ, სადაც ბაზარზე დაშვების ვალდებულებები გაწერილია, თითოეული მხარე მეორე მხარის მომსახურებასა და მომსახურების მიმწოდებლებს ანიჭებს იმაზე არანაკლებ ხელსაყრელ რეჟიმს, ვიდრე ის ანიჭებს თავის მსგავს მომსახურებასა და მომსახურების მიმწოდებლებს. ეს სწორედ ეროვნული რეჟიმის ვალდებულებაა.

საქართველოს დათქმები (ამონარიდი დანართი XIV-F-დან)

სექტორი ან ქვესექტორი		დათქმების აღწერა
1.	ბიზნესმომსახურება	
A.	პროფესიული მომსახურება	
	იურიდიული მომსახურება (მათ შორის, საკონსულტაციო მომსახურება შიდა და საერთაშორისო სამართალზე) (CPC 861)	რეჟიმი 1 და 2 შეზღუდვა არ არის
6.	გარემოს დაცვითი მომსახურება	
A.	საკანალიზაციო მომსახურება (CPC 9401)	რეჟიმი 1 ვალდებულება არ არის აღებული, გარდა საკონსულტაციო მომსახურებისა რეჟიმი 2 შეზღუდვა არ არის
B.	ნარჩენების გატანის მომსახურება (CPC 9402)	რეჟიმი 1 ვალდებულება არ არის აღებული, გარდა საკონსულტაციო მომსახურებისა რეჟიმი 2 შეზღუდვა არ არის

როგორც ამ კონკრეტულ მაგალითზე ვხედავთ, საქართველოს არ აქვს შეზღუდვები ბიზნესმომსახურებასთან დაკავშირებით, თუმცა შეზღუდვები აქვს გარემოსდაცვითი მომსახურების ზოგიერთ ქვესექტორში. საქართველოს მხარემ საზღვრის მიღმა მომსახურებასთან დაკავშირებით არც სატრანსპორტო მომსახურების სფეროში აიღო ეროვნული რეჟიმის მინიჭების ვალდებულება.

ქვემოთ, ცხრილში, მოცემულია მცირე ამონარიდი ევროკავშირის და წევრი ქვეყნების სექტორული დათქმების ნუსხიდან:

7. ფინანსური მომსახურება	
A. დაზღვევა და დაზღვევასთან დაკავშირებული მომსახურება	რეჟიმი 1 და 2
	AT, BE, CZ, DE, DK, ES, FI, FR, EL, HU, IE, IT, LU, NL, PL, PT, RO, SK, SE, SI და UK: ვალდებულება არ არის აღებული პირდაპირი დაზღვევის მომსახურებაზე, გარდა რისკების დაზღვევისა, რომლებიც უკავშირდება:
	i) საზღვაო გადაზიდვას და კომერციულ ავიაციას და კოსმოსურ გაშვებებს და ტვირთის გადაზიდვას (თანამგზავრების ჩათვლით), როცა ეს დაზღვევა ფარავს აქ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერს ან ყველას: ტრანსპორტირებულ საქონელს, საქონლის სატრანსპორტო საშუალებას და ამისგან წარმოშობილ ნებისმიერ ვალდებულებას და
	ii) საერთაშორისო ტრანზიტში მყოფ საქონელს.

ეს ევროკავშირის ქვეყნების დათქმების მხოლოდ ერთი მაგალითია. ასეთი სახის დათქმები ევროკავშირსა და მის წვერ ქვეყნებს პრაქტიკულად ყველა სექტორში აქვთ. აღსანიშნავია, რომ მხარეებ არც ერთ სექტორში არ აწესებენ შეზღუდვებს ე.წ. რეჟიმი II-ის (უცხოეთში მოხმარება) მიმართ.

ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ევროკავშირში საქართველოს მომსახურების მიმწოდებლისთვის რომელი სექტორებია სრულად გახსნილი ან შეზღუდული, წარმოდგენილია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების XIV-B და XIV-F დანართებში.

აღსანიშნავია, რომ თვით შეთანხმების ძირითადი დებულებები უშუალოდ უფრო დეტალურად ფარავს ისეთ სექტორებს, როგორიცაა ფინანსური მომსახურება, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების მომსახურეობა, ელექტრონული ვაჭრობა, საფოსტო მომსახურება, სატრანსპორტო მომსახურება, კომპიუტერული მომსახურება, საშუამავლო საქმიანობა. ყველა ამ სფეროში განისაზღვრება მარეგულირებლის როლი (სადაც არსებობს) და უსაფრთხოებასთან, დაშვებასთან და საკანონმდებლო დაახლოებასთან დაკავშირებული საკითხები.

მხარეებს უფლება აქვთ შემოიღონ ახალი რეგულაციები და შეზღუდვები, მაგრამ ეს უნდა იყოს მხოლოდ გონივრული მოსაზრებებიდან გამომდინარე და არ უნდა ემსახურებოდეს პარტნიორი ქვეყნის მხრიდან მიმწოდებლის დისკრიმინაციას.

ბიზნესის დაფუძნება

კახა გოგოლაშვილი

გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობაზე (GATS) გამოყოფს ბიზნესის დაფუძნების ორ სახეობას, რომელთა მეშვეობითაც ერთი ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირები კომერციულ საქმიანობას მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე ეწევიან:

- იურიდიული პირის შვილობილი კომპანიის, ფილიალის ან წარმომადგენლობის დაარსება;
- ფიზიკური პირის მიერ მომსახურების გაწევა მეორე მხარის ტერიტორიაზე.

ორივე შემთხვევაში შესაძლებელია დაფუძნება ცალკე მეწარმე პირად რეგისტრაციით ან რეგისტრაციის გარეშე.

GATS-ის მონაწილე ქვეყნები მომსახურების ამ ფორმაზე ავრცელებენ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს, რაც გულისხმობს მესამე ქვეყნებთან მიმართებაში დისკრიმინაციის გამორიცხვას, როდესაც ერთი ქვეყნის კომპანია ან ფიზიკური პირი ფუძნდება მეორე ქვეყანაში.

DCFTA-ის შესაბამისი დებულებებით ორივე მხარის მოქალაქეებისთვის დაწესებულია ეროვნული მოპყრობის რეჟიმი, როგორც დაფუძნებისას, ისე დაფუძნების შემდეგ. შეთანხმებაში ტერმინი „დაფუძნება“ გულისხმობს:

ევროკავშირის ან საქართველოს **იურიდიული პირებისთვის** ეკონომიკური საქმიანობის წამოწყების და განხორციელების უფლებას, იურიდიული პირის შექმნის, მათ შორის, შესყიდვის გზით და/ან ფილიალის ან წარმომადგენლობის შექმნით საქართველოში ან ევროკავშირში.

ფიზიკურ პირებთან დაკავშირებით - ევროკავშირის ან საქართველოს ფიზიკური პირების უფლებას, წამოიწყონ და გასწიონ ეკონომიკური საქმიანობა, როგორც თვითდასაქმებულებმა, და შექმნან მეწარმე სუბიექტები, განსაკუთრებით კომპანიები, რომლებსაც თავად აკონტროლებენ.

ეკონომიკის რა სფეროებს მოიცავს შეთანხმების დებულებები?

შეთანხმების დებულებები მოიცავს მხარეების მიერ მიღებულ ან გამოყენებულ ზომებს, რომლებიც გავლენას ახდენენ დაფუძნებაზე ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში, გარდა ისეთი სფეროებისა, როგორიცაა:

- ბირთვული მასალების მოპოვება, გადამუშავება და წარმოება;
- სამხედრო და საომარი მასალების წარმოება და ვაჭრობა;

- აუდიოვიზუალური მომსახურება;
- ეროვნული საზღვაო კაბოტაჟი;
- ადგილობრივი და საერთაშორისო-საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება, რეგულარული ან არარეგულარული, და მომსახურება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მოძრაობის უფლებების განხორციელებას (თუმცა დაშვებულია ექსპლუატაციიდან ამოღებული თვითმფრინავის მოვლა და შეკეთება; საჰაერო-სატრანსპორტო მომსახურების გაყიდვა და მარკეტინგი; დაჯავშნის კომპიუტერული სისტემის მომსახურება; სახმელეთო მომსახურება; აეროპორტის მომსახურება).

ეროვნული და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი

ევროკავშირის შვილობილი კომპანიების, ფილიალებისა და წარმომადგენლობების დაფუძნებას საქართველო ანიჭებს არანაკლებ ხელსაყრელ რეჟიმს, ვიდრე აქვთ მის საკუთარ იურიდიულ პირებს, ფილიალებსა და წარმომადგენლობებს ან რომელიმე მესამე ქვეყნის შვილობილ კომპანიებს, ფილიალებსა და წარმომადგენლობებს, რომელიც იქნება უკეთესი; შესაბამისად, ევროკავშირიც ევროკავშირის ტერიტორიაზე დაფუძნებისას საქართველოს კომპანიებს ეკვივალენტურ რეჟიმს უწესებს. საქართველო ევროკავშირის შვილობილ კომპანიების, ფილიალებისა და წარმომადგენლობების საქმიანობას მათი დაფუძნების შემდეგ ასევე ანიჭებს იმაზე არანაკლებ ხელსაყრელ რეჟიმს, ვიდრე აქვთ მის საკუთარ იურიდიულ პირებს, ფილიალებსა და წარმომადგენლობებს ან მესამე ქვეყნის შვილობილ კომპანიებს, ფილიალებსა და წარმომადგენლობებს, რომელიც იქნება უკეთესი.

შეთანხმება არ ზღუდავს მხარეებს გამოიყენონ განსაკუთრებული წესები საკუთარ ტერიტორიაზე მეორე მხარის იურიდიული პირების ფილიალებისა და წარმომადგენლობების მიმართ, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული პირველი მხარის ტერიტორიაზე, მაგრამ დასაბუთებული უნდა იყოს ამ წესების ტექნიკური თუ იურიდიული თავისებურებები და მათი გამოყენების გონივრული აუცილებლობა.

დასაბუთებული უნდა იყოს ამ განსხვავებული წესების ის ტექნიკური ან სამართლებრივი განსხვავებები, რომლებიც არსებობს ამ ფილიალებსა და წარმომადგენლობებს და იმ კომპანიების ფილიალებსა და წარმომადგენლობებს შორის, რომლებიც რეგისტრირებულია მხარის ტერიტორიაზე ან ფინანსურ მომსახურებასთან დაკავშირებით, გონივრული მიზეზებიდან გამომდინარე.

რამდენადაც მთლიანობაში მომსახურებით ვაჭრობის სრული ლიბერალიზაცია არც მსო-ის სისტემით არ არის ნაგულისხმები, როგორც ზოგადად ევროკავშირის რეგიონულ შეთანხმებებში, ისე DCFTA-ში ეს ვალდებულებები არ არის აბსოლუტური და განპირობებულია დანართებში (შესაბამისად, XIV-E და XIV-A) ჩამოთვლილი დათქმებითა და შეზღუდვებით.

დანართ X-ში მოყვანილი დათქმების ჩამონათვალი ჰორიზონტალური (ყველა სექტორზე ან ქვესექტორზე) და სპეციფიკური (კონკრეტულ სექტორში ან ქვესექტორში) ხასიათისაა. დათქმა შეიძლება აფიქსირებდეს გარკვეულ საქმიანობაზე ლიბერალიზაციის პირობის უარყოფას, რაც შემდგი ჩანაწერითაა წარმოდგენილი: „ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული“. დანართში, როცა ეს ეხება ევროკავშირის მხარეს, მოყვანილია როგორც მთლიანად კავშირის მიერ დაფიქსირებული დათქმები, ისე ცალკეული ქვეყნების მიერ დაყენებული შეზღუდვები, რომლებიც ამ ქვეყნების აკრონიმებითაა მონიშნული. იმისთვის, რომ მკითხველს შეექმნას ნათელი წარმოდგენა, ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი ამონარიდი DCFTA-ის დანართიდან:

სექტორი	ქვეყანა/დათქმა
კომუნალური მომსახურება	EU (ევროკავშირი): ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც მიიჩნევა კომუნალურ მომსახურებად ეროვნულ ან ადგილობრივ დონეზე, შეიძლება იყოს სახელმწიფო მონოპოლია ან კერძო ოპერატორებისათვის მინიჭებული ექსკლუზიური უფლება.
დაფუძნების ტიპები	EU: რეჟიმი, რომელიც ენიჭება ქართული კომპანიების შვილობილებს, რომლებიც შექმნილია წევრი ქვეყნების კანონმდებლობის შესაბამისად და აქვს იურიდიული მისამართი, ცენტრალური მართვის ან ფაქტობრივი საქმიანობის ადგილი ევროკავშირში, არ ვრცელდება ქართული კომპანიების მიერ წევრ ქვეყნებში შექმნილ ფილიალებსა და სააგენტოებზე. AT (ავსტრია): იურიდიული პირების ფილიალების მმართველი დირექტორები უნდა იყვნენ ავსტრიის რეზიდენტები; იმ ფიზიკურ პირებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან იურიდიული პირის მიერ ავსტრიის ვაჭრობის აქტის პირობების დაცვაზე, უნდა ჰქონდეთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ავსტრიაში.
ინვესტიციები	FR (საფრანგეთი): საფრანგეთის საწარმოებში საქართველოს მიერ კაპიტალის წილებისა და ხმის უფლების 33.33%-ზე მეტის ან იმ ფრანგულ კომპანიებში, რომელთა ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება ხდება, 20%-ის შეძენა ექვემდებარება შემდეგ რეგულაციებს: - ნებადართულია ინვესტიციების განხორციელება არაუმეტეს 7.6 მილიონი ევროს ოდენობით საფრანგეთის იმ კომპანიებში, რომელთა ბრუნვა არ აღემატება 76 მილიონ ევროს, წინასწარი შეტყობინების წარდგენიდან და მითითებული ოდენობების გადამოწმებიდან 15 დღის შემდეგ; - წინასწარი შეტყობინების წარდგენიდან 1 თვის შემდეგ ავტორიზაციის მინიჭება ხდება სხვა ინვესტიციებისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეკონომიკის მინისტრი, განსაკუთრებულ შემთხვევებში, იყენებს ასეთი ინვესტიციების განხორციელების გადავადების უფლებას.

შეთანხმებაში ასევე ნათქვამია, რომ მითითებული დათქმების გათვალისწინებით მხარეებმა არ უნდა შემოიღონ ახალი რეგულაციები ან ზომები, რომლებიც გამოიწვევენ

დისკრიმინაციას საქართველოს ან ევროკავშირის იურიდიული პირების დაფუძნებასთან ან მუშაობასთან დაკავშირებით მეორე მხარის ტერიტორიაზე.

ფიზიკური პირების დროებითი წარმომადგენლობა საქმიანი მიზნებისთვის

მეორე მხარის ტერიტორიაზე კომპანიების დაფუძნება და მათი მუშაობა, ასევე ფიზიკური პირების საქმიანობა აუცილებლად უკავშირდება ძირითადი პერსონალის, სტაჟიორების, ბიზნესის გამყიდვლების, საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლების და დამოუკიდებელი სპეციალისტების ადგილსამყოფელ ქვეყანაში შესვლასა და დროებით ყოფნაზე დადგენილ ზომებს, რომლებზეც საუბარია DCFTA-ს შესაბამის მუხლში. ამასთან დაკავშირებით გამოყენებულია შემდეგი ტერმინები:

ძირითადი პერსონალი	ერთი მხარის იურიდიულ პირში დასაქმებული ფიზიკური პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დაფუძნებაზე ან მეწარმე სუბიექტის კონტროლზე, ადმინისტრირებასა და საქმიანობაზე. მოიცავს: „ბიზნესვიზიტიორებს“ დაფუძნების მიზნებისათვის და „კორპორაციის შიგნით გადაადგილებულ პირებს“ (მენეჯერები, სპეციალისტები), როგორც მინიმუმ, დამფუძნებელ საწარმოში ერთი წლის მუშაობის სტაჟით.
სტაჟიორები	იურიდიული პირის ან მისი ფილიალის მიერ არანაკლებ ერთი წლის ვადით დასაქმებული ფიზიკური პირები, რომლებიც ფლობენ უნივერსიტეტის დიპლომს და არიან დროებით მივლენილები მეორე მხარეში ამ იურიდიული პირის მიერ დაფუძნებულ მეწარმე სუბიექტში.
ბიზნესის გამყიდველები	მომსახურების ან საქონლის მიმწოდებლის წარმომადგენელი ფიზიკური პირები, რომელთაც სურთ შესვლა და დროებითი ყოფნა მეორე მხარის ტერიტორიაზე მომსახურების ან საქონლის გაყიდვაზე მოლაპარაკებების წარმოების მიზნით.
საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები	ფიზიკური პირი, რომელიც არ წარმოადგენს პერსონალის დასაქმების ან მომსახურების მიწოდების სააგენტოს და არ მოქმედებს ასეთი სააგენტოს მეშვეობით. არ არის დაფუძნებული მეორე მხარის ტერიტორიაზე, გაფორმებული აქვს კონტრაქტი მეორე მხარის საბოლოო მომხმარებლისათვის მომსახურების მიწოდებისათვის, რაც მოითხოვს მისი დასაქმებულების მეორე მხარეში დროებით ყოფნას.
დამოუკიდებელი პროფესიონალები	ისეთი ფიზიკურ პირები, რომლებიც ჩართული არიან მომსახურების მიწოდებაში და გაფორმებული აქვთ რეალური კონტრაქტი მეორე მხარეში საბოლოო მომხმარებლისათვის მომსახურების მიწოდების მიზნით, რომელიც მოითხოვს მათ დროებით ყოფნას ამ მხარეში.

შეთანხმების XIV-C და XIV-G დანართები შეიცავენ დათქმებს, რომელთა გათვალისწინებითაც თითოეულმა მხარემ ნება უნდა დართოს მეორე მხარის მეწარმეებს, რომ მათ მათ მიერ დაფუძნებულ მეწარმე სუბიექტში დაასაქმონ ამ მეორე მხარის ფიზიკური პირები, იმის გათვალისწინებით, რომ ეს დასაქმებულები წარმოადგენენ ძირითად პერსონალს ან სტაჟიორებს.

ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული დანართები აწესებენ შეზღუდვებს მეწარმის მიერ დასასაქმებელი ფიზიკური პირების საერთო რაოდენობაზე, რომლებიც წარმოადგენენ ძირითად პერსონალს და სტაჟიორებს სპეციფიკურ სექტორებში, რაოდენობრივი კვოტის ან ეკონომიკური საჭიროებების ტესტის მოთხოვნის ფორმით, რაც გამონაკლისია საერთო წესიდან. ზოგადად ასეთო შეზღუდვები არ უნდა მოქმედებდეს არც რეგიონული და არც ქვეყნის მასშტაბით.

ძირითადი პერსონალის ან სტაჟიორების დროებითი შემოსვლა და დროებითი ყოფნა შესაძლებელია პერიოდით, რომელიც არ აღემატება 3 წელიწადს კორპორაციის შიგნით გადაადგილებული პირებისათვის, 90 დღეს - ნებისმიერ 12-თვიან პერიოდში ბიზნესვიზიტიორებისათვის დაფუძნების მიზნით და 1 წელიწადს - სტაჟიორებისათვის.

საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები

დადგენილია ასევე საერთო პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებელი ფიზიკური პირი, რომ მას მიეცეს ქვეყანაში შესვლისა და იქ თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელების უფლება:

- იურიდიული პირის დასაქმებულები, რომლებმაც მოიპოვეს მომსახურების კონტრაქტი არა უმეტეს 12 თვის ვადით, დროებით უნდა იყვნენ ჩართული მომსახურების მიწოდებაში;
- უნდა შესთავაზონ მომსახურება შესვლისათვის განაცხადის წარდგენამდე არანაკლებ 1 წლის განმავლობაში;
- უნდა ჰქონდეთ საუნივერსიტეტო დიპლომი და კვალიფიკაცია.
- უნდა ფლობდნენ არანაკლებ ექვსწლიან პროფესიულ გამოცდილებას საქმიანობის იმ სექტორში;
- უნდა ჰქონდეთ უნივერსიტეტის დიპლომი, პროფესიული კვალიფიკაცია, იმ მხარის კანონების, რეგულაციების ან სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად, სადაც ხდება მომსახურების მიწოდება;
- ფიზიკური პირის მხარეში შესვლა და დროებითი ყოფნა არ უნდა აღემატებოდეს 6-თვიან მთლიან პერიოდს ან, ლუქსემბურგის შემთხვევაში, 25 კვირას

ნებისმიერ 12-თვიან პერიოდში ან კონტრაქტის მოქმედების ვადას, რომელიც უფრო ნაკლები იქნება;
- უნდა ახორციელებდნენ მხოლოდ კონტრაქტით განსაზღვრულ მომსახურებას.

დამოუკიდებელი პროფესიონალები

შეთანხმების XIV-D და XIV-H დანართების შესაბამისად, მხარეებმა თავიანთ ტერიტორიაზე მომსახურების მიწოდების ნება უნდა დართონ მეორე მხარის დამოუკიდებელ პროფესიონალებს შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ფიზიკური პირები დროებით უნდა იყვნენ ჩართული მომსახურების მიწოდებაში, როგორც მეორე მხარეში თვითდასაქმებულები, და უნდა ჰქონდეთ მომსახურების კონტრაქტი, რომლის ხანგრძლივობა არ აღემატება 12 თვეს;

- ფიზიკური პირები მეორე მხარეში შესვლისათვის განაცხადის წარდგენის მომენტისათვის უნდა ფლობდნენ არანაკლებ 6-წლიან პროფესიულ გამოცდილებას საქმიანობის იმ სექტორში, რომელსაც კონტრაქტი ითვალისწინებს.

აღნიშნულ პირებს ხშირად ესაჭიროებათ საქმიანობის განხორციელებისთვის ლიცენზიის მოპოვება ან საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. ასეთ მოთხოვნებთან დაკავშირებული პროცედურული ზომები ეფუძნება კრიტერიუმებს, რომლებიც ხელს უშლიან კომპეტენტურ ორგანოებს გამოიყენონ საკუთარი ძალაუფლება თვითნებური ფორმით, რისი თავიდან აცილებისთვისაც დადგენილია შემდეგი კრიტერიუმები:
ზომები უნდა იყოს:
- საჯარო პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე;
- ნათელი და ცალსახა;
- ობიექტური;
- წინასწარ დადგენილი;
- საზოგადოებისთვის წინასწარ ცნობილი;
- გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი.

ავტორიზაცია ან ლიცენზია უნდა გაიცეს მაშინვე, როცა დადგენილია, რომ ავტორიზაციის ან ლიცენზიის მიღების პირობები დაკმაყოფილებულია.

შეთანხმებაში ასევე გაწერილია მოთხოვნები პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად ლიცენზიებისა და ავტორიზაციის გაცემის პროცედურებზე:
- ცხადი, საჯარო, ობიექტური და მიუკერძოებელი;
- მარტივი, ზედმეტად არ უნდა გაართულოს/შეაფერხოს მომსახურების განხორციელება;
- ხარჯი - პროპორციული;

- განმცხადებელს განაცხადის წარდგენისათვის და დამუშავებისთვის უნდა მიეცეს გონივრული ვადა;
- სადაც შესაძლებელია, ორიგინალი დოკუმენტების ნაცვლად მიღებული უნდა იყოს ავთენტური ასლები .

იმისთვის, რომ გამარტივდეს დამოუკიდებელი პროფესიონალების მიერ მომსახურების გაწევა ერთი მხარიდან მეორეში, შეთანხმება ითვალისწინებს დიპლომების, საკვალიფიკაციო სერტიფიკატების, სხვა შესაბამისი დოკუმენტების ურთიერთაღიარების შესაძლებლობას, რისი რეალიზაციაც დამოკიდებულია ქვეყანაში არსებული შესაბამისი კანონმდებლობისა და ინსტიტუციური სისტემის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების ხარისხზე. ამ თვალსაზრისით ეკვივალენტურობის მიღწევის შემთხვევაში ურთიერთაღიარების საკითხს განიხილავს სავაჭრო საკითხების ასოცირების ქვეკომიტეტი, რომელიც შემდგომ რეკომენდაციას აძლევს ხელმომწერ მხარეებს ურთიერთაღიარების თაობაზე.

ციური ნოზაძე

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA) (თავი 6) ქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს.

ამ მექანიზმებში მოიაზრება როგორც DCFTA-ით გათვალისწინებული საკანონმდებლო დაახლოება, რაც გულისხმობს შესაბამის სფეროებში ევროპული სტანდარტებისა და პრაქტიკის დანერგვას, ასევე გათვალისწინებულია ტექნიკური/საექსპერტო, საგანმანათლებლო და ფინანსური დახმარება ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.

თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელი ხდება რეალურ დროსა და სივრცეში ნებისმიერი სახის ურთიერთობები, მათ შორის - ელექტრონული კომერცია (e-commerce).

e-კომერცია ბიზნესის წარმოების თანამედროვე მეთოდოლოგიაა, რომელიც მიმართულია ბიზნესორგანიზაციების, მომწოდებლების და მომხმარებლების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რათა უზრუნველყონ ხარჯების შემცირება და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება მიწოდების სისწრაფის გაზრდის გზით.

ინტერნეტით e-კომერცია უზრუნველყოფს მწარმოებლების წვდომას მაქსიმალური რაოდენობის მომხმარებლებსა და მათ მრავალნაირ მოთხოვნებზე და შესაძლებლობას აძლევს კლიენტებს შეუკვეთონ საქონელი ან მომსახურება უშუალოდ საწარმოს მართვის სისტემაში. ინტერნეტის მიმზიდველობა e-კომერციაში განპირობებულია უმეტესწილად მონაცემების გადაცემის დაბალი თვითღირებულებით. თუმცა გლობალური ქსელის მასობრივი მომხმარებლისათვის პრობლემაა მონაცემების ელექტრონული გაცვლის სისტემის ხელმისაწვდომობა.

e-კომერცია უზრუნველყოფს ბიზნესინფორმაციის უქაღალდო გაცვლას შემდეგი საშუალებებით:

- მონაცემების ელექტრონული გაცვლა (Electronic Data Exchange - EDI)
- ელექტრონული ფოსტა (Electronic Mail - e-mail)
- ელექტრონული განცხადებები (Electronic Bulletin Boards)

- ფონდების ელექტრონული გადაგზავნა (Electronic Fund Transfer - EFT)
- სხვა ქსელური ტექნოლოგიები (Other Network-based technologies)

EDI - მოხერხებული და უსაფრთხო ელექტრული ინტერფეისია, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიებს შორის საბუთბრუნვის სტანდარტიზაციას. EDI-ის ძირითად ნაკლად შეიძლება დასახელდეს:

- კომპანიების ინფორმაციული სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის დახვეწის აუცილებლობა მონაცემების შიდაკორპორაციულ თავსებად ფორმატში წარმოსადგენად;
- EDI-ი პაკეტების ფორმირების წესის (პროტოკოლის) შეთანხმების აუცილებლობა;
- ტრანზაქციების დიდი მოცულობა.

ჩამოთვლილი ნაკლი გვიჩვენებს, რომ EDI-ის დანერგვა რთული და ძვირადღირებული ღონისძიებაა, რის გამოც იგი ხელმისაწვდომია მხოლოდ მსხვილი კომპანიებისათვის.

ტრადიციულისგან განსხვავებით, e-კომერციის სისტემები ინფორმაციას ცვლიან ელექტრონული საკომუნიკაციო არხების საშუალებით, რაც ნაკლებ გავლენას ახდენს ინფორმაციის გაცვლის პიროვნულ უნარებზე დამოკიდებულებაზე და უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლის უნივერსალურ პლატფორმას, რომელიც ხელს უწყობს კომერციულ/ ბიზნეს საქმიანობას გლობალურ გარემოში.

„იდეალურ“ შემთხვევაში ელექტრონული კომერცია საშუალებას იძლევა კომერციული ციკლიდან სრულად გამოირიცხოს ადამიანი - არა მარტო მომხმარებელი, არამედ მყიდველიც. ურთიერთობის სისტემა ***გამყიდველი-მყიდველი*** შეიძლება შეიცვალოს ავტომატურად ფუნქციონირებადი სისტემით ***სერვერი-კლიენტი*** წარმოდგენილი მხოლოდ აპარატული და პროგრამული საშუალებებით. ანუ ინფორმაცია მთლიანად ინახება web-სერვერებზე - ინტერნეტმომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის კუთვნილ კომპიუტერებში, ხოლო კლიენტის მოთხოვნის მიხედვით წვდომა ხდება ქსელის კლიენტის პროგრამა-ბრაუზერების საშუალებით.

e-კომერციის ფორმები

e-კომერციის მიმართულებაში შემუშავებულია ელექტრონული სავაჭრო სისტემის სამი ძირითადი სახეობა:

- *ინტერნეტვიტრინა* - რომელიც მხოლოდ სარეკლამო ფუნქციას ასრულებს.
- *ელექტრონული მაღაზია* - რომელიც ინტერნეტვიტრინისა და ელექტრონული სავაჭრო სისტემის ერთობლიობას წარმოადგენს. იგი ახორციელებს დაკვეთებს, გადახდის კონტროლს და გაყიდვის შემდგომ მომსახურებას;
- *ელექტრული აუქციონი,* სისტემა-ვებსაიტი, რომელსაც აქვს სავაჭრო ფუნქცია;
- *სავაჭრო ინტერნეტსისტემა* - ხასიათდება კომერციული ციკლის ავტომატიზაციის მაღალი ხარისხით, ჩვეულებრივ ელექტრონულ მაღაზიასთან შედარებით. იგი ინტეგრირებულია კორპორაციულ საინფორმაციო სისტემასთან.

e-კომერციის რესურსები

e-კომერციის რეალიზაციისათვის ელექტრონულ გარემოს ქმნიან შემდეგი აუცილებელი კომპონენტები:

- ტექნიკური - აპარატული რესურსები
- პროგრამული - სპეციალური პროგრამები - ინტერფეისი, საგადასახადო სისტემები
- სამართლებრივი - საკანონმდებლო აქტები

e-კომერციაში მნიშვნელოვანია ელექტრონული ტრანზაქციების საიმედო საგადასახადო სისტემა. თანამედროვე პროგრამულ ბაზარზე არსებობს მრავალი საგადასახადო სისტემა, რომლებიც ეფექტურად ურთიერთქმედებენ მწარმოებლის, გამყიდველის, მყიდველის და ბანკის Web-საიტების საშუალებით. ისინი ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორებას, რითაც ეხმარებიან ბიზნესორგანიზაციებს ვაჭრობის მოცულობის გაზრდასა და ბაზრის გაფართოებაში.

e-გადახდის მოდელებია: საკრედიტო ბარათები, სადებეტო ბარათები, სმარტ ბარათები, E - ფული და სხვა.

e-კომერციის დადებითი და უარყოფითი მხარეები

e-კომერციის უპირატესობებში შეიძლება გამოვყოთ 3 ძირითადი კატეგორია:

- უპირატესობები ორგანიზაციებისათვის
- უპირატესობები მომხმარებლებისათვის
- უპირატესობები საზოგადოებისათვის

e-კომერციის ნაკლი ორი ძირითადი ტიპისაა - ტექნიკური და არატექნიკური ნაკლი. ტექნიკურ ნაკლში მოიაზრება სისტემის უსაფრთხოება, საიმედოობა ან სტანდარტები ელ.კომერციის ცუდი რეალიზაციის გამო. არატექნიკურ ნაკლში კი მოიაზრება მაღალი ღირებულება, მომხმარებლის უნდობლობა; ონლაინ ტრანზაქციებისადმი უნდობლობა და სხვა.

e-კომერციის მოდელები

e-კომერციის სისტემების მომხმარებლები შეიძლება იყვნენ როგორც ბიზნესორგანიზაციები, ისე კლიენტები (პირები). მომხმარებლების მიხედვით მიღებულია ელექტრონული კომერციის წარმოდგენა შემდეგ ძირითად მოდელად:

- ბიზნესი - ბიზნესი (Business to Business - B2B)
- ბიზნესი - მომხმარებელი (Business to Consumer - B2C)
- მომხმარებელი - მომხმარებელი (Consumer to Consumer - C2C)
- მომხმარებელი - ბიზნესი (Consumer to Business - C2B)
- ბიზნესი - მთავრობა (Business to Government - B2G)
- მთავრობა - ბიზნესი (Business to Government - G2B)
- მთავრობა - მოქალაქე (Government to Citizen - G2C)

მოდელი - B2B (ნახ. 1) მოიცავს კომპანიებს შორის ურთიერთქმედების ყველა დონეს, ამასთან შეიძლება გამოყენებულ იქნეს მონაცემების ელექტრონული გაცვლის სპეციალური ტექნოლოგიები და სტანდარტები, ისეთი, როგორიცაა, მაგ., EDI (Electronic Data Interchange).

ვებგვერდი, რომელიც ახორციელებს B2B მოდელით ვაჭრობას კომპანიის პროდუქციას ყიდის შუამავალ მყიდველზე (კომპანიაზე), რომელიც შემდეგ გაყიდის მას საბოლოო მომხმარებელზე, რომელიც შეიძენს მას საბითუმო მოვაჭრის საცალო მაღაზიებში.



ნახ. 1. მოდელი B2B

B2C მიმართულების მოდელის საფუძველს ელექტრონული საცალო ვაჭრობა წარმოადგენს. Website-ი, რომელიც ახორციელებს B2C მოდელით ვაჭრობას, კომპანიის საქონელს პირდაპირ მომხმარებელზე ყიდის. მომხმარებელს შეუძლია კომპანიის საიტზე პირდაპირ დაათვალიეროს, ამოირჩიოს და შეუკვეთოს საქონელი. Website-ი, თავის მხრივ, შეტყობინებას გადაუგზავნის ბიზნესორგანიზაციას ელ.ფოსტით და ორგანიზაცია გაუგზავნის პროდუქტს/საქონელს მომხმარებელს.



ნახ. 2. მოდელი B2C

მოდელი C2C ახორციელებს მომხმარებლებს შორის ურთიერთობებს კომერციული ინფორმაციის გასაცვლელად. ამ მოდელის Website-ი მომხმარებელს ეხმარება გაყიდოს ან გააქირაოს თავისი აქტივები ინფორმაციის ვებგვერდზე.



ნახ. 3. მოდელი C2C

მოდელში C2B ვებგვერდი მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა ბიზნესორგანიზაციის კონკრეტული სერვისის არჩევანს. მომხმარებელი, მაგ., აფასებს ღირებულებას, სხვადასხვა ბანკის საპროცენტო განაკვეთებს სესხზე, რომელიც აკმაყოფილებს განსაზღვრულ ბიუჯეტში მომხმარებლის მოთხოვნას, აკავშირებს ორგანიზაციასთან და უზრუნველყოფს მის მომსახურებას.



ნახ. 4. მოდელი C2B

მოდელი B2G არის B2B მოდელის ვარიანტი. ასეთი ვებგვერდები აკრედიტებულია მთავრობის მიერ და გამოიყენება სხვადასხვა ბიზნესორგანიზაციებთან ვაჭრობისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით.



ნახ. 5. მოდელი B2G

B2G - მოდელის ვებგვერდს იყენებს მთავრობა ბიზნესორგანიზაციებთან მიმართებაში. ასეთი ვებგვერდები უზრუნველყოფენ აუქციონებს, ტენდერებს და განაცხადების წარდგენის ფუნქციებს.



ნახ. 6. მოდელი B2G

G2C - მოდელის ვებგვერდს მთავრობა იყენებს მოქალაქეებთან მიმართებაში. ვებგვერდები ხელს უწყობენ სატრანსპორტო საშუალებების, მანქანებისა და სხვა მასალების აუქციონებს. უზრუნველყოფენ ისეთ მომსახურებას, როგორიცაა დაბადების, ქორწინების ან გარდაცვალების მოწმობის რეგისტრაცია.

G2C-მოდელის ვებგვერდის ძირითადი მიზნებია მთავრობის სხვადასხვა სამსახურში მოქალაქეთა მოთხოვნის შესრულების საშუალო დროის შემცირება.



ნახ. 7. მოდელი G2C

განვიხილოთ ამ მოდელების გამოყენება ტურიზმის ბიზნესის მაგალითზე, რომელშიც მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანია ელექტრონულ სერვისებთან - ტურისტული ადგილების რეკლამა, ბილეთების და სასტუმროების დაჯავშნა, საჰაერო და სახმელეთო მომსახურება და სხვა, წვდომის მოხერხებული გარემო. ტურისტულ ბიზნესორგანიზაციებსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობების სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა სახის ბიზნესმოდელები მოქმედებენ. ნახ. 8-ზე მოტანილია ტურიზმის სფეროში ბიზნესმოდელების გამოყენების მიახლოებითი სტრუქტურა.



ნახ. 8 ბიზნესმოდელების გამოყენების სტრუქტურა ტურიზმის ბიზნესში.

ეკატერინე ლალიაშვილი

ავტოავარიებში მსოფლიოში უამრავი ადამიანი იღუპება და 50 მლნ. იღებს ტრავმას. საგზაო შემთხვევათა მსხვერპლის უდიდესი წილი საშუალო და დაბალშემოსავლიან ქვეყნებზე მოდის.

2016 წლის მონაცემებით, საქართველოში 100 000 ადამიანიდან დაახლოებით 15 ადამიანი ავტოავარიაში იღუპება. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია წინა წლებთნ შედარებით (2013-2014 წწ.-ში - 11,5 დაღუპული).





საგზაო შემთხვევების უმთავრესი მიზეზებია არასწორი მანევრირება, სიჩქარის გადაჭარბება, ავტომანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვა და სხვა.

თუ საგზაო შემთხვევათა შესამცირებლად პრევენციული ზომები არ იქნება მიღებული, მოსალოდნელია დაღუპულობა მსოფლიოს წამყვან დაავადებათა შორის პირველ რიგებში მოხვდეს.

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, გაერომ წამოიწყო მოქმედების დეკადა და ქვეყნებს მოქმედებისკენ მოუწოდა. დეკადის 2011-2020 წწ.-ის ფარგლებში ევროკავშირის ქვეყნების მიზანია სიკვდილობისა და დაშავებულობის განახევრება ათი წლის განმავლობაში, რის მისაღწევადაც დაიგეგმა საგზაო უსაფრთხოების ასამაღლებელი ღონისძიებები.

ევროკავშირის ქვეყნების აქტიურმა ჩართულობამ 2011-2016 წწ.-ში დაღუპულობა წევრ ქვეყნებში საშუალოდ 20%-ით შეამცირა.

ყველა ქვეყანამ შეიმუშავა საგზაო უსაფრთხოების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლის მთავარი მიზანია 2020 წლისთვის ავტოავარიების დროს მძიმე ტრავმატიზმისა და დაღუპულობის განახევრება.

მართალია, საგზაო უსაფრთხოების სტრატეგია საქართველოში 2010 წლიდან არსებობს, მაგრამ დაგეგმილმა აქტივობებმა საერთო მზარდი სურათი დინამიკაში მნიშვნელოვნად ვერ შეცვალა.

ამის მიზეზი, სავარაუდოდ, არაკოორდინირებული მიდგომები და ფინანსური რესურსების სიმცირეა.

საგზაო მოძრაობის მონაწილეთა შორის ყველაზე მოწყვლადი არიან: ბავშვები, ქვეითები, მოტოციკლეტები, ველოსიპედისტები, შშმ პირები. საგზაო შემთხვევებში ქვეითთა 26% იღუპება, ხოლო 20% იღებს დაზიანებას. ეს ხშირად გამოწვეულია გაუმართავი ინფრასტრუქტურით, მოუწესრიგებელი ტროტუარებით, ტროტუარებზე მოწყობილი პარკირების ადგილებით, სადაც ავტომობილისა და მძღოლის მოძრაობა ერთმანეთში ირევა.

მოძველებული თუ მოუხერხებელი მიწისქვეშა თუ მიწისზედა გადასასვლელების ფაქტორი დიდ ბარიერს წარმოადგენს ფეხით მოსიარულეთათვის. ეს ყველაფერი კი გზაზე ყველგან გადასვლის სინდრომს აყალიბებს და რისკებს ზრდის როგორც ქვეითების, ისე მძღოლებისთვის.

ქალაქში დაწესებული სიჩქარის ლიმიტი (საშუალოდ 60კმ/სთ-ით და 15კმ/სთ-ის დამატებით შესაძლებლობას გვაძლევს კანონი) ასევე ზრდის მძიმე ტრავმისა და ფატალური შედეგების რისკებს შეჯახებისას.

საგზაო მოძრაობის მონაწილეებს შორის ასევე მოწყვლადი ჯგუფია მგზავრები. კერძო ავტომობილებში უკანა სავარძლებზე საქართველოს კანონმდებლობა არ

ითხოვს ღვედების გამოყენებას, რაც 40-60%-ით შეამცირებდა მძიმე დაზიანებას თუ ფატალურ შედეგებს. კანონით ერთმნიშვნელოვნად არ არის დარეგულირებული მგზავრობისას ბავშვებისთვის სპეციალური სამაგრი მოწყობილობების გამოყენება, რაც საგზაო შემთხვევისას არასრულწლოვნებს მაღალი რისკის წინაშე აყენებს.

რაც შეეხება ავტოტრანსპორტის უსაფრთხოებას, ტექნიკური ინსპექტირება ბოლო წლების განმავლობაში 5-ჯერ გადაიდო და მთლიანი ავტოპარკის 90% მოძველებული ან გაუმართავია. ძველი ტრანსპორტი კი არ არის აღჭურვილი დაცვის თანამედროვე მექანიზმებით და საგზაო შემთხვევისას ბევრად მაღალია ფატალური შედეგისა თუ მძიმე ტრავმის შანსი.

საქართველოს ავტოპარკი, 2016 წლის მონაცემებით, 1, 2 00 000-ზე მეტ ავტომობილს შეადგენს. ყოველწლიურად ავტოპარკის ზრდის მაჩვენებელი 8-9%-ია. ავტოპარკის შემადგენლობის 80%-ზე მეტი მსუბუქი და მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანებია.

აღსანიშნავია, რომ სამგზავრო ავტომანქანების წილი საქართველოს ავტოპარკში 5,2%-ია, ხოლო სატვირთოსი - 8,9%. ავტოპარკის მნიშვნელოვანი ნაწილი - 90% - 2004 წლამდეა წარმოებული. 3 წლამდე ასაკის ავტოსატრანსპორტო საშუალებები კი ავტოპარკის მხოლოდ 2%-ს შეადგენს. ავტომობილების დაახლოებით 40% დედაქალაქშია თავმოყრილ,ი დანარჩენი კი - რეგიონებში.

საგზაო უსაფრთხოების 5 მთავარი კომპონენტი

გზებზე უსაფრთხოების ასამაღლებლად კომპლექსური და კოორდინირებული მიდგომაა საჭირო. მენეჯმენტი, უსაფრთხო ინფრასტრუქტურა, ავტომობილების გამართულობა, მოქალაქეების ცნობიერება, დროული სამედიცინო მომსახურება - ეს ის მიმართულებებია, რომლებიც ზრდის გზებზე უსაფრთხოებას.

საქართველოში წამყვანი სამინისტრო, რომელიც კოორდინაციას უწევს საგზაო უსაფრთხოებას და არსებულ ვითარებაზეა პასუხისმგებელი, არის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ამასთან, ეს მოვალეობები გადანაწილებულია სხვა უწყებებზეც, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშაობას ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებაზე, კანონმდებლობის აღსრულებაზე, საზოგადოების ინფორმირებულობაზე/სასწავლო დაწესებულებებში განათლების გავრცელებაზე და პირველადი დახმარების გაწევაზე ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ. ეს უწყებებია:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო

- ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- განათლების სამინისტრო
- ჯანდაცვის სამინისტრო
- ადგილობრივი მუნიციპალიტეტები

საკოორდინაციო რგოლის ფუნქციაა საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომლის კონკრეტული აქტივობებიც დროის კონკრეტულ მონაკვეთში მიზანთან მიგვიყვანს - დაღუპულობის და მძიმე ტრავმის შემცირებასთან. ასევე რგოლი უნდა მუშაობდეს შემდეგ მიმართულებებზე:

- უწყებათაშორისი კოორდინაცია
- კანონმდებლობა
- დაფინანსება
- საკითხის პოპულარიზაცია
- შედეგების მონიტორინგი

ახალი საკანონმდებლო რეგულაციები (ქულათა სისტემა, უკონტაქტო პატრულირება და ა.შ.)

ბოლო ათწლეულში საქართველოში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად დაღუპულთა და დაშავებულთა მაღალი მაჩვენებელი ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების ახალ გამოწვევას წარმოადგენს, რადგან ის ემუქრება ქვეყანას, სოციალურ კეთილდღეობასა და ეკონომიკურ განვითარებას. ყოველწლიურად

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად საქართველოში 600-ზე მეტი ადამიანი იღუპება, ხოლო 9000-ზე მეტი იღებს ტრავმას.

საქართველოში საგზაო-სატრანსპორტო შეჯახებების ძირითადი მიზეზებია სიჩქარის გადაჭარბება, მანევრირების წესების დარღვევა, ღერძულა ხაზის გადაკვეთა და ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვა. ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად ყველაზე მეტი ადამიანი სიჩქარის გადაჭარბების გამო იღუპება (24%), რასაც მოჰყვება არასწორი მანევრირების შემთხვევები (31%). აღსანიშნავია, რომ მხოლოდ საპატრულო პოლიციის ადამიანური რესურსი ვერ პასუხობს სათანადოდ არსებულ გამოწვევას და საჭირო გახდა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

დაინერგა ქულათა სისტემა, რაც გულისხმობს 100 ქულის დარიცხვას მართვის მოწმობაზე ერთი წლის განმავლობაში, ხოლო კალენდარული წლის განმავლობაში მართვის მოწმობაზე დარიცხული ქულების რაოდენობის 0-მდე შემცირება იწვევს

მართვის მოწმობის მფლობელი პირისათვის მართვის უფლების შეჩერებას 1 წლის ვადით;

ასევე შემოვიდა აღსრულების ახალი სისტემა - უკონტაქტო პატრულირება, რაც მოძრავი კამერების მეშვეობით დარღვევების დისტანციურ კონტროლს გულისხმობს.

გაიზარდა ჯარიმათა რაოდენობა სიჩქარის გადაჭარბებაზე, ავტომობილის მართვისას მობილურით სარგებლობაზე, ღერძულა ხაზის გადაკვეთასა და სხვა დარღვევებზე.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე კამპანიისა და ინტერვენციების მეშვეობით 10%-ით შემცირდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები (იანვარ-აგვისტოში 2016 წ-თან შედარებით), ხოლო 12%-ით შემცირდა დაღუპულობა და დაშავებულობა.

2017 წლის ბოლომდე იგეგმება საქართველოს მასშტაბით 3000 კამერის დამონტაჟება, რომლებიც ავტომატურ რეჟიმში აფიქსირებენ წითელ შუქზე გავლას, ღერძულა ხაზის გადაკვეთას, სიჩქარის გადაჭარბებას, საპირისპირო ზოლში სვლას. ოპერატორების მეშვეობით კი ფიქსირდება მობილურზე საუბარი, ჩაფხუტისა და ღვედის გამოუყენებლობა.

ევროდირექტივები და ტექნიკური რეგლამენტი

სატრანსპორტო მიმართულებით გვაქვს 10 ევროდირექტივა, რომლებიც არეგულირებს უსაფრთხო გადაზიდვებს/გადაყვანებს.

2018 წლის პირველი იანვრიდან დაინერგება და ეტაპობრივად ამოქმედდება ავტომანქანების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების სისტემა. მთავრობის ასეთი გადაწყვეტილება უკავშირდება ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთ მუხლს, რომელიც 2018 წლის სექტემბრიდან საქართველოს ყველა ტიპის ავტომობილისთვის სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირების პროცესის დაწყებას ავალებს.

მთავრობის გადაწყვეტილებით, ტექნიკური ინსპექტირების სისტემის ჩამოყალიბების პროცესი 2018-2019 წლებში გაგრძელდება, რის შემდგომაც ამოქმედდება 4+2+1 ევროპული სისტემა, რომელიც 4 წლამდე ავტომანქანებს ათავისუფლებს სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირებისგან.

დღევანდელი კანონმდებლობით, M2 M3 – 8-ზე მეტი ადგილის მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებებმა ტექინსპექტირება უნდა გაიარონ ოთხი წლის შემდეგ პირველად გამოყენების თარიღიდან, წელიწადში ორჯერ, ხოლო N2 N3 - ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილმა ტრანსპორტმა - ყოველ წელიწადს.

M1 ტიპის ტრანსპორტის შესამოწმებელი კრიტერიუმებია:

- სამუხრუჭო მოწყობილობა
- საჭის მართვა
- ხილვადობა
- ნათურები, შუქამრეკლები და ელექტრომოწყობილობა
- ღერძები, თვლები, საბურავები და დაკიდება
- ძარა, ძარის ელემენტები და სამაგრები, კაბინა
- სხვა მოწყობილობები
- ასს-ის ხმაური
- ასს-ის კონტურული მარკირება (სანომრე ნიშნები)
- ასს-ის კომპლექტაცია (ცეცხლსაქრობი, სამედიცინო ყუთი)
- ასს-ის გამონაბოლქვი

ტაქოგრაფები

საკონტროლო მოწყობილობის მონტაჟი და გამოყენება ხდება მგზავრების გადამყვან ან ტვირთის გადამტან და წევრ სახელმწიფოში რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებებზე. აღნიშნული დირექტივა ეხება საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების მწარმოებელი სატრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟების (მძღოლების) მართვის ყოველდღიური უწყვეტად მართვის მაქსიმალურად დასაშვებ, ყოველკვირეული მართვის ჯამურ, დასვენების და შესვენების დროების დასაშვები ხანგრძლივობების მარეგისტრირებელ მოწყობილობას (ტაქოგრაფს).

ტექნიკური რეგლამენტი „ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის პარამეტრების აღმრიცხველი საკონტროლო მოწყობილობების (ტაქოგრაფების) ექსპლუატაციის წესის“ დამტკიცების შესახებ საერთაშორისო გადაზიდვების მწარმოებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლთა მიერ შრომისა და დასვენების ოპტიმალური რეჟიმების დაცვის უზრუნველყოფას ემსახურება. ტაქოგრაფი უნდა აფიქსირებდეს შემდეგ პარამეტრებს:

- ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ გავლილ მანძილს;
- ავტოსატრანსპორტო საშუალების სიჩქარეს;
- ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის ხანგრძლივობას;
- მუშაობის ან სამუშაო ადგილზე ყოფნის სხვა პერიოდებს;
- მუშაობისას შესვენებებისა და დასვენების ყოველდღიურ პერიოდებს;
- სარეგისტრაციო ფურცლის შემცველი კორპუსის გახსნას.

სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობები

ევროდირექტივით ასევე გათვალისწინებულია დიდი მასის (N_2, N_3, M_2 და M_3 კატეგორიის) სატვირთო და სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობების არსებობის აუცილებლობა.

სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობის ფუნქციაა ძრავაში საწვავის მიწოდების რეგულირება, რათა შეზღუდოს სატრანსპორტო საშუალების სიჩქარე დადგენილ მნიშვნელობამდე, M2 და M3 კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება დასაშვებია გზებზე, თუ ისინი აღჭურვილია ამ მოწყობილობით და დარეგულირებულია ისე, რომ სიჩქარე არ აღემატებოდეს 100 კმ/სთ-ს; N2 და N3 კატეგორიის ტრანსპორტზე კი - 90 კმ/სთ-ს საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული და სპეციალურად სახიფათო ტვირთის გადაზიდვისთვის განკუთვნილ სატრანსპორტო საშუალებებში სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობა ისე უნდა იყოს დამონტაჟებული, რომ მათი მაქსიმალური სიჩქარე არ აღემატებოდეს 90კმ/სთ-ს.

აღნიშნული დირექტივების აღსრულების კონტროლს შსს და ეკონომიკის სამინისტროს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო ახორციელებენ, ამოქმედების ვადაა 2017 წლის 31 დეკემბერი.

მუშაობის და დასვენების პერიოდი

ევროდირექტივით რეგულირდება ასევე საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების მწარმოებელი სატრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟების (მძღოლთა) შრომისა და დასვენების ოპტიმალური რეჟიმების დაცვის პირობები

(ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვის ყოველდღიური, უწყვეტად მართვის მაქსიმალურად დასაშვები, ყოველკვირეული მართვის ჯამური, დასვენების და შესვენების დროების დასაშვები ხანგრძლივობები), მათი დაცვა, გადამზიდველთა ვალდებულება მათ დაცვაზე, მონიტორინგი მათ დაცვაზე.

ტექნიკური რეგლამენტი „ავტოსადგურის და ავტოსადგომის ფუნქციონირები წესისა და პირობების“ დამტკიცების თაობაზე ვრცელდება ავტოსადგურებსა და კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც საერთაშორისო და ქვეყნის შიდა სამგზავრო რეგულარული გადაყვანის (ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანების გარდა) პროცესში ავტოსადგურებში ემსახურებიან მგზავრებსა და გადამზიდველებს.

რეგლამენტის მიზანია საერთაშორისო და ქვეყნის შიდა სამგზავრო რეგულარული გადაყვანების ორგანიზაციის, მგზავრებისა და ავტოსადგურის პერსონალის უსაფრთხოების დაცვის აუცილებელი პირობების დაკმაყოფილება.

ტექნიკური რეგლამენტის - „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრის გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესის“ მიზანია: ა)უზრუნველყოს სამგზავრო-ავტოსატრანსპორტო საშუალებით მგზავრის გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის პროცესში უსაფრთხოების, ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, გარემოსა და საკუთრების დაცვა; ბ)სამგზავრო-ავტოსატრანსპორტო საშუალებით მგზავრის მომსახურების პირობების თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა; გ)სამგზავრო-ავტოსატრანსპორტო საშუალებით მგზავრების გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის განხორციელებისას მგზავრის, მძღოლისა და გადამზიდველის უფლებების, ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებები

სოფიო ფანჯიკიძე

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის უზრუნველყოფას საქართველოში. ინტელექტუალური საკუთრება დაკავშირებულია ადამიანის გონებრივ, შემოქმედებით საქმიანობასთან, რომელიც მოიცავს მეცნიერების, ტექნოლოგიების, წარმოების, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროებს და შეადგენს იმ უფლებათა ერთობლიობას, რომელიც ასეთი ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად წარმოიშობა. შესაბამისად, მისი პატივისცემა და დაცვა ნებისმიერი საზოგადოების კეთილდღეობის საწინდარია.

ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა დარგის მარეგულირებელი ნორმები გაწერილია DCFTA-ის მე-9 თავში (ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა), რომელიც ადგენს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში იმ საერთაშორისო შეთანხმებების ადეკვატური და ეფექტიანი განხორციელების ვალდებულებას, რომლის ხელმომწერებიც არიან საქართველო და ევროკავშირი. DCFTA-ის ხელმოწერით მხარეები თანხმდებიან ეფექტურად განახორციელონ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO/ისმო) მიერ ადმინისტრირებული საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებსაც საქართველო უკვე მიუერთდა. საერთო ჯამში, DCFTA ითვალისწინებს ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობასთან კიდევ უფრო დაახლოებას.

DCFTA-ის მიზნებისთვის *„ინტელექტუალური საკუთრება“* მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების შემდეგ კატეგორიებს: პატენტები, სასაქონლო ნიშნები, გეოგრაფიული აღნიშვნები, საავტორო და მომიჯნავე უფლებები, დიზაინი, ასევე სამედიცინო პროდუქტების და მცენარეთა დაცვის საშუალებების ბაზარზე განთავსების ნებართვის მისაღებად წარდგენილი მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული ნორმები.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის არსი და ფარგლები

ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვის თვალსაზრისით ტრადიციულად გამოყოფენ ორ სფეროს: სამრეწველო საკუთრებაზე უფლებებისა და საავტორო უფლებების დაცვას.

- **სამრეწველო საკუთრების** ობიექტებია: გამოგონებები, სამრეწველო ნიმუშები, ინტეგრალური მიკროსქემები, სასაქონლო ნიშნები და გეოგრაფიული აღნიშვნები. გარდა ამისა, სამრეწველო საკუთრებაზე უფლებების დაცვის ერთ-ერთ სახეს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთაც წარმოადგენს.

- **საავტორო უფლება** მოიცავს სამეცნიერო ნაშრომებს, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს, როგორიცაა რომანები, ლექსები, პიესები, ფილმები, მუსიკა, ნახატები, ფერწერული ტილოები, ფოტოსურათები, ქანდაკებები, არქიტექტურული პროექტები და სხვ. საავტორო უფლებით დაცვას ექვემდებარება, აგრეთვე, გონებრივი შრომის პროდუქტი, როგორიცაა, მაგალითად, კომპიუტერული პროგრამები და ელექტრონულ მონაცემთა ბაზები.

საკუთრების ნებისმიერი სხვა უფლების მსგავსად, ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებები შემოქმედს ან პატენტის, სასაქონლო ნიშნის თუ საავტორო უფლების მფლობელს შესაძლებლობას აძლევს მიიღოს სარგებელი საკუთარი ნაშრომიდან ან ინვესტიციიდან. ამ უფლებათა ძირითადი პრინციპები მოცემულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 27-ე მუხლში, რომელშიც განსაზღვრულია ნებისმიერი სამეცნიერო ნაშრომის, ლიტერატურული ან ხელოვნების ნაწარმოების ავტორობიდან გამომდინარე არაქონებრივი და ქონებრივი ინტერესების დაცვით სარგებლის მიღების უფლება.

კითხვაზე, თუ რატომ სჭირდება ინტელექტუალურ საკუთრებას ხელშეწყობა და დაცვა, არსებობს რამდენიმე უტყუარი საპასუხო არგუმენტი:

- კაცობრიობის პროგრესი და კეთილდღეობა არსებითად არის დაკავშირებული მრეწველობაში ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვასა და კულტურის სფეროში განხორციელებულ შემოქმედებით სიახლეებთან;
- გონებრივ შრომით პროდუქციაზე უფლებების დაცვის სამართლებრივი სისტემის შექმნა ხელს უწყობს დამატებითი რესურსების გამოვლენას და სტიმულს აძლევს შემდგომ ინოვაციებს;
- ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვა და მათი განხორციელების ხელშეწყობა აჩქარებს ეკონომიკური განვითარების პროცესს, ქმნის მრეწველობის ახალ დარგებსა და სამუშაო ადგილებს, აუმჯობესებს ცხოვრების პირობების ხარისხსა და დონეს.

საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი **„საქპატენტი“** მუშაობს დასავლური სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად. „საქპატენტში“ რეგისტრირდება სამრეწველო საკუთრების ყველა ობიექტი (პატენტი, სასაქონლო ნიშანი, დიზაინი, და სხვ.) და ამავე უწყებაში ხდება საავტორო უფლებით დაცული ნაშრომების დეპონირება.

მიმოვიხილავთ ინტელექტუალური საკუთრების კატეგორიების მიმოხილვა, რომლებსაც ეხება DCFTA:

პატენტი

პატენტი არის გამომგონებლის ან მისი უფლებამონაცვლისათვის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული დროით მინიჭებული მონოპოლიური უფლება, რომლის საფუძველზეც პატენტის მფლობელს შეუძლია ნებისმიერ პირს აუკრძალოს პატენტით დაცული გამოგონებით ან სასარგებლო მოდელით სარგებლობა. ამგვარი უფლებების მინიჭება დასტურდება საპატენტო სიგელით (პატენტით), რომელიც გაიცემა საპატენტო უწყების მიერ.

პატენტი შეიძლება გაიცეს გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე, რომლის ობიექტს წარმოადგენს:

- მოწყობილობა (მანქანა-მექანიზმები, დანადგარები, ხელსაწყოები, ელექტრონული სქემები და ა.შ.);
- ნივთიერება (ხსნარები, შენადნობები, ქიმიური ნაერთები, ნარევები და ა.შ.);
- ბიოლოგიური მასალა (მიკროორგანიზმების შტამი, მცენარეთა და ცხოველთა ასოციაციები, უჯრედების კულტურები და ა.შ.);
- ხერხი (ტექნოლოგიური პროცესები, ილეთები, ოპერაციები და ა.შ.).

პატენტი იცავს ისეთ გამოგონებას, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ სამ ძირითად კრიტერიუმს:

- **სიახლე** - გამოგონება ახალია, თუ იგი ცნობილი არ არის მსოფლიოში ტექნიკის არსებული დონიდან გამომდინარე;
- **საგამომგონებლო დონე** - გამოგონებას აქვს საგამომგონებლო დონე, თუ იგი სპეციალისტისათვის ცხადად არ გამომდინარეობს ტექნიკის არსებული დონიდან;
- **სამრეწველო გამოყენებადობა** - გამოგონების სამრეწველო გამოყენებადობა ნიშნავს მისი დამზადების ან მისით სარგებლობის შესაძლებლობას მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა სფეროებში.

პატენტის საფუძველზე წარმოიშობა საპატენტო უფლებები, რომლებიც ორი სახისაა: *პირადი არაქონებრივი* და *ქონებრივი*. საპატენტო პირადი არაქონებრივი უფლებები ვადით და ტერიტორიით შემოფარგლული არ არის. რაც შეეხება განსაკუთრებულ უფლებებს, გამოგონების შემთხვევაში ისინი მოქმედებს 20 წლის განმავლობაში, ხოლო სასარგებლო მოდელის შემთხვევაში - 10 წლის განმავლობაში

განაცხადის შეტანის დღიდან, და მათი მოქმედება ვრცელდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

სასაქონლო ნიშანი

სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო, რომელიც გამოიყენება მეწარმე ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ წარმოებული საქონლის ან შემოთავაზებული მომსახურების საიდენტიფიკაციოდ და განასხვავებს მას კონკურენტის საქონლისა თუ მომსახურებისაგან. მაგალითად, "DELL" არის სასაქონლო ნიშანი, რომელიც მიუთითებს პროდუქციაზე (კომპიუტერული ტექნიკა და მასთან დაკავშირებული საგნები), ხოლო "HSBC BANK" არის სასაქონლო ნიშანი, რომელიც დაკავშირებულია მომსახურებასთან (საბანკო და ფინანსური მომსახურება). მეწარმის სხვებისაგან განმასხვავებელი და მომხმარებლისათვის პრაქტიკული გამოცდილებით უკვე კარგად ცნობილი სასაქონლო ნიშანი, ერთი და იმავე დანიშნულების მქონე საქონლის ან მომსახურების ფართო არჩევანის პირობებში, საუკეთესო გზამკვლევია, რათა მომხმარებელმა ადვილად შეარჩიოს მისთვის სასურველი თვისებებისა და ხარისხის პროდუქცია.

სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს: სიტყვა (მაგ., Kodak) ან სიტყვები (მაგ., Coca-Cola), აგრეთვე ადამიანის სახელი (მაგ., Ford, Dior) ან სახელების აბრევიატურები (მაგ., YSL - Yves Saint Laurent-ისთვის), ასოები (მაგ., BMW, IBM), ციფრები (მაგ., 7/11), გამოსახულება, სამგანზომილებიანი ფიგურა, მათ შორის საქონლის ფორმა ან შეფუთვა, ისევე, როგორც საქონლის სხვა გარეგნული გაფორმება ფერის ან ფერთა კომბინაციის გამოყენებით. სასაქონლო ნიშანი შეიძლება ასევე იყოს უხილავი ნიშნები, როგორიც არის, მაგალითად, მუსიკა და არომატი.

სასაქონლო ნიშნებს იცავს ამ ნიშნის მფლობელი, ე.წ. განსაკუთრებული უფლების მოპოვების საფუძველზე. განსაკუთრებული უფლება გულისხმობს, ერთი მხრივ, მფლობელის მიერ მისი საქონლისა და მომსახურების იდენტიფიკაციის მიზნით სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლებას და, მეორე მხრივ, სხვა პირების მიერ აღნიშნული სასაქონლო ნიშნის მხოლოდ მფლობელის ნებართვით გამოყენების შესაძლებლობას გარკვეული საფასურის სანაცვლოდ.

საქართველოში განსაკუთრებული უფლების მოპოვება ხდება სასაქონლო ნიშნის უშუალოდ საქპატენტში რეგისტრაციის ან საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე. გამონაკლისს მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილი ნიშნები წარმოადგენს, რომლებიც რეგისტრაციის გარეშეა დაცული. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისათვის აუცილებელია, რომ იგი იყოს დაცვითუნარიანი, ანუ საკმაოდ განსხვავებული უნდა იყოს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საჯარო წესრიგს.

სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლება მოქმედებს 10 წლის ვადით, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს ყოველი მომდევნო 10 წლით, ჯერადობის შეუზღუდავად, თუ გადახდილი იქნება ვადის გაგრძელებისათვის დაწესებული საფასური. განსაკუთრებული უფლება მოქმედებს მხოლოდ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელშიც მოხდა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. განსაკუთრებული უფლებების მოქმედების სფერო შემოიფარგლება იმ საქონლით, რომლისთვისაც ნიშანი არის რეგისტრირებული, გარდა საყოველთაოდ ცნობილი ნიშნებისა, რომელთათვისაც ასეთი უფლება ვრცელდება ნებისმიერ საქონელზე.

გეოგრაფიული აღნიშვნა

გეოგრაფიული აღნიშვნა არის გეოგრაფიული ადგილის სახელი, რომელიც მიუთითებს გარკვეულ გეოგრაფიულ ადგილზე და გამოიყენება იმ საქონლის მოსანიშნად, რომლის განსაზღვრული თვისებები ან რეპუტაცია ამ გეოგრაფიულ ადგილთან არის დაკავშირებული, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრულია აქ არსებული ბუნებრივი პირობებით და ადამიანის ფაქტორით. წარმოშობის ადგილი შეიძლება იყოს ქვეყნის ადგილი - სოფელი, ქალაქი, რეგიონი და თავად ქვეყანაც.

გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენება შეიძლება ნებისმიერი სახის საქონლისათვის, თუმცა სადღეისოდ ისინი ყველაზე ფართოდ გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და, უპირველეს ყოვლისა, ღვინის წარმოებაში. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, ჩვეულებრივ, აქვს მახასიათებლები, რომელთა ფორმირება ხდება განსაზღვრული ადგილობრივი ბუნებრივი გარემოს ზეგავლენით, როგორიცაა კლიმატი და ნიადაგი (ბუნებრივი ფაქტორი). მაგ., „Roquefort“ - ფრანგული ყველისათვის, „ხვანჭკარა“ - ქართული ღვინისათვის, „Porto“ - პორტუგალიური ღვინისათვის და სხვ. გამორიცხული არც ისაა, რომ გეოგრაფიული აღნიშვნა მიუთითებდეს პროდუქტის განსაზღვრულ თვისებაზე, რომლის ფორმირებაც არ არის დამოკიდებული ადგილობრივ ბუნებრივ პირობებზე და განპირობებულია წარმოშობის ადგილისათვის დამახასიათებელი მხოლოდ ადამიანური ფაქტორებით (მაგ. შვეიცარიული მაჯის საათები).

საავტორო და მომიჯნავე უფლებები

საავტორო უფლებები არის უფლებები, რომელიც უჩნდება ავტორს მის მიერ შექმნილ ნაწარმოებთან დაკავშირებით. საავტორო უფლებებით დაიცვება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოები, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ხარისხისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.

საავტორო უფლებები იცავს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს. ასეთ ნაწარმოებებს მიეკუთვნება ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში შექმნილი ყველა ნამუშევარი, მისი გამოსახვის ხერხისა და ფორმის მიუხედავად, როგორიცაა:

- ლიტერატურული ნაწარმოებები: წიგნები, ბროშურები, სტატიები და სხვა წერილობითი ნაწარმოებები; ლექციები, მიმართვები, ქადაგებები და ამავე ხასიათის სხვა ნაწარმოებები;
- დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებები;
- ქორეოგრაფიის, პანტომიმის და სხვა სასცენო ნაწარმოებები;
- ტექსტიანი ან უტექსტო მუსიკალური ნაწარმოებები;
- აუდიოვიზუალური (კინემატოგრაფიული) ნაწარმოებები;
- სახვითი ხელოვნების, ფერწერული, სკულპტურული ნაწარმოებები, გრავიურა და ლითოგრაფია; თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოებები;
- ფოტოგრაფიული ან ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით შექმნილი ნაწარმოებები;
- დეკორატიული, გამოყენებითი და მონუმენტური ხელოვნების ნაწარმოებები;
- რუკები, გეგმები, ესკიზები, ილუსტრაციები და სხვა მსგავსი ნაწარმოებები, რომლებიც განეკუთვნება გეოლოგიას, გეოგრაფიას, კარტოგრაფიას ან სხვა დარგებს;
- არქიტექტურული, ქალაქმშენებლობის და საბაღე-საპარკო ხელოვნების ნაწარმოებები;
- გადამუშავებული ნაწარმოებები, კერძოდ, თარგმანი, ადაპტაცია, ეკრანიზაცია, მიმოხილვა, ინსცენირება, კომპილაცია, მუსიკალური არანჟირება და მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების სხვაგვარი გადამუშავება;
- შედგენილი ნაწარმოებები, კერძოდ, კრებული, ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა და სხვა ნაწარმოებები, რომლებიც მასალის შერჩევისა და განლაგების მიხედვით ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენენ;
- კომპიუტერული პროგრამები;
- სხვა ნაწარმოებები.

საავტორო უფლებები წარმოიშობა ნაწარმოების შექმნისთანავე და მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და 70 წელი მისი გარდაცვალებიდან. ნაწარმოებთან დაკავშირებული ავტორობის, სახელის, ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლების დაცვა ხორციელდება უვადოდ. საავტორო უფლებების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ ნაწარმოები შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა ჰონორარის გადახდის გარეშე.

მომიჯნავე უფლებების დაცვის ობიექტებია: შესრულება, ფონოგრამა, ვიდეოგრამა და საეთერო და საკაბელო მაუწყებლობის ორგანიზაციების გადაცემები. მომიჯნავე

უფლებების მფლობელები არიან: შემსრულებლები, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებლები და მაუწყებლობის (საეთერო და საკაბელო) ორგანიზაციები.

დიზაინი

დიზაინი არის მთლიანი პროდუქტის ან მისი ნაწილის გამოხატულება, რომელიც გამომდინარეობს თვით პროდუქტის ნიშნებისაგან, მათ შორის, ხაზებისაგან, კონტურებისაგან, ფერებისაგან, ფორმისაგან, ტექსტურისაგან ან/და მასალისაგან, ან პროდუქტის მორთვისაგან. დიზაინი ექვემდებარება დაცვას, თუ მას აქვს *სიახლე* და *ინდივიდუალურია.*

მურმან მარგველაშვილი

საქართველოს ენერგოსექტორის მოკლე დახასიათება

ენერგომომარაგება

საქართველოს ენერგოსექტორი ერთიანი კომპლექსური სისტემაა, სადაც მოქმედებს და ენერგომომარაგებას უზრუნველყოფს ელექტროენერგეტიკული და ბუნებრივი გაზით, ნავთობპროდუქტებით, შეშით და ნახშირით მომარაგების ბაზრები და სისტემები. 2015 წლის ენერგეტიკული ბალანსით, საქართველოს ენერგომომარაგების 72% მოდის გარე წყაროებზე, საიდანაც 43% იმპორტირებული ბუნებრივი გაზი და 27% შემოტანილი ნავთობპროდუქტებია. ქვეყანა განიცდის წიაღისეული მარაგების სიმწირეს, თუმცა მდიდარია ჰიდრორესურსებით და შეუძლია მზის და ქარის განახლებადი ენერგიის განვითარება.

ჰიდროსადგურების მთლიანი წლიური გამომუშავება ქვეყნის ენერგიის მოხმარების მხოლოდ 15%-ს შეადგენს, რაც დამოუკიდებლად ვერ უზრუნველყოფს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. ადგილობრივი ენერგიის მნიშვნელოვანი წყაროა შეშა, რომელიც ენერგეტიკული ბალანსის 8-10%-ს შეადგენს და რომელიც ძირითადად მოიხმარება ტყეების განადგურების ხარჯზე.

მიწოდება



მოხმარება



საქართველოს ენერგიის მოხმარება 2015 წელს შეადგენდა 54.9 ტერავატ საათს, აქედან ელექტროენერგიის მოხმარება - 10.4 ტერავატ საათს. აღსანიშნავია ენერგიის მოხმარებაში საყოფაცხოვრებო სექტორის მაღალი წილი, რაც ეკონომიკური განვითარების შედარებით სისუსტეზე მიანიშნებს.

ენერგოსექტორის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ელექტროენერგიის და გაზის მოხმარების სეზონურობა. ჰიდროენერგიის ზაფხულის სიჭარბის და ზამთრის დეფიციტის გამო ჰიდროელექტროსადგურების განვითარება მხოლოდ შიგა ბაზრისთვის გართულებულია. გაზსაცავის არქონა კი ართულებს მოხმარების მკვეთრი ცვალებადობის დაბალანსებას. ამის გამო საქართველოს ენერგეტიკის განვითარება დამოკიდებულია მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობაზე.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა მის ერთ-ერთ უპირატესობას წარმოადგენს. იგი ასრულებს ენერგეტიკული ხიდის ფუნქციას აღმოსავლეთ-დასავლეთის, ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებებით. ენერგეტიკული ტრანზიტი ქვეყნის ეროვნული და ენერგეტიკული უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

დიდი პრობლემაა აფხაზეთის გადაუხდელი მზარდი მოხმარება, რომელიც სულ უფრო მეტ რესურსს მოითხოვს საქართველოს ენერგოსისტემისაგან და არ აძლევს მას საშუალებას ჯეროვნად გამოიყენოს ენგური/ვარდნილის ჰიდროენერგეტიკული კასკადი.

საქართველო მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა. ბაქო-სუფსა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენები და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი ისევე, როგორც ჩრდილოეთ-სამხრეთის (რუსეთ-სომხეთის დამაკავშირებელი) გაზსადენი ქვეყანას საერთაშორისო ინტერესების ცენტრში აქცევს და მისი უსაფრთხოების მხარდამჭერ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. სამხრეთკავკასიური მილსადენის მიმდინარე გაფართოება და თურქეთის გავლით ევროპამდე გაზის ტრანზიტის შესაძლებლობა (TANAP, TAP მილსადენებით) ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის შემდგომ გაძლიერებას ემსახურება და პერსპექტივაში გაზრდილ სატრანზიტო ნაკადებს და სატრანზიტო შემოსავლებს მოიტანს. ეს პროექტი წარმოადგენს ე.წ. სამხრეთის გაზის დერეფნის კონცეფციის ძირითად ნაწილს, რომელიც ევროკავშირისთვის რუსეთის ჩარევის გარეშე კასპიური გაზის მიღების პერსპექტივით არის მნიშვნელოვანი და საქართველოს სატრანზიტო მნიშვნელობას ზრდის.

ამდენად, ევროკავშირთან ენერგეტიკული თანამშრომლობა შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი დამხმარე გარემოება ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

კანონმდებლობა და ინსტიტუციური გარემო

ენერგეტიკული სექტორის იურიდიულ ჩარჩოს ქმნის ენერგეტიკული კანონები და კანონქვემდებარე აქტები. ფუძემდებლური კანონები ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის

შესახებ, ნავთობისა და გაზის შესახებ, ელექტროენერგიის და გაზის ბაზრის წესები, სატარიფო მეთოდოლოგია და სხვა.

ელექტრობის და გაზის კანონი ისევე, როგორც ელექტროენერგიის და გაზის ბაზრის წესები საწყისი გამჭვირვალე და მწყობრი ფორმიდან მრავალჯერ გადაკეთდა კერძო ერთჯერადი საჭიროებების გამო და ამჟამად ვერ შეესაბამება ინდუსტრიის მისაღებ სტანდარტებს. ახლანდელი ვერსიით კანონი გადამეტებულ და უკონტროლო უფლებამოსილებას ანიჭებს ენერგეტიკის სამინისტროს და აკნინებს სემეკის ფუნქციებს, რომელმაც, წესით, გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნაში, მიუკერძოებელი არაპოლიტიკური რეგულირებით.

იურიდიული გარემო კიდევ უფრო დამძიმებულია მეზობელი ქვეყნების ენერგოკომპანიებთან და ჰიდროსადგურების დეველოპერებთან დადებული მემორანდუმებით, რომლებიც გაუმჭვირვალე, არაკონკურენტულ გარემოს ქმნიან და სექტორის განვითარებას უშლიან ხელს. გაზის ერთ მომწოდებელზე („სოკარ გაზი“) დამოკიდებულების პირობებში არ არის ჩამოყალიბებული გაზის ეფექტური ბაზარი და ეფექტური სატარიფო სისტემა.

კონკურენციის და ეფექტური ბაზრის ჩამოყალიბებისთვის ხელშემშლელია ასევე ტარიფების სუბსიდირება, რაც არის სახელმწიფოს ჩარევა და მის არაეფექტურობას განაპირობებს. ელექტრობის და გაზის ტარიფები მოსახლეობაში ხელოვნურად არის შენარჩუნებული.

სექტორის საკანონმდებლო გარემო და ინსტიტუციური სტრუქტურა საჩქარო გადახალისებას მოითხოვს, რისთვისაც საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობა (დირექტივები და რეგულაციები).

დასკვნა: ***საქართველოს ენერგოუზრუნველყოფა დიდად არის დამოკიდებული გარე წყაროებზე, ამასთან, სექტორის მოწყობა და კანონმდებლობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპულ და მოწინავე საერთაშორისო სტანდარტებს, რის გამოც არაეფექტურია და უსაფრთხოების მნიშვნელოვან რისკებს წარმოშობს. ასოცირების შეთანხმება და ევროპული კანონმდებლობის და სისტემების დანერგვა ხელს შეუწყობს ამ რისკების შემცირებას.***

ასოცირების შეთანხმება და ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები

ასოცირების შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ასპექტია ენერგეტიკული კანონმდებლობის და ენერგეტიკული ბაზრების ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან და ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის, ძირითადი დირექტივების და რეგულაციების გადმოტანა საქართველოს კანონმდებლობაში.

ასოცირების შეთანხმების პრეამბულაში ხაზგასმით არის გამოყოფილი ევროკავშირის დაინტერესება **სამხრეთის გაზის დერეფნის** განვითარებით, რისი ხელშემწყობი პირობაც არის სტაბილური და გამჭვირვალე საკანონმდებლო გარემოს შექმნა. „ასოცირების შეთანხმების“ მე-11 თავში მოცემულია ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, ძირითადად მოყვანილია საქართველოს გავლით ენერგეტიკული ტრანზიტის ხელშემწყობი ვალდებულებები. მის

მიხედვით, ქვეყანა იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს მისი გავლით ენერგეტიკული პროდუქტების ტრანზიტს; არ შექმნას დაბრკოლებები, არ მოახდინოს ენერგიის უნებართვო აღება სატრანზიტო მილსადენებიდან ან გადამცემი ხაზებიდან, მიიღოს ზომები ტრანზიტის შეფერხების წინააღმდეგ და ასევე, რაიმე მიზეზით ტრანზიტის შეწყვეტის შემთხვევაში, სწრაფად აღმოფხვრას დაბრკოლებები, რათა აღადგინოს სატრანზიტო ნაკადები. ეს დებულებები დიდწილად იმეორებს ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების (Energy Charter Treaty) დებულებებს.

მნიშვნელოვან დებულებას შეიცავს მუხლი 215, რომლის მიხედვითაც ორივე მხარემ უნდა დანიშნოს ის ორგანო, რომელიც არეგულირებს ელექტრობის და გაზის ბაზრებს. დამოუკიდებელი და უფლებამოსილი მარეგულირებელი ორგანო არის ენერგეტიკული ბაზრების ეფექტური ფუნქციონირების მთავარი წინაპირობა. ევროპული და სხვა განვითარებული ენერგეტიკული ბაზრების კანონმდებლობით, სამინისტრო არ ერევა რეგულირების საქმეში.

მუხლი 216-ის მიხედვით, მხარეებმა უნდა შექმნან კონკურენტული ენერგეტიკული ბაზრები და არ დაუშვან რომელიმე საწარმოს დისკრიმინაცია. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სახელმწიფო ჩარევა უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, განახლებადი ენერგიის და ენერგოეფექტურობის ხელშეწყობისათვის.

ასოცირების შეთანხმების კარი VI - სხვა თანამშრომლობა, თავი II - სხვა ენერგეტიკული თანამშრომლობა

ამ თავის მიხედვით, ევროკავშირის და საქართველოს თანამშრომლობის საგანია ენერგეტიკული სტრატეგიები და პოლიტიკა; კონკურენტული, გამჭვირვალე და ეფექტიანი ენერგეტიკული ბაზარი, მესამე მხარის არადისკრიმინაციული დაშვება, შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავება რეგიონულ ენერგეტიკულ საკითხებზე; მიმზიდველი და სტაბილური საინვესტიციო კლიმატის შექმნა; ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება; ბაზრის ინტეგრაცია და ეტაპობრივი რეგულაციური დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობის უმთავრეს ელემენტებთან; ენერგოვაჭრობა, ტრანზიტი, ტრანსპორტირება და ფასების პოლიტიკა; ენერგოეფექტურობისა და ენერგიის დაზოგვის და განახლებადი ენერგიის განვითარება; სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობა; ბირთვული უსაფრთხოებისა და რადიაციული დაცვის სფეროში თანამშრომლობა.

ასოცირების შეთანხმების დანართი XXV

ამ დანართის მიხედვით, საქართველო იღებს ვალდებულებას, რომ დანერგოს ევროკავშირის დირექტივები და რეგულაციები თავის ენერგეტიკულ სექტორში. დირექტივების დანერგვა ნიშნავს, რომ უნდა ჩამოყალიბდეს გამჭვირვალე და კონკურენტული ბაზრები ელექტროენერგიის და გაზით ვაჭრობისათვის, სადაც მომხმარებლებს ექნებათ ფართო არჩევანი და კონკურენტული ფასები, ხოლო მიმწოდებლებს - თანაბარი და გამჭვირვალე კონკურენტული გარემო. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიის წყაროების დანერგვას, მათ შორის შენობებში, და ამით შეამციროს გარემოზე მავნე ზემოქმედება და გაზარდოს ენერგეტიკული უსაფრთხოება. უნდა დაინერგოს მომსახურების მაღალი სტანდარტები და მომხმარებელი დაცული უნდა იყოს ენერგიის მიწოდების შეწყვეტისაგან. ამისთვის ქვეყანამ უნდა შექმნას ნავთობის და გაზის მარაგები და განავითაროს ტრანსსასაზღვრო ვაჭრობა.

ენერგეტიკული გაერთიანება და მისი წევრობა

ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება (ე.გ.) 2005 წლის „ათენის ხელშეკრულებით“ შექმნილი ორგანიზაციაა, რომლის მიზანია ევროკავშირის ენერგეტიკული ბაზრების და კანონმდებლობის გავრცელება მის სამეზობლოზე. ე.გ.-ის წევრები არიან ევროკავშირი, ბალკანეთის (ევროკავშირის არაწევრი) ქვეყნები, უკრაინა, მოლდოვა და საქართველო, ხოლო დამკვირვებლები - ნორვეგია, თურქეთი და სომხეთი. გაერთიანების სამდივნო მუშაობს ვენაში და მისი ძირითადი მოვალეობაა წევრ ქვეყნებს დაეხმაროს რეფორმებში, რათა მოხდეს მათი ბაზრების და კანონმდებლობის ევროგაერთიანების ბაზრებთან ჰარმონიზაცია. ე.გ.-ის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პრინციპია ის, რომ ენერგეტიკულ საგანგებო მდგომარეობაში წევრმა ქვეყნებმა ერთმანეთს დახმარება გაუწიონ თავისი მარაგებით და შესაძლებლობებით.

ენერგეტიკული გაერთიანების წევრობით სარგებლობს უკრაინა, რომელიც რუსეთთან კონფლიქტის გამო, მიუხედავად მისი ტერიტორიით რუსული გაზის ტრანზიტისა, ამ გაზს იღებს არა რუსეთისგან, არამედ ევროკავშირის ქვეყნებისგან.

,,ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმს“ ხელი მოეწერა 2016 წლის 14 ოქტომბერს, რითაც ქვეყანამ ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობის (დირექტივებისა და რეგულაციების) საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში დანერგვის ვალდებულება აიღო, ოქმით განსაზღვრულ ვადებში. ოქმის ჩამოტვირთვა შეიძლება ენერგეტიკის სამინისტროს ვებგვერდიდან. დირექტივების დანერგვა გულისხმობს როგორც საკანონმდებლო, ასევე ინსტიტუციურ რეფორმებს, რამაც უნდა ჩამოაყალიბოს თანამედროვე სტანდარტების მოწინავე ენერგეტიკული სექტორი.

16 დირექტივის და სამი რეგულაციის დანერგვა უნდა მოხდეს ეტაპობრივად, ოქმში გაწერილი გრაფიკის შესაბამისად. ეს არის ელექტროენერგიის და გაზის ბაზრის დირექტივები, რომლებიც შეადგენს ენერგეტიკული დირექტივების მესამე პაკეტს. მესამე პაკეტის მიხედვით უნდა მოხდეს ქსელური საწარმოების განცალკევება არაქსელური საქმიანობისგან, რათა მათ, საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ, არ დაარღვიონ საბაზრო კონკურენცია.

ამასთან, დასანერგია ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის, შენობათა ენერგოეფექტურობის და ენერგომომხმარებელი მოწყობილობის ნიშანდების დირექტივები, ელექტრობის და გაზის მიწოდების უსაფრთხოების რეგულაციები და ნავთობის და ნავთობპროდუქტების მარაგის ქონის დირექტივა, ასევე ფასების გამჭვირვალობის და ენერგეტიკული სტატისტიკის სისტემები და გარემოსდაცვითი პროცედურები.

დირექტივების მოთხოვნების შესრულებაში საქართველოს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ევროკავშირი, ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნო, დონორული ორგანიზაციები და ევროპული ქვეყნების მთავრობები, რომლებიც ამ მიმართულებით მრავალ პროექტს ახორციელებენ.

მაგალითად, შემუშავდა ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმა (EBRD) და დამუშავების პროცესშია განახლებადი ენერგიის სამოქმედო გეგმა (UNDP), ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნომ დაამუშავა ახალი ენერგეტიკის კანონის პროექტი, რომელიც ჯერ შიგა განხილვის სტადიაზეა. მიმდინარეობს რამდენიმე პროექტი შენობების ენერგოეფექტურობის (DANIDA,EBRD), ენერგეტიკული სტატისტიკის, სემეკის გაძლიერების (E-Control) და მონაცემებზე დაყრდნობილი პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით.

რეფორმების რთული პროცესი 6 წელიწადზეა გაწერილი და მის განხორციელებისას ბევრი ბარიერის და დაბრკოლების გადალახვა იქნება საჭირო, რაშიც მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოებისა და ჟურნალისტების ჩართულობა.

ვაჭრობა და მდგრადი განვითარება

მანანა ქოჩლაძე

2015 წელს გაეროს ეგიდით 190-ზე მეტი ქვეყნის ლიდერმა ვალდებულება აიღო მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად, რომელთა შორისაა სიღარიბისა და უთანასწორობის აღმოფხვრა, გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლა. მსოფლიოში საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებასა და მდგრად განვითარებას შორის არსებულმა კავშირებმა საკმაოდ ბევრი კითხვა გააჩინა, მაგ., კარგია თუ არა საერთაშორისო ვაჭრობა გარემოსთვის? ამგვარ კითხვებზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. საერთაშორისო ვაჭრობის მიზანს - ეკონომიკის გაფართოებას, საქონლის ექსპორტსა და იმპორტს გარკვეული ზემოქმედება აქვს როგორც გარემოს დაცვაზე, ისე ადამიანების უფლებებზე.

ევროკავშირის კანონმდებლობა მოითხოვს, რომ ევროკავშირის ყველა შესაბამისმა პოლიტიკამ ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას. შესაბამისად, ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკის მიზანია ეკონომიკის განვითარებაში ინტეგრირებული იყოს სოციალური სამართლიანობა, ადამიანის უფლებები და მაღალი გარემოსდაცვითი სტანდარტები.

მდგრადი განვითარება

მდგრადობა არის დედამიწაზე არსებული ბუნებრივი სისტემების, ადამიანთა კულტურული სისტემებისა და ეკონომიკის უნარი გადარჩეს და ადაპტირდეს გარემოს მუდმივად ცვალებად პირობებთან.

მდგრადობის მთავარი კომპონენტი ბუნებრივი კაპიტალია - ბუნებრივი რესურსები და სერვისები. ეკონომიკურ საქმიანობას შესაძლოა ორი ტიპის ზემოქმედება ჰქონდეს ბუნებრივ კაპიტალზე:

- განახლებადი რესურსების არარაციონალური გამოყენებით შესაძლოა ბუნებრივი კაპიტალის დეგრადაცია - მაგ., გადამეტებული თევზჭერა ან ტყის რესურსების არაგონივრული მოხმარება.
- გარემოს დაბინძურება - ჰაერის, წყლის, ნიადაგის დაბინძურება.

ეს ზემოქმედება შესაძლებელია საზოგადოებისთვის საკმაოდ პრობლემატური იყოს. მაგ., ჯანდაცვის გაზრდილი ხარჯები, გეოლოგიური რისკები (ღვარცოფები, მეწყრები) და ა.შ.

1992 წელს ხელმოწერილი „რიოს დეკლარაციის“ თანახმად, მომავლის მთავარი მოდელია მდგრადი განვითარება, სადაც ეკონომიკური განვითარება გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას და ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას ისე, რომ არ შეილახოს მომავალი თაობების უფლებები. მოდელი ეყრდნობა სამ კომპონენტს:

- ძლიერ, ჯანსაღ და დემოკრატიულ საზოგადოებას;
- გარემოსდაცვითი უსაფრთხოებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებულ ეკონომიკას;
- სოციალურ კეთილდღეობას ყველა სოციალური ჯგუფისთვის, ჩართულობისა და თანაბარი შესაძლებლობების შექმნას.

საერთაშორისო ვაჭრობის ზემოქმედება გარემოსა და ადამიანებზე

შედარებითი უპირატესობის თეორიის თანახმად, ვაჭრობისა და ეკონომიკის ზრდა დადებითად მოქმედებს ქვეყნის კეთილდღეობაზე, ვინაიდან სავაჭრო პარტნიორები იღებენ სარგებელს იმ პროდუქციისგან, რომელსაც ისინი ეფექტურად აწარმოებენ. თუმცა თეორია არ ცნობს ე.წ. გარე გარემოსდაცვით ხარჯებს (ჰაერის, წყლის, ნიადაგის დაბინძურებას, ჯანდაცვის ხარჯებს, ბუნებრივი სერვისების მოშლას), რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ამ პროდუქციის წარმოებასთან ან მოხმარებასთან.

ეროვნულ დონეზე რეგულირება გულისხმობს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის გამკაცრებასა და გარე გარემოსდაცვითი ხარჯების ინტერნალიზებას (მათი შეყვანა პროდუქციის ფასში).

საერთაშორისო ვაჭრობას შესაძლებელია ჰქონდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი დადებითი ზემოქმედება გარემოსა და საზოგადოებაზე. მაგ., კონკურენციამ შეიძლება გამოიწვიოს რესურსების რაციონალური მოხმარება, ნარჩენების მინიმიზაცია, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. თუმცა, ვაჭრობის გლობალიზაციამ შეიძლება ასევე

მოგვცეს უარყოფითი შედეგები, როგორიცაა მიწების დეგრადაცია, ნიადაგის ეროზია, პესტიციდების ზემოქმედება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

საერთაშორისო ვაჭრობისას ეს საფრთხეები ჯეროვნად არ რეგულირდება. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის XX მუხლის თანახმად, ქვეყნებს უფლება აქვთ შეზღუდონ ვაჭრობა „ამოწურვადი რესურსი კონსერვაციის“ ან „ადამიანის, ცხოველის ან მცენარის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაცვისთვის“. მაგრამ პრაქტიკაში ამ მუხლის გამოყენება საკმაოდ შეზღუდულად ხდება.

1991 წელს მექსიკის მთავრობამ უჩივლა აშშ-ს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO). აშშ-ის ზღვის ძუძუმწოვართა დაცვის აქტით აკრძალულია თინუსის თევზჭერის ისეთი მეთოდები, რომლებიც კლავს დელფინებს. შესაბამისად, აშშ-მ აკრძალა თინუსის იმპორტი ქვეყნებიდან, სადაც ამგვარ მეთოდებს იყენებდნენ. WTO-ის დავების გადაჭრის მექანიზმმა დაადგინა, რომ აშშ-ს არ შეეძლო შიდა კანონმდებლობის გამოყენება დელფინების დაცვისთვის საკუთარი ტერიტორიული საზღვრების გარეთ.

ზოგადად, WTO საკმაოდ ეჭვის თვალით უყურებს ე.წ. „მწვანე პროტექციონიზმს“. მაგ., მან არ გაამართლა ევროკავშირი, როდესაც მათ აკრძალეს აშშ-დან ჰორმონებზე გაზრდილი საქონლის ხორცის ექსპორტი. აშშ-ის განმარტებით, არ არსებობს დადასტურებული ინფორმაცია, რომ ჰორმონების გამოყენება აზიანებს ადამიანის ჯანმრთელობას. ევროკავშირი ეყრდნობა თავისი გარემოსდაცვითი პოლიტიკის პრინციპს, რომლის თანახმადაც, პრევენციის პრინციპი უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან არ არის დამტკიცებული, რომ ამგვარი ხორცი არ ვნებს ადამიანის ჯანმრთელობას.

სამრეწველო ინდუსტრიების განვითარებად ქვეყნებში გადატანისას შესაძლებელია გაიზარდოს ადამიანის უფლებათა დარღვევების რაოდენობა და სიმწვავე. მაგ., უზბეკეთში ბამბის მოსავლის მოსაკრეფად იყენებენ ბავშვთა შრომას, რაც მძიმედ მოქმედებს ბავშვების ჯანმრთელობაზე. თავისუფალმა ვაჭრობამ შესაძლებელია გამოიწვიოს მშრომელთა მობილურობის ზრდა, საწარმოების დახურვა, უსაფრთხოების წესების გაუქმება შედარებითი უპირატესობის მოსაპოვებლად, შემოსავლების არათანაბარი გადანაწილება.

საერთაშორისო ვაჭრობის შემთხვევაში შრომის საერთაშორისო სტანდარტებს არეგულირებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO). WTO თვითონ არ განიხილავს შრომით სტანდარტებს საერთაშორისო ვაჭრობაში. WTO-ის წევრ სახელმწიფოებს აქვთ კონსენსუსი ე.წ. „ძირითად“ შრომით უფლებაზე, მათ შორის:

- გაერთიანების თავისუფლება და კოლექტიური მოლაპარაკებების უფლების რეალური აღიარება;
- იძულებითი ან ძალდატანებითი შრომის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრა;
- ბავშვთა შრომის რეალური გაუქმება;

- დასაქმებასა და შრომასთან დაკავშირებული ყოველგვარი დისკრიმინაციის აღკვეთა;

ევროკავშირის მიდგომა საერთაშორისო ვაჭრობისადმი მდგრადი განვითარების პერსპექტივიდან

ევროკავშირის მიდგომა სრულად განსხვავდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიდგომისაგან. ლისაბონის ხელშეკრულების 21-ე მუხლის თანახმად, ევროკავშირმა თავისი საგარეო პოლიტიკითა და ქმედებებით ხელი უნდა შეუწყოს: „...დედამიწაზე მდგრად განვითარებას, ადამიანების სოლიდარობასა და ურთიერთპატივისცემას, თავისუფალ და სამართლიან ვაჭრობას, სიღარიბის აღმოფხვრასა და ადამიანის უფლებების დაცვას“. შესაბამისად, ახალი თაობის სავაჭრო ხელშეკრულებები მოიცავს მდგრადი განვითარების პრინციპებს, რომლებიც აუცილებელია ხელმომწერი მხარეებისთვის, მათ შორის:

- საერთაშორისო შრომისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობისა და სტანდარტების დანერგვა;
- გარემოსდაცვითი და შრომითი კანონმდებლობის ეფექტური შესრულება;
- დაუშვებელია შრომისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესუსტება შედარებითი უპირატესობის მისაღწევად;
- ბუნებრივი რესურსებით მდგრადი ვაჭრობა (ხე-ტყე, თევზი);
- გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობათა არალეგალურ ვაჭრობასთან ბრძოლა;
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკის ფართოდ გავრცელება.

საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო შეთანხმებაში (DCFTA) ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საქართველომ უნდა შეასრულოს ILO-ის ძირითადი სტანდარტები და ამავდროულად უზრუნველყოს სხვა კონვენციების რატიფიცირება პრიორიტეტულობის მიხედვით.

ხელშეკრულებები ასევე ითხოვს სახელმწიფო შესყიდვების მდგრადი სისტემის დანერგვასა და ბარიერების აღმოფხვრას განახლებადი ენერგიების სექტორში ვაჭრობისა და ინვესტიციებისთვის.

ამავდროულად, DCFTA-ის მე-13 თავში ხაზგასმულია, რომ მხარეებმა უნდა შეასრულონ მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებები, მათ შორის:

- გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენცია;

- კლიმატის ცვლილების ჩარჩოკონვენცია;
- ბიომრავალფეროვნების დაცვის კონვენცია;
- მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ სტოკჰოლმის კონვენცია;
- სახიფათო ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის როტერდამის კონვენცია;
- შეთანხმება სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე.

სავაჭრო პოლიტიკამ ასევე უნდა შეუწყოს ხელი კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლას და დაბალემისიური ეკონომიკის განვითარებას ინოვაციებისა და ინვესტიციების ხელშეწყობით, ასევე გარემოსდაცვითი საქონლის, სერვისებისა და ტექნოლოგიების ხელმისწავდომობით.

DCFTA-ის შესაძლო ზემოქმედება საქართველოზე მდგრადი განვითარების კუთხით

ევროკავშირმა ჯერ კიდევ ევროკავშირი-საქართველოს DCFTA-ის ხელმოწერამდე ჩაატარა ხელშეკრულების მდგრადობის ზემოქმედების შეფასება, რაც გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ, რა ტიპის სამუშაოები უნდა ჩატარდეს პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების აღმოსაფხვრელად.

საქართველოს აქვს მწვავე გარემოსდაცვით პრობლემები, მათ შორის, ჰაერისა და წყლის დაბინძურება, მიწების დეგრადაცია, ნარჩენების პრობლემა და ა.შ. DCFTA-ის სრულად განხორციელების შემთხვევაში, ზემოქმედება იქნება საკმაოდ ზომიერი. მაგ., ჰაერის დაბინძურება შესაძლებელია გაიზარდოს 3.1%-ით, ხოლო მიწების ათვისების ინტენსივობა - 2%-ზე ზემოთ. თუმცა გათვლებმა აჩვენა, რომ საწყის დონემდე ჰაერის დაბინძურების შემცირებას სულ 20 მლნ. ევროს ინვესტიცია დასჭირდება. ამასთან, DCFTA-ს ექნება სუსტი, მაგრამ პოზიტიური ზემოქმედება საერთაშორისო გარემოსდაცვითი კანონმდებლობის განხორციელების მოთხოვნის შედეგად.

DCFTA-ს აქვს პოტენციალი დადებითად იმოქმედოს ადამიანის უფლებებზე, პირველ რიგში - შრომით უფლებებზე; ხელშეკრულების შესრულებამ უნდა გაზარდოს მთავრობის ადმინისტრაციული რესურსი შრომითი კანონმდებლობის მონიტორინგისთვის, ასევე ჩამოაყალიბოს საზოგადოებრივი მოთხოვნა შრომითი სტანდარტების გამკაცრებისთვის. ეს ასევე დადებითად იმოქმედებს თანასწორობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე, რადგან DCFTA ითხოვს მთელი რიგი საერთაშორისო კონვენციების შესრულებას.

2014-2016 წლებში საქართველოს მთავრობას ამ მხრივ არ გადაუდგამს შესაბამისი ნაბიჯები. 2016 წელს საქართველოს და ევროკავშირის მრჩეველთა საბჭოების ერთობლივი განცხადებით, საქართველომ სრულად უნდა შეასრულოს აღებული

ვალდებულებები, მათ შორის, გაერთიანებისა და კოლექტიური მოლაპარაკებების, შრომის ინსპექციისა და მინიმალური ხელფასის ზღვრის დაწესებით.

სამწუხაროდ, DCFTA-ს არ ექნება ძლიერი დადებითი გავლენა განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებზე და ის ვერ შეუწყობს ხელს სიღარიბის აღმოფხვრას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ კვლევის თანახმად, ყველაზე მოწყვლადი რეგიონებია შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი და, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრა. ამავდროულად, DCFTA-ს ექნება დადებითი ზეგავლენა როგორც კვალიფიციური მუშახელის შემოსავლების (3.6%), ისე საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე (6.5%). ასევე შესაძლოა ოდნავ გაზარდოს შემოსავლების უთანასწორობა (ჯინის ინდექსი) - 02.%, გრძელვადიანი პერსპექტივიდან.

	ფონი	ხანმოკლე	გრძელვადიანი
აბს.სიღარიბე	22.6	22.6	22.3
შედ.სიღარიბე	15.4	15.5	15.7
ჯინის ინდექსი	0.398	0,399	0.400
სიღ.ადგილის მიხედვით			
ქალაქი	20.2	20.3	19.9
სოფელი	24.8	24.9	24.5
სიღ.ეკონომ.აქტ. მ ოსახლეობაში	20.3	20.3	19.9

მნიშვნელოვანია, რომ შეფასების ამგვარი ინსტრუმენტით პერიოდულად გაიზომოს DCFTA-ის ზეგავლენა მდგრად განვითარებაზე საქართველოში და უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები.

საჯარო შესყიდვები

გიორგი ლომთაძე

სახელმწიფო შესყიდვები ნებისმიერი ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური და მნიშვნელოვანი ფუნქციაა. სახელმწიფო დონეზე ნებისმიერი ვალდებულება თუ გადაწყვეტილება ნაწილობრივ მაინც სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით ხორციელდება.

სახელმწიფო შესყიდვა ეს არის სახელმწიფოს მიერ საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შეძენა, რომელიც ხორციელდება სფეროსთვის დამახასიათებელი წესებით. წესების განმსაზღვრელი ძირითადი სამართლებრივი ბაზა არის შესყიდვების შესახებ კანონი.

სახელმწიფო შესყიდვების საერთაშორისო ნორმები

ისევე, როგორც სხვა სფეროებში, სახელმწიფო შესყიდვებშიც არსებობს საერთაშორისო ნორმები. მიუხედავად საერთო პრინციპების და ღირებულებებისა, სახელმწიფო შესყიდვების საერთაშორისო მარეგულირებელი ნორმები ერთმანეთისგან განსხვავდება. არსებობს რამდენიმე მიდგომა პროცედურების არჩევის, შესყიდვის განხორციელების და სხვა საკითხების მიმართ.

სახელმწიფო შესყიდვებში ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ნორმებია:

- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) შეთანხმება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ - WTO GPA
- გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის სახელმწიფო შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპები (UNCITRAL Model Law)
- ევროკავშირის დირექტივები სახელმწიფო შესყიდვების სფეროში
- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შიდა რეგულაციები სახელმწიფო შესყიდვებისთვის (აზიის განვითარების ბანკი, მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და ა.შ.)

ეს საერთაშორისო ნორმები ხშირად გამოიყენება როგორც საუკეთესო სტანდარტი ან ფუნდამენტური სახელმძღვანელო, რომელიც გაუადვილებს სახელმწიფოებს დახვეწონ შესყიდვების საკანონმდებლო ბაზა.

საქართველოს შესყიდვების საკანონმდებლო ბაზა მეტწილად შეესაბამება სხვადასხვა საერთაშორისო ნორმას, მაგალითად, WTO GPA-ს. ამასთანავე, საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი წინსვლა ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზასთან დაახლოების თვალსაზრისით. ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი ვალდებულებაა საქართველოს კანონმდებლობაში სრულად იყოს ასახული ევროკავშირში მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი ნორმები, პრინციპები და პროცედურები.

სახელმწიფო შესყიდვების სისტემის განვითარება საქართველოში

საქართველოს შესყიდვების სისტემის განვითარების რამდენიმე ეტაპი შეგვიძლია გამოვყოთ:

1. 2010 წლამდე არსებული სისტემა
2. 2010-2014 წლებში მოქმედი სისტემა
3. 2014-2022 წლებში დაგეგმილი ცვლილებები ევროკავშირთან დაახლოების პროცესში

2010 წლის რეფორმებამდე საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა არაეფექტიანი იყო კონკურენციის, დანაზოგის, გამჭვირვალობის, პროცედურების და საკანონმდებლო ბაზის თვალსაზრისით. შესყიდვები ხორციელდებოდა ქაღალდზე, არსებობდა გეოგრაფიული ბარიერები, ხანგრძლივი პროცედურები და დისკრიმინაციული მიდგომა შესყიდვებში მონაწილეთა მიმართ.

მას შემდეგ, რაც მასშტაბური რეფორმები განხორციელდა, 2010 წლიდან, ნელ-ნელა სისტემამ მიიღო დღევანდელი ფორმა. შეიქმნა ახალი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს, შეიქმნა და ამოქმედდა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული პორტალი - spa.ge, შესაბამისად, შესყიდვები და კონკურენტული პროცედურები მთლიანად ელექტრონული გახდა.

ზემოთქმულის გარდა, შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე განსაკუთრებულად დადებითი ცვლილება:

- საზოგადოებისთვის ღია გახდა სახელმწიფო ბიუჯეტით განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინფორმაცია;
- შეიქმნა მონაწილეობის თანაბარი პირობა ყველა პოტენციური მიმწოდებლისთვის;
- გამარტივდა პროცედურები - მოსათხოვი დოკუმენტების შეკვეცა, ელექტრონულად გაგზავნისა და ატვირთვის საშუალება, მონაწილეობის

მოსაკრებლის შემცირება (200 ლარიდან 50 ლარამდე), ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების უზრუნველყოფა.

დღეს მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების სისტემა სრულად ელექტრონულია. საჭიროა გვქონდეს ინტერნეტზე წვდომა და ნებისმიერი პირისთვის თუ კომპანიისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია წელიწადში დაახლოებით 38 000 შესყიდვაზე.

სისტემა გამჭვირვალეა და საწყისი პროცესიდან, როდესაც იგეგმება შესყიდვა, მისი შესრულების ბოლო ეტაპამდე ინფორმაცია მაქსიმალურად ხელმისაწვდომია. შესყიდვებში მონაწილე კომპანიებსა თუ პირებს შეუძლიათ დავების გადაწყვეტა საბჭოში, რომლის გადაწყვეტილებები და მოტივაციაც ასევე საჯაროა ნებისმიერი პირისთვის.

საქართველოში არსებული სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები

შესყიდვის პროცედურები: ღია პროცედურები	
ელექტრონული ტენდერი	5 000 ლარის ან მეტი ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის საშუალება.
კონსოლიდირებული ტენდერი	ზოგიერთი ერთგვაროვანი პროდუქტის შესყიდვა აგრეგირებული მოთხოვნის საფუძველზე: საწვავი, კომპიუტერები, A4 ფორმატის ქაღალდები, სატელეფონო (მობილური) კომუნიკაციის სერვისი, საბურავები.
კონკურსი	დიზაინთან დაკავშირებული ობიექტების/პროექტების შესყიდვა შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, იგულისხმება არქიტექტურული, ინჟინრული დაგეგმარების, დიზაინერული პროექტები.
ორეტაპიანი ტენდერი	საქონლის, მომსახურების და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა ფასსა და სხვა თვლად კრიტერიუმებზე დაყრდნობით. საუკეთესო კანდიდატის გამოვლენა ხდება ფასი/ხარისხის თანაფარდობით, რომელიც ითვლება სისტემაში

	ჩაშენებული უნიკალური ალგორითმის მეშვეობით, ე.წ. MEAT მეთოდით.
ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (ვაჭრობა დაფარული მონაცემებით)	ყველა პროცედურა იგივეა, როგორც ელექტრონულ რევერსულ აუქციონში, თუმცა 3 დამატებითი რაუნდის მაგივრად წინადადების წარდგენა ხდება მხოლოდ ერთხელ. საუკეთესო შეთავაზების გარდა ყველა წინადადება რჩება დალუქული (ხელმიუწვდომელი შემსყიდველი ორგანიზაციისთვის) იქამდე, სანამ ტენდერს მიენიჭება საბოლოო სტატუსი (გარდა სტატუსისა „ტენდერი შეწყვეტილია“).
შესყიდვის განსხვავებული პროცედურა სამშენებლო სამუშაოებზე	პროცედურა მიმდინარეობს ე.წ. პრეკვალიფიკაციის გზით. პრეტენდენტები წარმოადგენენ სატენდერო წინადადებებს, საკვალიფიკაციო დოკუმენტებს და ხარჯთაღრიცხვას. მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაცია შეაფასებს ყველა პრეტენდენტს, სატენდერო პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, იგი ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტს დადგენილი წესით მოიწვევს ხელშეკრულების გასაფორმებლად.

სისტემაში ასევე არსებობს დამატებითი პროცედურები, რომლებიც ან არაკონკურენტულია, ან მათზე ვრცელდება სპეციალური წესები.

შესყიდვის სხვა საშუალებები	
GEO ტენდერი (შესყიდვის ელექტრონული პროცედურა)	საქონლის ან მომსახურების შესყიდვა დადგენილი სპეციალური წესით - საიდუმლო შესყიდვები
ტენდერი (შესყიდვის ელ. პროცედურა დონორის სახსრებით)	შესყიდვის პროცედურები დონორის სახსრებით (მსოფლიო ბანკი -WB, ევროპის საინვესტიციო ბანკი-EIB).
საგრანტო კონკურსი (GRA)	თავისუფალი კონკურენციის პრინციპზე დაყრდნობით ჩატარებული პროცედურა, რომელიც მიზნად ისახავს საუკეთესო

	საგრანტო განაცხადის გამოვლენას
გამარტივებული შესყიდვა (პირდაპირი შესყიდვა)	- შესყიდვა ერთგვაროვან საქონელზე 5,000 ლარამდე -კანონით ნებადართულ განსაკუთრებულ შემთხვევებში

ძირითადი მონაცემები საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის შესახებ

თუ შევხედავთ 2011-2016 წლების მონაცემებს, შესყიდვების სისტემა მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებლად მუშაობს. საშუალოდ, 2011 წლიდან მოყოლებული შემსყიდველები ზოგავდნენ დაგეგმილი ხარჯების 10-11 %-ს. ამასთანავე, ყოველ წელს იზრდება სისტემის მომხმარებელთა რიცხვი და დღეს უკვე 30 000-ზე მეტი მომხმარებელია დარეგისტრირებული. ასევე, კონკურენტული ტენდერების რაოდენობაც წლიდან წლამდე იზრდება და 2016 წელს 38 000-ზე მეტი ტენდერი გამოცხადდა.

ამასთან, სისტემას აქვს თავისი ნაკლები, კერძოდ, სისტემური ხარვეზები და საიტის ხშირი გაუმართაობა, დაბალი კონკურენცია ტენდერებში - საშუალოდ 2 მონაწილეზე ნაკლები, არაკონკურენტული (პირდაპირი) შესყიდვების მაღალი პროცენტული წილი - შესყიდვების მთლიანი წლიური დანახარჯების საშუალოდ 30% (2011-2016 წწ.).

ასოცირების შესახებ შეთანხმება და საქართველოს დაახლოება ევროკავშირთან შესყიდვების სფეროში

ასოცირების შესახებ შეთანხმებით საქართველომ შესყიდვების სფეროში რიგი ვალდებულებები აიღო. საქართველოს კანონმდებლობა უნდა შეესაბამოს ევროკავშირის ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტებს, რისთვისაც საქართველოს 2022 წლამდე აქვს დრო. საკანონმდებლო ჰარმონიზაციის პროცესი დაყოფილია 5 ფაზად.

ძირითადი განსხვავებები ევროკავშირისა და საქართველოს შესყიდვების სისტემებს შორის

- საქართველოს კანონი არ ვრცელდება ცალკეულ სექტორებზე - წყლის, ელექტროენერგიის და საფოსტო მომსახურების სექტორებზე. შესაბამისად, ამ სექტორებში არაა სათანადო გამჭვირვალობის სტანდარტები, ასევე დღეს არსებული შესყიდვების პროცედურების გამოყენება არაა სავალდებულო.
- კანონში არსებული გამონაკლისები არ შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს - საქართველოს კანონმდებლობას გამონაკლისების გრძელი სია აქვს.
- არ არსებობს სპეციალური წესები, მაგალითად სოციალური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით.
- შესყიდვების პროცედურები - შეზღუდული მოლაპარაკების პროცედურა, კონკურენტული დიალოგი, ჩარჩო ხელშეკრულება, რომლებიც ევროკავშირისთვის დამახასიათებელი პროცედურებია.
- გარემოსდაცვითი მახასიათებლების არარსებობა შესყიდვებში, როგორც ერთ-ერთი კრიტერიუმი ან მოთხოვნა მიმწოდებლების მიმართ.

საკანონმდებლო დაახლოების ძირითადი მიზანი

ყველა ფაზის დასრულების შემდეგ საქართველოს კანონმდებლობა ფუნდამენტურად შეიცვლება. დაინერგება ახალი პროცედურები, შემოღებული იქნება ახალი პრინციპები და ტერმინები, გაფართოვდება კანონის მოქმედების სფერო და შემცირდება გამონაკლისების რაოდენობა, ხელშეკრულების დადების მარეგულირებელი ნორმები დაიხვეწება და სხვა.

ევროკავშირის შესყიდვების კანონმდებლობის საქართველოში დანერგვის ძირითადი დადებითი შედეგები

- შემოიღებენ ღია, შეზღუდულ და მოლაპარაკებებზე დაფუძნებულ პროცედურებს, რის საფუძველზეც შემსყიდველებს ექნებათ შესაძლებლობა აირჩიონ პროცედურები, რომლებიც უკეთესად შეეფერება მათ მოთხოვნებსა და საჭიროებებს;
- ტენდერში მონაწილეობის მისაღებად მოწვევის პერიოდული ინდიკატიური შეტყობინების ფორმულარი შეიქმნება, რაც გაუმარტივებს პოტენციურ მიმწოდებლებს უკეთესად მოემზადონ ტენდერებისთვის;

- დაინერგება კონკურენტული დიალოგის და ინოვაციური პარტნიორობის პროცედურები, რაც საშუალებას მისცემს მიმწოდებლებს, შემსყიდველს შესთავაზონ მათ საჭიროებებზე მორგებული ინოვაციური წინადადებები;
- შეიცვლება ტენდერებთან დაკავშირებული ვადები, პირდაპირი შესყიდვის წესები და შემცირდება გამონაკლისების რაოდენობა, რაც გააჯანსაღებს საქართველოს შესყიდვების სისტემას.

ნათია კუტივაძე

საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება კონკურენციის რეგულირების თაობაზე

შეთანხმებით გათვალისწინებულია მხარეთა ვალდებულებები კონკურენციის მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩოს უზრუნველყოფის მიმართულებით. კერძოდ, შეთანხმების მიხედვით, მხარეებს უნდა ჰქონდეთ ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონი, რომლის რეგულირების სფერო, თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვისა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, იქნება ანტიკონკურენციული შეთანხმებები, შეთანხმებული ქმედებები და დომინირებული საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიების ანტიკონკურენციული ქმედებების კონტროლი. ასოცირების შეთანხმებით ასევე გათვალისწინებულია, რომ მხარეებს უნდა ჰქონდეთ კონკურენციის კანონის ეფექტიან აღსრულებაზე პასუხისმგებელი და შესაბამისი უფლებებით აღჭურვილი ორგანო და კანონის გამოყენებისას უნდა აცნობიერებდნენ საჯაროობისა და არადისკრიმინაციულობის დაცვის მნიშვნელობას პროცედურული სამართლიანობის პრინციპის და მხარეთა დაცვის უფლების გათვალისწინებით.

კონკურენციის პოლიტიკის არსი, მიზნები და ამოცანები

კონკურენცია საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების არსებითი ელემენტია. კონკურენციის პოლიტიკა მიზნად ისახავს ისეთი პირობების უზრუნველყოფას, როდესაც კონკურენცია ბაზარზე ისე არ შეიზღუდება, რომ საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობას ზიანი მიადგეს. კონკურენციის პოლიტიკის საბოლოო მიზანი მომხმარებელთა საჭიროებების დაკმაყოფილებაა. საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ქვეყანაში გატარებული ეკონომიკური რეფორმები, ლიბერალიზაციისა და დერეგულაციის პროცესი, კონკურენციის ეფექტიანი პოლიტიკის გარეშე წარმატებული ვერ იქნება. ამდენად, ქვეყანაში კონკურენციის ეფექტიანი პოლიტიკის და შესაბამისი ინსტიტუციური ჩარჩოს არსებობა მისი განვითარების აუცილებელი კომპონენტია.

საერთაშორისო გამოცდილება: კონკურენციის საერთაშორისო წესები და პრინციპები

კონკურენციის რეგულირების ტრადიციების მქონე ქვეყნებშიც კი განსხვავებულია დამოკიდებულება კონკურენციის კანონების მიზნებისა და მათი მიღწევის საშუალებების მიმართ. ამის მიუხედავად, არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა იმ პრინციპების მიმართ, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა, კერძოდ:

- კონკურენციის კანონები უნდა უზრუნველყოფდნენ ისეთი მონოპოლიური ქცევისა და შეთანხმებებების თავიდან აცილებას, რომლებიც ზიანს აყენებენ მომხმარებელს;
- კონკურენციის კანონები უნდა ქმნიდნენ ხელშემწყობ პირობებს ახალი კომპანიების ბაზარზე შესასვლელად და არსებულთა შორის ჯანსაღი კონკურენციის დასაცავად;
- კონკურენციის კანონის იძულებითი აღსრულების რეჟიმი უნდა იყოს ცხადი და პროგნოზირებადი, რათა დაარწმუნოს ინვესტორები, რომ ისინი დაცული იქნებიან ბაზარზე დამკვიდრებული ფირმების ანტიკონკურენტული ქცევებისაგან და მათი საქმიანობაც ობიექტურად იქნება შეფასებული; მოქალაქეები კი უნდა დაარწმუნოს, რომ დაცული იქნებიან მონოპოლისტი საწარმოების მხრიდან მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და დიქტატისაგან.

ევროპის კავშირის კანონმდებლობა კონკურენციის შესახებ

ევროპული კანონმდებლობა კონკურენციის შესახებ დაფუძნებულია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) მეშვიდე ნაწილის პირველი თავის დებულებებზე (101-109 მუხლები) და კონცენტრირებულია შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

- კარტელები და სხვა სახის ანტიკონკურენციული პრაქტიკა (TFEU, 101-ე მუხლი);
- დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (TFEU, 102-ე მუხლი);
- შერწყმების/კონცენტრაციების კონტროლი (საბჭოს დირექტივა, *Merger Regulation 139/2004/EC);*
- ლიბერალიზება და სახელმწიფო დახმარებები (TFEU, 107-108 მუხლები).

ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ცენტრალური აღმასრულებელი ორგანოა ევროკომისია, კონკურენციის გენერალური დირექტორატის სახით. ეროვნულ ორგანოებს უფლება აქვთ გამოიყენონ როგორც ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ნორმები, ისე შიდა წესები, დადგენილი შესაბამისი ქვეყნების კანონმდებლობით.

საქართველოს კონკურენციის პოლიტიკა და ევროკავშირი

საქართველოს აქვს გარკვეული ვალდებულებები ვაჭრობისა და კონკურენციის ეროვნული რეჟიმების საერთაშორისო ნორმების (EU, WTO, UNCTAD, OECD წესებისა და პრინციპების გათვალისწინებით) მოწესრიგების სფეროში. ეს სახელმწიფოებს ავალდებულებს მიიღონ, სრულყონ და ეფექტურად განახორციელონ შესაბამისი საკანონმდებლო აქტები; კანონმდებლობა კონკურენციის შემზღუდავი ქმედებების აღკვეთისა და ეფექტური რეგულირების პრინციპებს დააფუძნონ; ყველა საწარმოს მიმართ უზრუნველყონ არადისკრიმინაციული მიდგომა; სრულყონ კანონის იძულებითი აღსრულების ღონისძიებები.

კონკურენციის პოლიტიკის პრობლემები საქართველოში იქცა ევროკომისიის განსაკუთრებული ყურადღების საგნად საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებასთან (DCFTA) დაკავშირებული შეთანხმების მოსამზადებელ პერიოდში. ევროკომისიის ფაქტების დამდგენმა მისიამ შემდგომი წინსვლისათვის აუცილებელ პირობად განსაზღვრა რეფორმები, მათ შორის, კონკურენციული პოლიტიკის სფეროში, რათა შექმნილიყო ევროსტანდარტების შესაბამისი სოლიდური, ეფექტიანი და გამჭვირვალე მარეგულირებელი ჩარჩო, როგორც ანტიტრასტული რეგულირების, ისე სახელმწიფო დახმარებების სფეროში. რეფორმის პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა შესაბამისი უფლებამოსილებით (მათ შორის საგამოძიებო) აღჭურვილი და ადეკვატური რესურსებით უზრუნველყოფილი სააგენტოს შექმნა. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, 2010 წლის დეკემბერში დამტკიცდა „მთავრობის ყოვლისმომცველი სტრატეგია კონკურენციის სფეროში“; 2011 წლის დეკემბერში მოხდა სახელმწიფო შესყიდვებისა და კონკურენციის სააგენტოების შერწყმა; მოხდა ახალი კანონპროექტის „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ ინიცირება, რომელიც მიიღეს 2012 წლის მაისში და რომლის საფუძველზეც მოხდა კონკურენციის პოლიტიკის არსებობისთვის აუცილებელი საბაზისო დეფინიციების ქართულ საკანონმდებლო სივრცეში განხორციელება. მიუხედავად ცვლილებებისა, სააგენტო კონკურენციის სახელმწიფო ზედამხედველობის ფუნქციებს პრაქტიკულად წელიწადზე მეტხანს ვერ ასრულებდა (სააგენტოს ამოქმედებიდან 1 წლის განმავლობაში კონკურენციის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის არც ერთი საქმის ინიცირება/მოკვლევა არ მომხდარა). კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის ქმედითობის გასაზრდელად და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთახმებით გათვალისწინებული კონკურენციის რეგლამენტირების ნორმების მოთხოვნების შესაბამისად, 2014 წლის მარტში საქართველოში სწორედ კონკურენციის პოლიტიკის რეფორმა ჩატარდა. „კონკურენციის შესახებ“ ახალი კანონით კონკურენციის მარეგულირებელ ინსტიტუციურ ჩარჩოში შემდეგი მნიშვნელოვანი სიახლეები შევიდა:

- **შეიქმნა დამოუკიდებელი სტრუქტურა – კონკურენციის სააგენტო** იმისთვის, რომ განხორციელდეს ბაზარზე თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული გარემოს ეფექტიანი სახელმწიფო ზედამხედველობა, განისაზღვრა სააგენტოს შემდეგი

უფლებამოსილებები: ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად ქმედითი ღონისძიებების განხორციელება; მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა და თავისუფალი კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში დროული და სათანადო რეაგირება.

- **კანონმდებლობით უზრუნველყოფილია კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებლობის გარანტიები,** კერძოდ, სააგენტო უფლებამოსილია დამოუკიდებლად დაიწყოს ბაზრის ნებისმიერი სეგმენტის მოკვლევა იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ სეგმენტზე კონკურენციის შეზღუდვის სათანადო ნიშნები და შექმნილი მდგომარეობა კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოს ჩარევას საჭიროებს.

- **განსაზღვრულია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფერო და გამონაკლისები კონკურენციის მარეგულირებელ კანონმდებლობაში** (მათ შორის, კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველი ხელშეკრულების საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზღვრები), რომლებზედაც არ ვრცელდება იმავე კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები. უზრუნველყოფილია დაწესებული გამონაკლისების ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

- **განსაზღვრულია ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობის მაჩვენებელი კრიტერიუმები,** მათ შორის, შესაბამის ბაზარზე მისი საბაზრო წილი, კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ფინანსური მდგომარეობა, ბაზარზე შესვლის ან წარმოების გაფართოების ბარიერები, მყიდველის საბაზრო ძალაუფლება და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორები. შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილს განსაზღვრავს სააგენტო, ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების გამოყენებით. თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი არ ჩაითვლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი წილი 40 პროცენტს არ აღემატება; ასევე დადგენილია რამდენიმე ეკონომიკური აგენტის შემთხვევაში ჯგუფური დომინირების განმსაზღვრელი კრიტერიუმებიც.

- **კანონით რეგლამენტირებულია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების და კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის შესაძლო შემთხვევების ჩამონათვალი.**

- **რეგლამენტირებულია არაკეთილსინდისიერი კონკურენცია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის.** შედეგად, ეკონომიკურ აგენტებს წინასწარ აქვთ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ქმედება მიიჩნევა არაკეთილსინდისიერ კონკურენციად, რათა მომავალში თავიდან აიცილონ ამგვარი ქმედება.

- **რეგულირებას ექვემდებარება ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის შემთხვევები,** როდესაც აუცილებელია ეკონომიკური აგენტის მიერ სააგენტოსთვის

კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების გაგზავნა, ასევე ამ ვალდებულებისაგან გათავისუფლების შემთხვევები.

- **კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობით იკრძალება სახელმწიფო ჩარევა ნებისმიერი ფორმით, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას;** კანონმდებლობით უზრუნველყოფილია სააგენტოს ქმედითობა კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის ფაქტებთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარებების კონტროლის ნაწილშიც, რათა მოხდეს ბაზრის ღიაობის და გამჭვირვალობის, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვის უზრუნველყოფა.

- **კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევისათვის ჯარიმები დაწესებულია იმგვარად, რომ ამ ჯარიმებს ანტიკონკურენტული ქმედების პრევენციის ფუნქციაც ჰქონდეს:** კერძოდ, ეკონომიკურ აგენტს ბაზარზე ანტიკონკურენტული ქცევის შემთხვევაში ეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5 პროცენტს, ხოლო ეკონომიკური აგენტის მიერ დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის ან განმეორების შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს დააკისროს ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 10 პროცენტს. ჯარიმის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს დარღვევით მიღებული ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე.

- **ეკონომიკურ აგენტს, სხვა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს პირდაპირ მიმართოს სასამართლოს,** შესაბამის ორგანოს ან თანამდებობის პირს კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთისა და დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, აგრეთვე სასამართლოში გაასაჩივროს სააგენტოს გადაწყვეტილება.
- **საქართველოს კანონმდებლობაში დანერგილია აშშ-სა და ევროპაში ბაზარზე ეკონომიკური აგენტის ანტიკონკურენტული ქცევის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი – თანამშრომლობის პროგრამა (Leniency Program)**. ეს პროგრამა გულისხმობს ეკონომიკური აგენტის კანონით დადგენილი პასუხისმგებლობისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებას, თუ იგი ანტიკონკურენტული ქმედების მოკვლევის პროცესში ითანამშრომლებს სააგენტოსთან. თანამშრომლობის პროგრამის საშუალებით სააგენტო შეძლებს მიიღოს მოკვლევის მიზნებისთვის საჭირო ინფორმაცია ეკონომიკური აგენტის ანტიკონკურენტული ქმედების შესახებ.

აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, სათანადო პოლიტიკური ნებისა და კონკურენციის სააგენტოს შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფის პირობებში, კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა (მიუხედავად შემდგომი სრულყოფის აუცილებლობისა) საკმარის საფუძველს ქმნის კონკურენციის პოლიტიკის ქმედითი აღსრულებისათვის.